

စိစစ်ခံစား



144 / 3  
1918 / 1-2

1-2

6229 J

44  
18 2

2.8.1101

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
საგარეო ურთიერთობების  
საგარეო ურთიერთობების

# კრძმეუთ



№ 1

1918.



# ზ ი ნ ა ა რ ს ი.

1. რედაქციის მიერ.

## ახალი მწერლობა.

2. დავით კლდიაშვილი. შშობლის ნუგეში.
3. აკაკი პაპავა. ნახშირის ხაზები.
4. კოტე შაყაშვილი. რომანსი
5. არისტო კუშბაძე. 19 ლეონობისთვის საღამო.
6. სიკო ფაშალიშვილი. ჩასული მზე.
7. კოწია გამსახურდია. ბერლინი.
8. აკაკი შანიძე. ქართული ეროვნული ჰიმნი.

## ძველი მწერლობა.

9. ლოცვაა წმიდისა იერემიასი (ბაქარისეული გამოცემის თანაკმად).
10. გამოსლვათა (ათონის მეათე საუკუნის კელთნაწერის თანაკმად)

## სამეცნიერო განყოფილება.

11. ივანე ჯავახიშვილი. ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს.
12. კორნელი კეკელიძე. იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან
13. ექვთიმე თაყაიშვილი ლაბეჭინის ეკლესიის სახარება.
14. აკაკი შანიძე. „მცა“ ნაწილაკი ძველს ქართულში.

## ბ ი ბ ლ ი ც ი კ ა.

Anno 1917

ა. ბ.

16. თ. ტერ-გრიგორიანცი. „შშაკი“ და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა, (თარგმ. ა. შ—ძისა).

## ს უ რ ა თ ე ბ ი

17. იაკობ ნიკოლაძე. „პრომეთე“-ს პირველი გვერდი და „ექსლიბრის“
18. ქ. ტფილისის სურათი შარდენის დროს. ამოღებულია შარდენის მოგზაურობის წიგნითგან,
19. ქ. გორის ციხის აგება. მისიონერ კასტელლას წიგნითგან.
20. ქ. ქუთაისის საზოგადო გეგმა-სურათი მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს. ახლად აღმოჩენილ ქართულ რუკითგან.

Handwritten text at the top of the page, including the number 144 and the date 1918/3.



# პრეზენტე

144 / 1918/3



Handwritten notes on the left side: ~~304E~~ and ~~808~~ 84561





ჟურნალში მოთავსებული მასალის გადაბეჭდვა აკრძალუ ლია რედაქ-  
ციის ნებადართველად.

## რედაქციის მიერ.

არასოდეს არ ყოფილა საჭირო ჩვენთვის დიდი და დინჯი ეფრნალი, როგორც დღეს. დღეს ეყრება საფუძველი ჩვენს ახალს პოლიტიკურ შენობას, დღეს კვლავ იწყებს ბრუნვას ჩვენი მთელის საუკუნის განმავლობაში შეჩერებული საკელმწიფოებრივი ცხოვრების ჩარხი, დღეს უნდა დაადგეს განახლებისა და აღორძინების გზას ჩვენი კულტურა, კულტურა რომელსაც თავისებური, ქართული სახე აქვს და რომელსაც მრავალი საუკუნე უმაგრებს ზურგს, დღეს უნდა გამართელდეს გამწყდარი ჯაჭვი. და ასეთ დროს, როცა ასე სწრაფად ირღვევა ძველი კულტურულ-პოლიტიკური ურთი-ერთობა და მის ადგილას ახალი მკვიდრდება, განზრახული ტიპის ეფრნალის არსებობა ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია. „მოამბის“ შემდეგ რიგიანი სალიტერატურო და სამეცნიერო ეფრნალი არა გვექონია. ამ ნაკლს ჰგრძნობდა ქართველი საზოგადოება კარგა ხანია, მაგრამ პოლიტიკურმა ბრძოლამ ისე გაიტაცა და ჩაითრია იგი, რომ არ იქმნა და არა, რომ ეს ნაკლი როგორმე შევსებულიყო. და ჩვენ გვიჩნდა შევაგსოთ იგი, მაგრამ...

მაგრამ არასოდეს არ ყოფილა ბეჭდვის საქმე ისეთს მძიმე პირობებში, როგორც დღეს. ქალაქის უშოვნელობა და სტამბის სიძვირე საყოველთაო უბედურებად არის გადაქცეული. ჩვენ მაინც გვსურს რომ ტექნიკურ დაბრკოლებას არ შეუშინდეთ. მართალია, პოლიტიკურისა და სოციალური მოძრაობის ღელვა ჯერ არ დამცხრალა და ჩვენი მოქალაქეობრივი ცხოვრება ჯერ არ დამდგარა ისეთ დონეზე, რომ კულტურული მუშაობისათვის საჭირო მყუდროება უზრუნველყოფილი გვეგულვებოდეს, მაგრამ ჩვენთვის კულტურული მუშაობა რომელიმე განსაკუთრებული დროის ან კელსაყრელ პირობათა საკითხი როდია! კულტურული მუშაობა ერის ისტორიულ ცხოვრებას განუყრელად უნდა სდევდეს თან. კაცობრიობის კულტურული ჭირნახულის კალოს ის ერი შეჰმატებს ყველაზე მეტს, რომელიც თვით პოლიტიკური ქარიშხალის დროსაც კელს არ უშვებს კულტურულ საქმიანობას.

ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება ლიტერატურული, პოლიტიკური და მეცნიერული შინაარსის წერილები. სალიტერატურო ნაწილში მოთავსებულნი იქნებიან ერთის მკრით თანამედროვე მწერლობის ნაწარმოებნი, მეორეს მკრით ძველი მწერლობის ნაშთები. ჩვენს ძველს მწერლობაში მრავალი თვალ-მარგალიტია შემონახული, რომელიც ჯერ კიდევ გამოუცემელია და უცნობი, ან კიდევ გამოცემული, მაგრამ ფართო საზოგადოებისათვის კელ-მიუწდომელი, ჩვენი ჟურნალის მიზანია, რომ ამ თვალ-მარგალიტებს, ნათარგმნი იქმნებიან ისინი თუ ორიგინალი, საუკუნეების მტვერი მოსწმინდოს და ჩვენი მწერლობის საუნჯიდან მზეზედ გამოიტანოს. ამას გარდა იქნება უცხოეთის მწერლობის განყოფილებაც, სადაც მოვათავსებთ საუკეთესო ნიმუშებს მაშრიყული თუ მალრიბული ლიტერატურიდან ამასთანავე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს ჟურნალს არ უყვარს და არც ეყვარება თარგმანის თარგმანი.

პოლიტიკურ მიმოხილვაში დაცული იქნება სრული მიუკერძებლობა და ობიექტივობა.

სამეცნიერო ნაწილში მოქცეული იქნება საშუალო მკითხველისათვის ადვილად გასაგები გამოკვლევანი და წვირილ-წვრილი ზონოგრაფიები ჩვენი ისტორიიდან, მწერლობის ისტორიიდან, ეკონომიური ისტორიიდან, ეთნოგრაფიიდან. არქეოლოგიიდან, ქართული ანისა და მის მონათესავე ენის შესახებ, მოგზაურობანი, მემუარები, დღიურები და სხვ. და აგრეთვე კრიტიკა და ბიბლიოგრაფიამ სფეროში.



## მშობლის ნუბეუი.

(სურათი ახლო წარსულიდან)

იმ აუარებელ მსხვერპლთა შორის, რაც განმათავისუფლებელ ხანას შეეწირა, დიდებული მსხვერპლი შეეწირა მოხუცებულ ელენესივანაც. მისი „ბიჭი“ (როგორც იგი უძახოდა თავის შვილს, ახალგაზრდა მეცნიერს) სიცოცხლით სავსე, კაცთ-მოყვარეობით გულალესალი, სწორედ იმ დროს გამოასალმეს წუთისოფელს, ვით ავაზაკს ტყვიით შებლი სწორედ იმ დროს გაუგმიორეს, როცა მისი გული ღელავდა სიბრალულით იმ საცოდავთა და ბედშავთა მიმართ, რომელთაც მის თვალწინ შეუბრალეზლად ჰსრესავდენ ქუჩაში, როგორც პირუტყვით და რომელთა მიშველებას იგი ჰლამობდა.

სამინელ მდგომარეობაში ჩავარდა ძვირფასი შვილის დამკარგველი მოხუცებული დედა. დადუმებული, გაშტერებული, თვალებგამომშრალი მთელი დღეები მკვდარივით ესვენა საწოლში. ყველას გადაწყვეტილი ჰქონდა რომ უსახლვრო მწუხარებაში მყოფი მოხუცი ვერ გაუძლებდა თავზე დამტყდარ უბედურებას; ყველანი მისი აღსასრულის დღის მოლოდინში იყვნენ. მაგრამ გაიარა დღეებმა, განვლო ხანმა. მოხუცი ელენე არ მომკვდარა. თავდაპირველში განუზომელი მწუხარებისაგან დაჩლუნგებულმა, მიდუნებულმა, დასუსტებულმა გონებამ კვლავ დაიწყო მუშაობა, ამოძრავდა და როცა ცოტაოდენი ძალა მოიკრიფა, დღისით და ძილ-გატეხილ ღამეებშიაც მხოლოდ მისი „ბიჭის“ კარშემო ტრიალებდა მისი გონება, მოხუცებულის თვალწინ იზლებოდა მისი „ბიჭის“ მთელი სიცოცხლე ათასი წერილმანებით მისი ბავშობა, გაჭიკრებაში გატარებული მისი სწავლის დღენი, მისი დავაგაკება, დაბოძენება, მეცნიერების გატაცებულ მსახურად შექმნა, თვალწინ უდგა მისი შნოიანი „ბიჭი“, ადამიანის უსახლვრო მოსიყვარულე, რომელიც წინ დაუდგებოდა ხოლმე მას, მის საყვარელ დედას და დაუწყებდა ხოლმე ტკბილ მუსაიფეს თავის საამური კმით; ხალისიანი კილოთი უშლიდა თავის გულს, უზიარებდა თავის ოცნებებს; გატაცებით მოლაპარაკეს ატაცებაში მოჰყავდა საყვარელი მშობელი... ეს კმა ახლაც რომ ესმის, რომ ესმის მისი ლაპარაკი, მისი სიტყვები—მოხუცებულის გული ღელავს სიამოვნებით, ნეტარებით... მისი „ბიჭი“ თითქო ცოც-



ხალი იყოს! მაგრამ ამას შეუბრალებლად სცელის სახარელი, თბე ბრუ დამევეი სურათი... ზღვა, ხალხი... მისი „ბიჭის“ კუბო, რომელსაც მისდევს ეს უთვალავი ადამიანთა გროვა, აღელვებული, აბობოქრებული... მისდევს გოდებით, გამწარებული... ფიცს სდებენ მის კუბოსთან... ესმის იმედებით სავსე ცხარე მიმართვა, რომ მალე, მალე გათენდება ნათელი, ბრწყინვალე დღე და რომ იმ მბრწყინავ დღეს მივლენ მასთან ყველა წამებულნი, წვალებულნი, ტანჯულნი, რომელთათვის მუდამ თრდოდა მისი გული; მივლენ სალამით მივლენ და მიახარებენ სასურველ დღის გათენებას და მადლობას მიუძღნიან მას, მათთვის თავდადებულს, მათთვის თავის შემწირველს.

როდის, როდის გათენდება იგი დღე? მაშინ აღსრულდება რაზედაც ოცნებობდა მისი ძვირფასი „ბიჭი“! მაშინ ნახავს შვებას ყოველი შეწუხებული ამ ქვეყნად! მაშინ იხილავს მისი დამწუხრებული გული მისი „ბიჭის“ დიდებულობას! იგი დღე იქნება ყველასათვის და ყველასთან ერთად მისი ბედნიერების დღეც!..

და მოხუცებული მშობელი იმედებით შემოსილი, გამკნევებული კვლავ დაუბრუნდა ამ ქვეყნას, იგი გაფაციცებით ყურს უგდებდა ყოველსავე რაც მის გარეშე მოკლებოდა, გაფაციცებით თვალს აღევნებდა რაც ქვეყანად ისმოდა; მუდამ ჩაგურლი იყო გაზეთებში რომ ამოეკითხა სანატრელ ბრწყინვალე დღის მოახლოების ნიშნები. და როცა რაღაც არა სასიამოვნო, უნუგეშო ამბავს ყურს მოჰკრავდა, ან ამოიკითხავდა, გულ-ამღვრეული მოხუცი აღელვებული წამოიძახებდა ხოლმე:

— ო, საზიზღრები!.. საზიზღრები!.. თავისას მაინც არ იშლიან!.. არ იშლიან!.. როდემდის, როდემდის?! ნუ თუ საშველი არ არის?! არ არის საშველი?!.

და გულშეწუხებული, აღელვებული მიაშურებდა თავის ოთახს. აქ მის საწოლთან მაგიდაზედ შაშე ჩარჩოში ჩასმულ მისი „ბიჭის“ სურათის წინ დადგებოდა და თვალცრემლიანი უცნაური გამწარებით, სასოწარკვეთილებით მიჰმართავდა: შვილო, რათ დამელუპე, რათ?.. თუ კი არაფერი საშველი იქნებოდა... თუ კი ასე იქნებოდა... რათ გაწირე შენი სიცოცხლე?!. რათ არ მოითმინე?! რათ დამელუპე შვილო?!

და გულამომჯდარი, აქვითინებული, გამწარებული მოხუცი მშობელი დაემკობოდა მის ძვირფასი შვილის სურათის წინ, გარტეხული, მწუხარებისაგან გრძნობა დაკარგული და დიდხანს, დიდ



ხანს იყო ზოლმე ასე დამკობილი სანამ ბურანში მყოფს ისევ მისი შვილისაგან შეცოდებულს არ გამოათბიხლებდა მისი კმა, რომელიც ეხვეოდა და მისებურად ტკბილად ხალისიანად ეუბნებოდა:

— ნუ სწუხარ დედიკო, ნუ სწუხარ! მართალია ქვეყანაზედ ადამიანი კადვე ბევრ უბედურებას განიცდის, ბევრ სიმწარეს შეჰხვდება, მართალია დღეს ადამიანი ადამიანს კიდევ მტრულად უბედება, მაგრამ ბედნიერების დღე მაინც არ ასცდება მას მიუხედავად ყოვლისავე დაბრკოლებისა!.. ბუნება, საკვირველობით მოცული ბუნება, ადამიანისაგან ჯერ სრულიად უცნობი: საიდუმლოებით მოცული ბუნება თავისუფალ პირობებში ამუშავებულ ადამიანის გონებას გადუშლის მასში დაფარულ საკვირველ ძალათ და მაშინ ადამიანი უკუ აგდებს სასტიკ მცნებას „ოფლითა პირისა შენისათა შკამდე პურსა შენსაო“, მაშინ მოისპობა ქიშპობა ადამიანთა შორის, ადამიანი იქმნება განმავითარებელი მასში ჩანერგილი ნიჭისა და არა მისი ნოვაქრე, იქმნება თვისი ნიჭის მიმდევარი, მისით დამტკბარი, მისით ბედნიერი და მის გარეშე მყოფთა მოსარგებლე!.. კი დედიკო! ბედნიერება მოვა ქვეყნად, მოვა! ბნელ ღამეს შესცვლის ნათელი დღე!.. ეს კანონია ბუნებისა და ვერავითარი ძალა, ვერაფერი მას ვერ მოჰშლის, ვერ შესცვლის და ყოველივე ცდა ამის საწინაღმდეგოდ სამწუხარო უგუხურებაა!.. კი დედიკო, კი, კი!

მკაფიოდ ესმოდა ყოველივე ეს მოხუცებულს და როცა სურვილი წასძლედა ერთი თვალი მაინც შეესწრო, შეესწრო მისი მანუგეშებელისა, მისი ტკბილი მოსაუბრისათვის და თავს აწევდა თუ არა, მისი „ბიჭი“ ისევ კმა გაკმენდილი, გაჩუმებული გამოიყურებოდა თავის შავ ჩაჩოდან, დიდხანს, დიდხანს თითქო საყვედურით მიაჩერდებოდა წას, შეუბრალებლად, დადუმებული დადუმებულს, მაგრამ მისგანვე მისი სიტყვებით გამკნევებული მოხუცი ბრუნდებოდა ოთახიდან და ისევ ბრწყინვალე დღის გათენების მოლოდინში იყო, ქვეყნად ბედნიერი დღის შესაგებებლად ემზადებოდა.

დავ. კლდიაშვილი.



## ნახშირის ხაზები.

(მეორე სერია.)

ფიქრი ჩემი მხოლოდ შენა გღვეს და გული ჩემი შენ სარკედ ქცეულა, შიგ შენი შავი თვალები აღიბეჭდა და გრძელ წამწამების ჩრდილი ჩაეხვია.

არავინ იცნობს ჩემს ცრემლებს: თვალები დავბუჭე და ლაწვეებისავენ გზა შეუკარ. იქ საცა შენდამი ლოცვანი ჰმარბიან, კულში—უცემა ტყვიასავით შიშვე ნაკადი, მაგრამ შენი თვალების სიშავე, არ იქნა, ვერ წალკა ცრემლების ტალღამ... ოჰ, როდემდის იქმნება თბილ ცრემლებში გამოხარული გული, შიშვე თვალების სიშავის მატარებელი? ვიპასუხე: ჩემი გულის კენესა როდემდის დარჩება „ნახშირის ხაზებად“?

—

### გულკეთილობა

ხამთარი... რამდენი ხამთარი გარდამივლია! რამდენ სპეტაკ თოვლის ფიფქს დაჰშთენია ჩემი ფეხის ნაკვალევი! აი, წუთით წარსულს ვეძლევი და ამ ნაკვალევთა მთელი უიგი თეთრ თოვლის სივრცეზე შავ ზოლად მებატება.

ჯერ სულ პაწია, ფუნთუშა, თითქმის მრკვალი ფეხის კვალი, შემდეგ უფრო მოზრდილი, კიდევ უფრო დიდი, დიდი და სულ ამ რიგად... ეს ჩემი ცხოვრების გზა არის, მისი ზრდის სახეა.

მაგრამ რად იკარგება კსოვნიდან და რად ქრება ასე უმნიშვნელოდ ყველა ეგ ნაკვალევი, ყოველი ხამთარი? ყოველი, გარდა ერთისა!.. და მხოლოდ იმ ერთის კვალი ღრმად აღბეჭდილა ჩემს მეკსიერებაში,—მრავალ ხაფხულის სიცხემ ვერ გააღწო და შემო-



დგომის ქარიშხალმა ვერ წალეკა სპეტაკ თოვლის სივრცეზე დანა-  
შთენი კვალი ჩემის ფეკისა, იმ ზამთრის კვალი...

აი, ასეთი ზღაპრული და უცხო ზამთარი მარგუნე იმ წელს,  
ჩემო სახიერო... აი, ასეთი იყო ის გუნდი თოვლის ფიფქისა, რომ-  
ლის წიაღშიაც შენ მომეკლინე და შავის თვალებით, რომლის წამ-  
წამებზე ნორჩი თოვლას ვარსკვლავები ეკიდა, გამილიმე... ამიტომ  
დაჩრდილა ამ ზამთარმა ყველა სხვა, ჩემო კარგო!

ეს იმ ზამთარში მოკდა... ციოდა და ჩვენც თბილ ოთახს შე-  
ვაფარეთ თავი, ბუხარს მაუგედიოთ და მღვივ ნაკვერჩხლებს თვა-  
ლები მივაშტურეთ. თანდათან გროვდებოდა ჩემს გულში გრძნო-  
ბათა გუნდი: დამწვარ სიყვარულის ნელ ალზე, იგი ხანდახან აღ-  
მობხეთქას ჰლამობდა, თავის ტკივილების მხელას სცდილობდა, მა-  
გრამ მე ვიყავ მისი ჯალათი და ამ ხსნას და შევბას არაოდეს არ  
ვარგუნებდი, დაიწვას ბარემ და ფერფლი მისი თეთრად დაფი-  
ნოს გაუმაძლარ შავ მიწას, ვინემ სახე მისის ალისა იხილოს შენმა  
შავმა თვალებმა. ასე ვჭთიქობდი მაშინ! მაგრამ მოზღვევებული გრ-  
ძნობა ამ კელოვნურ ჯაჭვის გაწყვეტას ჰლამობდა და სიყვარული  
გადმოშლას ითხოვდა. საჭირო იყო ვარგუნული სახევა ამ სულიერი  
ტანჯვისა, საჭირო იყო მისი დაკავშირება ნამხელ ძალასთან და  
ასეთ საშინელებისაგან იგივე ზამთრის მღვივი ნაკვერჩხალი მშველო-  
და, რომელმაც ორნივე სიცივისაგან გვიხსნა.

— ტკაც, დაიძახებდა იგი და პაწია ნაპერწკალი ღამის წყე-  
დიადში ცეცხლის ზოლად მოედებოდა.

და ჩემი გულის ერთი კენესაც მას მოჰყვებოდა, მიჰყვებოდა  
და თან წუთით ჩემს სულს შევბას ჰკვირიდა...

აბა, ვის შეუძლია აქსნას ამ პაწია ნაკვესის საიდუმლო ძა-  
ლამ მაშინ კი ასე ნათელი და აკარა იყო იგი ჩემთვის.

— ტკაც! ვაისმა კვალად და ნაპერწკალი გულზე დამეცა;  
ოდნავადაც არ შეემკრთალვარ: ჩემს გულში ცეცხლის ალი ღაღლა-  
პებდა და ეს ნაკვერჩხალი მისი წვის ძალას აბა რას შეჰმატებდა?

მაგრამ ერთ წუთას შენ შიშმა აგიტანა, ჩემო კარგო, ზეზე  
წამოიქურ და გიფივით წამოიძახე:

— აკაკი, დაიწვი, დაიწვი! და გულზე უცებ კელი დამადე  
მეც მოგეშველე და ერთად ჩავაქვრეთ.

როცა სანთელს მოუეკიდეთ, მაშინ შეამჩნიე რომ ცეცხლი  
ჩემს ყელსახვევს მოსდებოდა და მრგვალად ამოეწევა.



— მოიკენ! მითხარ ზრუნვით, „მოიკენ, გავკენ...“ რომ არც კი დააჩნდეს ეგა... რა საოცარი ხარ! აბა როგორ მოგივოდა ეგ, ღმერთმანი? კიდევ კარგი, რომ დროზე შეგამჩნიე! ცოტა ხნის შემდეგ ყელსახვევი მუკლებზე გედო და ამონაწევას ზრუნვით ჰსინჯავდი და ფრთხილად უყრიდი ნემს შენი ლამაზი სახის ყოველი ნაკეთი დიდ მწუხარებას გამოჰხატავდა, შენი კეთილი გული ნალღიანობდა; „ვაი, თუ კიდევ დააჩნდეს რამეო“... რა ლამაზად ამოჰკერე ის ნაწვავი, ჩემო კარგო!.. და, როცა ორნივე დაერწმუნდით, რომ არათფერი დააჩნდა და ყელსახვევი ძველებურად ლამაზად გადმოიციკირებოდა, მაშინ ძლივს დამშვიდდა შენი უსაზღვროდ კეთილი გული და მწუხარების ბინდი მოეშვა შენს თვალებს.

როგორ დასციინის ბედი ადამიანს!

აბა რას იფიქრებდი ჩემო სახიერო, თუ სწორედ იმ ყელსახვევის ქვევით უშრეტელ ალში იწოდა ის, რისი ამოკრევა და განახლება ასე ძნელია და რასაც გული ჰქვია... შენ კი, შენი უსაზღვრო ზრუნვა და გულკეთილობა ამ წვრილმანში გამოიჩინე; ყელსახვევი ვადამირჩინე, როცა ჩემს გულში წწავე ცეცხლს უფრო აგზნებდი.

ყელსახვევის ამონაწვევი სანთლის შუქზე დაინახე; მაგრამ სად არის ის სანთელი, რომელიც ამ საშინელ წვას დაგანახებდა და შენს კეთილ გულს ცრემლში ააცურებდა?

შენი თვალები, ჩემო სულო, ხომ ყოველ სანთელზე უფრო შუქმფენი არიან; ობოლი ვარსკვლავები... მაგრამ ჩემის გულის წიაღში მათი სხივი ვერ ატანს შენთვის, მაშინ როდესაც ცეცხლის ისრებად ეცემა მას.

რად, რად არ დაინახე ერთხელ მაინც ეს ამომწვარი, ძვირფასი ადგილი და რად არ შეეცადა მის განახლებას შენი გულკეთილობა, ეემო სულო?..

რა მწარეა ზოგიერთების ბედი და უცხოა სხვათათვის მათი ობოლი ტანჯვა?.. ეჰ, ვინ აღწეროს, ჩემო გულკეთილო ყველა ეს?!

„—“

## II

შ • შ • ი.

ესეც ხომ იმ უცხო ზამთარში მოკდა.

არ ვიცი რად დამამახსოვრდა ეს უმნიშვნელო შემთხვევა!



შენ შეიძლება არც კი გახსოვდეს; მაშ მოიგონე, ჩემო ზნეპრემო, რომ ერთის წუთით მაინც იგრძენ შიში ჩემს წინაშე, მაგრამ მაშინვე „გამოერკვიე“ და ძველებურად შეჭხარე მრისხანე წარბი.

ჰო, იმ ზამთარში, როცა შენის გამოუცნობის ღიმილით ტანჯვას მგვრიდი და ამ ტანჯვაში უსაზღვრო ნეტარებას ეპოებდი... სხვა ამას როდი გაიგებს; ან შეიძლება შენაც ვერ მიჰხვდე! მაგრამ არა, მე არ მინდა ასე შორის იყო ჩემგან, ოცნებით მაინც.

ხომ მიჰხვდები, ჩემო სახიერო?

იმ ზამთრის ამბებს მაინც.

ესეც ხომ იმ უცხო ზამთარში მოკდა, რომელმაც ყველა დაჩრდილა და სქელ ბურუსში გახვია...

ბავშვებივით ვისხედით, ვხუმრობდით და ვლალობდით. სხეულის უზრუნველ ვარჯიშობით და სახის კმაყოფილ ქცევით სულს ვაწამებდით.

გზებს ვუქრავდით გრძნობებს და უმნიშვნელო საგნებზე ვმასლაათობდით. ბავშობის ამბებსაც ვცეცობდით, — როცა ბებიას კალთაში „ბროლის კოშკებზე“ ზღაპრებს ვისმენდით.

— „რა გრძელი თმა გაქვს“, შემნიშნე და თავზე კელი ვადმივისი.

— საკმაოდ...“ მოგიჭერ მეც.

— გინდა, ნაწნავი გაგიკეთო? აი როგორც მე მაქვს...

მე მხოლოდ გაგიღიმე და შენც ნახად დამიწყე თმის ვარცხნა; რამდენიმე პაწია ნაწნავები გამიკეთე, ნიკაბზე კელი მომკიდე, თავი ამიწიე, და გადიხიჯხითე. მეც ვიცინოდი. რა კარგი იყო...

რა კარგი იყო ის ზამთარი. ხომ არ დაგვიწყებია, ჩემო კარგო? ნუ, ნუ, ნუ მისცემ დავიწყებას. ის ხომ მარტო ერთი ზამთარია და არაოდეს არ განმეორდება; ჩემთვის მაინც...

ის ერთი ზამთარი, როცა თოვლის ყოველი ფიფქი ჩემთვის თეთრ ვარდებად და გრძელ ყლორტებიან შროშანად იშლებოდა.

— როგორ ქალსა გაეხარ სულ! ღმერთმანი ვილაც მეგობარი ქალი მყავდა, აი სულ ასეთი; ღმერთმანი...

მე კი ვიცინოდი და თვალეებში მოგჩერებოდი.

დაიცა, დაიცა“, ზრუნვითავე დასძინე და ფიქრში წასულმა ცალი წარბი ასწიე.

უცებ მოსწყდით, სკივრი გახსენ და ცისფერ ღანზლისაგან ქსოვილი ქუდი მოარბენინე.

— აი, ამასაც დაგახურავ“. დამხურე.

— ესეც ჩაგაცევა, დამაცადე...“ და შენი ტანსაცმელის ზედა წელიც ჩამაცივი.

მე სულ ვიციხნოდი და თვალთ სარკვეს ვეძებდი.

— ხა, ხა, ხა... ღმერთო, რა სასაცილოა! რა კარგი ხარ აგრე, რომ იცოდე... შემომხედე!

და შენ უცებ გულზე მიმიკარ.

— ღმერთო!...“ ჩააფიქრდი კვალად და მომიჩერდი მრავალ აზროვნანად. „რომ ვერ მოვიგონე, ვის გეცხარ?!“

აი სულ გასათხოვარი გოგონა ხარ, ღმერთმანი“.

...ხ-ხ-ხ“ გაისმა ქარის ზუზუნი და ჩვენს თანჯარას თოვლის გუნდი შემოაყარა.

ოო, რა ცუდი საღამოა... ასეთ ნაირად ქარის სისინის დროს რაღაც გამოუცნობ შიშსა და საშინელ ობლობას განვიცდი“. დასძინე და ამოიოხრე, კელს კელი ჩამავლე და ნალევლით სავსე თვალეები მომაპყარ.

— შენაც ჰკრძობ, გეტყუბა...“

— როგორ? შეგვეკითხე მე.

— აი, ამ წუთას შენი თვალეებიც საშინლად სვედიანობენ.— მაგრამ რას ვამბობ?... მე... მე ეხლა უსახლვროდ მზიარული ვარ, რაღაც ნათესაურს ვპკრძნობ ჩემს ახლოს. აი, მე შენი კელი მიპყრია და ჩემ გულშიც თბილი გრძნობა მკვიდრდება. სული მუდამ მღერის... ხომ კარგია ობოლ სულთა ნათესავობა? მათი... ხომ კარგია?

— ჰო, კარგია“, ძლივსლა ამოვილაპარაკე და შევამჩნიე, რომ ჩემი გულის ცემა შორს გაისმოდა.

— წუხელის, წუხელის კი...“

— რა მოხდა წუხელის?

— წუხელის შენ არ მოხვედი; ტყვილად დამპირდი, და მეც ასეთ ქარში და თოვლში ვარეთ გამოვედი, ვიხეტიალე, ალბათ შენ თუ გეძებდი, ჩემს ახლობელ სულს. შენს ბინაზე მოვედი; შორით ვუპკრეტდი შენს თანჯარაში სინათლეს და გულით გლოცავდი, რომ უშფოთველი ძილი მოეცა შენთვის ზეცას...“

სულ მარტო ვიდექ, საშინელი ქარი ზეოდა, თავზე ქული წამაძრო და შორს გაიტაცა. მე კი სულ ვიდექ და ვერ ვერკვეოდი. ბოლოს სარკმელში შენი აჩრდილი გამოჩნდა წუთით, გიჟივით მო-

სხლტდი იმ ადგილს და გამოვექანე სახლისაკენ. რალაცასი მეშინოდა— არ გაგეგო ყველა ეგ... კარები ჩავიკეტე დავექე აი აქ და... და... უცებ შესწყვიტე.

გული ჩემი ლაღობდა და სიყვარულის ფსალმუნს გითხზავდა... ჰო, რა უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავ იმ წუთას, ჩემო კარგო! რა ნეტარება არგუნე ჩემს მრავალხნობით წამებულ სულს.

მე ვეშინობდი თვალის დახამხამებას, სუნთქვას! მაშინებდა ჩემი გულის ცემატ, რომ ეგ სიყვარულის ძაფები, ეგ სუსტი ქსელი უხეშად არ შემერხია.

ედუმდი და ველოდებოდი შენს სიტყვებს.

— თქვი, კიდევ თქვი ჩემო სულო!.. ძლივს წამოვიღულულულე და მოგამტერდი.

მაგრამ... რა მოკლე ხნით ვიყავი ბედნიერი; მხოლოდ ეს იყო იმ ზღაპრულ ზამთარში. მაგრამ განა ესეც არ კმარა? გმადლობ უსაზღვროდ, ჩემო კარგო ამისათვისაც! ყოველი შენი სიტყვისთვის, ნალელიანი კმის ნაკვეთებისთვის..

და როცა ამ საოცნებო სიტყვების გაგრძელებას ველოდი, ერთი თვალში ჩამხედე და გიგივით ხეზე წამოიჭერ... ქუდი ამკადე, გამაძერ უცებ შენი ტანსაცმელი და ნაწნავებსაც გიგივით შლა დაუწყე. და დაკმშვიდდი, როცა მიხილე რომ მე „მე“ ვიყავ.

— შენ, მგონია, რალაც საქმე გქონდა, არ დაიგვიანო დასძინე და ქუდი სკივრში ჩაჰკეტე.

კვლავ ახლოს მოხვედი, ჩამხედე და ჩურჩულით მითხარ: „ის, რაც ახლა გითხარ, იცოდე, ბოდვა იყო... ხუმრობა, ზამთრის საღამოს ხუმრობა.

შენ კი ყველაფერი დაიჯერე! რა გულუბრყვილო ხარ, ღმერთო ჩემო! ხომ დაიჯერე? ხა, ხა, ხა!..“

— ტყუილია“, წამოვიძახე ღიმილით, „მეც არაფერი არ მჯეროდა; აკი, შენ თავიდანვე სთქვი, რომ ხუმრობას მივეყებოდი, ოხუ ნჯობდი?...“

— მართლა, მე ეგა ვთქვი? მით უმეტეს. არაფერი დაიჯერო... ღმერთო რა სასაცილო იყო ყველაფერი ეგ!..“

იცინოდი, მაგრამ ამ სიცილში, ჩემო კარგო უსაზღვრო შიში გეხატებოდა, რომ ოდნავ ვაჰშაღე შენი გრძნობა.

მერე ეგ რა შენი ბრალია?.. შენ დაივიწყე ყველაფერი და თვით შეჰქმენი ილლიუზია, რომ შენს წინ მეგობარი ქალი ზის, ად

ამ ქალის წინ აამეტყველე შენი სული ხვეულები, კარგ დროზე გამოერკვიე და შიშმა მოვიცო. მიჰხვდი, რომ წირეს გადასციდი... მის შემდეგ ზრუნვით მიმაღავდი ქალის ქედს...

### III

#### ნანგრევებზე

მითხარ, რად უნდა გავრძელებულიყვნენ დაუსრულებლად ჩემი წამების დღენი? ნუ-თუ შენთვის კიდევ საჭირო იყო წერთნა ტანჯული სულისა?

ქრისტესათვისაც ხომ ძნელი შეიქმნა სიყვარულისათვის წამება და მამას შესჩივლა, — პიეპარზინა მისი სული, შენ კი ჩემგან შეუძლებელს ითხოვდი...

ყოველი დღე შენთვის ტანჯვაში იშვებოდა და შენსავე აღში იწვოდა. და როცა დაუსრულებელი შეიქმნა მისი წამება, ჩუმაღ შეგევედრე, „მაკმავე ჩემო კარკო“... „კიდევ, კიდევ!...“ გამოიხმოდა შენი გულის ძვრაში. როდემდის, როდემდის?!

მაგრამ პასუხი არსაით იყო.

და ერთ დღეს ვიფიქრებ შენთან, მინდოდა გული გამეკსნა და მთელი მისი ტკივილები შენაც გეხილა, მაგრამ შენმა მრისხანებამ ჩემი ვნება დააცხრო და საიდუმლოებრივ სიჩუმეს მამა.

— რა სასტიკია ზეცა ადამიანისადმი! აბა რა უნდა, რას გამოელის მისი უსაზღვრო წამებისაგან?..“

დავიწყე მე და შენს მაგიდაზე შემთხვევით ნაპოვნი ფსალმენი გაეშალე.

და ყველა ამ ტანჯვისათვის იგი მარტო ლამაზ, წმინდა ლოცვებს და მარადიულ სიყვარულს იმკვიდრებს ამ ქვეყნად...

— შენა გგონია ადამიანები ნაკლებად არიან სასტიკნი?

— ვისაც უყვარს იგი, არ შეიძლება სასტიკი მსაჯული იყოს“ გიპასუხე მე და ფსალმუნის კითხვა დავიწყე, თუმცა ჩემს გულს არათფერი ეკარებოდა.

— განა შენ თვითონ სასტიკი და მიუვალი არა ხარ? განა შენ თვით შედიდური და ამაყი არა ხარ?..

— ხა-ხა-ხა!“ გულიანად გადვიხითხითე, „სად მე და სად სასტიკე? ცუდად გიცნვიარ.“

— მე არ ვტყუვდები...

— თავი ჩავჭკიდე და საშინელი ოხვრა აღმომკდა...

ეჰ, ვის შეუძლია გაიგოს ჩემი გულის იდუმალება!

— არა, არა... ძლივს აღმოვხვდა, ..შენ სცდები... ან შეიძლება შენ გახსოვს ის, წინანდელი ძველი, თავისუფალი აკაკი... მაშინ იგი ლაღად დაფრინავდა და არწივის წინ ქედს არ იხრიდა, ხოლო ახლა კი...

— ახლა რა?

— ოჰ, რა გაუგებარი და რა მტარვალური ბუნება გაქვს! რად გინდა ყველაფერი მათქმევინო?..

— თქვი!..

— რა გითხრა? შენ მაინც არ გაიგებ და მეც ისევ ობლად ვატარებ ჩემს სევდას ამ უფერულ დღეებში... ძნელია!.. მაწამე, მაგრამ შენს ძვირს მაინც ვერავეინ მათქმევინებს, ჩემო კარგო. შენ ამოსწურე ჩემი ძალა, გამოჰფიტე სულის ძლიერება... ფოლადის ნება დაადნე და გული ჩემი, სიამაყის ქურჭელი, ნამსხვრევებად აქციე...

— როგორ? იკითხე განცვიფრებულმა.

— შენდამი ობოლმა სიყვარულმა აწამა ჩემი სული... ეს იყო ჩემი პირველი აღსარება შენს წინაშე... უკანასკნელიც.

საშინელმა სიჩუმემ მოიცო ყველაფერი; გული მძიმედ მიცემდა. დიდხანს ვერ ვაებდე თავის ზევით აწევა.

ბოლოს გაისმა შენი მძიმე აღმოხვრა... ეხ, ვინ იცოდა. მაშინ, თუ რას ჰნიშნავდა შენი კვნესა!.. უცებ თავი ავწიე და... ჩვენი თვალეები შეჰხვდა... პირველად მას შემდეგ, რაც გულმა საიდუმლოება გიმზილა. შევხედე მაგ უფსკრულ თვალეებში და გაეოცდი; საშინელმა შიშმა ამიტანა; ვერა, ვერ ვიცან მისი ახალი გამოხედვა. რალაც ახალი, საიდუმლოებრივი, აუკსნელი გამოსჭვიოდა მათში... შევკრთი, წამოვიჭერ და უსიტყვოდ გაგშორდი. აკი, მაშინ ჩემთვის საყვარელი თვალეები სულ უცხონი შეიქმნენ! აკი, მას შემდეგ გარდიქვა მათი ხედვის საიდუმლოება ჩემს მტანჯავად! რად, რად მიცქეროდა აგრე უცხოდ, უცნობად შენი ლეთაებრივი თვალეები, მას შემდეგ, რაც ჩემმა გულმა თვისი წიაღი გადაუშალა?!

შენის თვალეების ამგვარმა ცქერამ უფრო დაწეწა ჩემი სულის საიდუმლოება მისი მკვლელ ამოცანად გარდაქექვა...

მინდოდა ამომეკითხა მათში ჩემი სიყვარულის პასუხი. მაგრამ შენს ნახვას ვშიშობდი და უფრო გაგშორდი... დიდხან ვეხეტე

ქვეყნად, ბევრს ვისმე შევხვდი, მაგრამ მსგავსი იმ ხედვისა ვერც ერთმა თვალმა ვერ გადმომცა...

ერთ ქალაქის შესანიშნავ გალერეაში სურათებს ვათვალთვალებდი. გამოფენაზე ჩემი მეგობრებიც იყვნენ. მრავალი შესანიშნავი სურათი იპყრობდა მათ ყურადღებას, მაგრამ მე ვერც აქ ვიპოვე წუთიერი შეება და კმაყოფილება.

უცებ ერთმა პატარა სურათმა მიმიზიდა; დანარჩენებიც მომეყვენ, შეხედეს და გაჰმორდნენ... წუთით დაათვალიერეს; მე კი თვალები ვერ მოვაშორე.

„ნანგრევებზე“ ეწერა ამ პატარა სურათს.

ძველ პომპეის ნანგრევებზე იდგა ახალგაზრდა ქალი და მისი სახე ნალელიანობდა.

მისი თვალები!.. აბა სად შემიძლია გადმოგცე, ჩემო სულო, მათი გამოხედვის ძალა..?!

...და პირველად მაშინ იგრძნო შეება ჩემმა სულმა, იგი მიხვდა, რომ შენი საიდუმლოებრივი გამოხედვა, რომელმაც შიში დაბადა გამოუცნობით, —სავსებით ავკსენ... ჰო, ეს იყო შენი გამოხედვა. ქალწული იგი გულში მოთქვამდა, რა იზილა მისმა ლამაზმა თვალებმა ძველი დიდება დამსხვრეული და გაცამტვერებული. მისი თვალები მძიმე სევდას გამოჰხატავდა და უცრემლოდ ტიროდა; რომ ძველი სიამაყე დაიმსხვრა და იგი არასოდეს არ აღდგება, ვერ გამოთლდება...

მეც ხომ, ჩემი სიყვარულის მხელით, ჩემი სიამაყე დავამსხვრიე და შენი თვალების გამოხედვაც ამ „ნანგრევებზე“ ჩემად ტიროდა და სიბრალულით ივსებოდა. ვის შეუძლია, ჩემო კარგო, აღადგინოს კვლავ მისი სიამაყის მთლიანობა? ეჰმადლობ კელოვანს ვინც ეგ ამიქსნა.

## IV

### სიმფონია.

შენი ღიმილი, რომელიც ლამაზ გრძნობათა კონაა, ყველას და ყოველს შეების ნამად ფერქვევა და მკენარ იას სასიცოცხლო ძალას აძლევს... ისიც პეპელასავით ნაზად არხვეს ლურჯს ფრთებს, ალბათ გული თუ აუძგერა შენმა ქვრეტამ. ყველაფერი რასაც კი შენი სუნთქვის ქსელი შემოგხვევა, ცელქობს, ლაღობს და იღუმალ ლხინის კმებს წყნარ სიმფონიად ჰშლის; მთელ ბუნებას ახლად

ფურჩქენილ ვარდის სურნელოვანი ფოთლები აცვივა და მისი წილი წითელ ხავერდად ღვივის. შენაც ხომ მუდამ ამ ხავერდზე დადიხარ და ყოველი ვარდის ფოთოლი სიყვარულის ლოცვად თრთის, შენ ჰქმნი ამ მშვენიერ ქვეყნიურ ჰიმნს, სილამაზის ქვეყანას, მაგრამ მე მუდამ მის გარეშე მტოვებ. რაღა? შენი უსახლვროდ კეთილი გული ერთ ნათელ სხივსაც კი ვერ იმეტებს ჩემი ობლობის გასათბობად; არც შენი ლამაზი ღიმილის ქსელი ეხვევა ჩემს წამწანებს.

მათზე მხოლოდ ჩემი ცრემლის ორთქლი აშრება... მაგრამ მე ისიც მიყვარს—ჩემი გზაშტერული ცრემლი—აკი შენ მარტუნე იგი, ჩემო კარგო... გმადლობ ამ ცრემლისათვისაც! მან მარტო უნათესავოს ჩემს ობლობას, შენ კი იარე, თმა-ხუჭუჭავ, ვარდის ფოთლების ხავერდზე...

იქმნებ ოდესმე შენს განვლილ გზაზე მეც ფეკი შევდგა და მისის მშვენებით დაეტკებ... მე ვიცი მისი ნეტარება: ერთხელ ვიგრძენი. პაწია მდინარე, რომელიც შენს ყვავილოვან ბაღს შუაზე სკრის მუდამ წყნარად მიდუღუნებდა, მისი ბედიც არ იყო სანატრელი—ცხოვრების გზა ერთფეროვნად იშლებოდა მის წინ. როგორც ყოველთვის, იმ დღესაც შენ დაგეტყბდი; შენ რომელიც ყვავილთა წიაღში აღზრდილი, მინდვრის შვილი ხარ. წუთით თვალი შოგაკარ; მდინარის ნაპირას იჯდ და ლამაზ კენჭებს არჩევდი, თან რაღაცას წყნარად დაჰლილინებდი. ხან შესდგებოდი, კელებს გულზე იკრეფდი და მდინარის პაწია ტალღებს ღიმილით დასცქერდი. გიტაცებდა მისი ცლქობა და ჩოუსვენარი დუღუნი; შემდეგ კვლავ განაგრძობდი კალთაში კენჭების რჩევას. პაწია ტალღებზე, უცნობ ბავშვების მიერ ქალაღლისაგან ნაკეთები ნაფი მოქროდა, სულ პაწაწა და შიგ მწვანე ბალახის ღერები ელაგა... უციბ წამოიქერ და მას გაეკიდე, ზრუნვით ნარჩევი ფერადი ქვები წყალში გადავიცივდა, მაგრამ მაინც არ შესდგე და ქალღღის პაწია ნავს გამოუდგე. მიჰრბოდი და თან კმა-მალლა ჰკისკისებდი...

არ ვიცი, დაიჭირე თუ არა ის ცელქი ნაფი, ხოლო ჩემის თვალებისაგან კი მიეფარე და შენდგე თმაგაშლილი მინდვრად გაიქერ გიფი იყავ, გაზაფხულივით...

ნელის ნაბიჯით მიუახლოვდი იმ ადგილს, საცა შენ იჯედ, თვალები მდინარეს მივაპყარ და მაშინ ვიგრძენ, რომ ქვეყანა ახალის სახით მეშლება. პირველად ვიგრძენ, რომ მდინარის დუღუნში მშვენიერი მელოდია იხატებოდა და მისი გზაც მრავალფეროვა-



ნი და სიციცხლით სავსეიყო, პირველად განვიცადე მის ღამაში თამაში მნათობის სხივთა ძნის. რამ შეცვალა აგრე, წყნით მიმდინარე, ზვირთების სახე?

რა გულუბრყვილო კითხვაა, ჩემო კარგო!.. აკი მან შენი ღიმილის ქსელი გულს ჩაიხვია და შენი თვალის ელვარებაც ზედ გადააწნა... შენმა მშვენიერებამ, რომელიც ამ სარკეში აღიბეჭდა, მისი ღიწია სიგიჟეს მისცა და სიტკბოებით დაათრო... და ისიც ღბინობს... მაგრამ მე? მეც ხომ განვიცადე შენი სახის მეტყველება და სილამაზე? რად არ მშორდება წამების ოხვრა? ჰო, მივჰხვდი, მივჰხვდი, სახიერო... მე ხომ ეს არ ვიკმარე და შენი სულის წიაღშიც შევიკერ და მან მოშამა ჩემი არსება. იყავ კეთილი და ნუ უჩვენებ მდინარეს ობოლი სულის სახეს, ნუ შეუცვლი კენესად ღბინის მელოდიას...

—

## V

### რეკა

თითქოს იცოდი, რომ ჩემის გრძნობების მესაფლავე იყავი; უგულო მესაფლავე, რომელიც ყოველ ახალ წყლულს მხოლოდ მიწას აყრის და დაქრილის კენესას კელოვნურად ჭჷარავს. კვლავაც დაფარე, გადააყარე ჩემს ქრილობას ცივი მიწა, რომ შენს თვალს სევდის ბინდი არ გადააყრას მისმა ხალვამ...

აბა სხვა დროს, როდის შემშურებია შენთვის მსხვერპლი, ჩემო კარგო? განა მარტო ესეც არ კმარა ჩემთვის? შენი სულის საკურთხეველი მუდამ კეთილშობილს ჰყოფს შეწირულ მსხვერპლს. კვლავ შეიწირე! მე არა მშურს... მიწა მიაყარე, დაასამარე..

ჰო შენ ჩემის გრძნობის მესაფლავე გიწოდე.

აკი, მე ყოველთვის სიყვარულის და სიციცხლის წყურვილით მოვდიოდი შენთან და შენ კი სასაფლაოსკენ მიგყავდი სასიეროდ და ჩვენაც, ცუთაებრივის იღუმალეებით მოცულნი, ვიდოდი ამ სიჩუმის სამეფოში, ძველ საფლავეთა ქვებს შუა. რამდენი გრძნობა მარბია ამ უძღებ მიწაში! ესეც ხომ ჩემი ბედია, მაგრამ ჯერ რად? რად უნდა უფლობდე ჩემს გრძნობას მიწა, სანამ მე მასზე დავდივარ და თავისუფლად ვმოძრაობ? რად შეიქენ ეგრე სასტიკი მხოლოდ ჩემთვის, გრძნობათა მესაფლავე?..

ცაცხვის ძირს შეეჩერდით და ჩუმად ჩამოვეჯდით.

— რა კარგია, აი ეს ადგილი, წყნარის კმით ამოიკვნესე და წამებანებულ, მობიბინე ბალახს ნაზად კელი გადუსვი.

— რით არის კარგი? შეგეკითხე მე.

— ისე, ლამაზია მეტად. ნეტაი მას, ვინც მშვიდად მოისვენებს ამ ცაცხვის ძირას, აი ამ ადგილას. შტოების რხევა და შრიალი, ყვავილოვან ბალახთა ჩურჩული მოწაბლავ ზღაპარს უამბობდა მას. ეს მორაკრაკე მდინარე კი სიცოცხლის ამბებს უფლურდა. ოჰ, რა სიმოვნებით დაევიკრუფდი აქ კელებს!

მინდოდა რალაც მეთქვა. მაგრამ უნებლიეთ ბაასი შეგვაწყვეტინა თეთრწყვერა მნათემ. იგი ეკლესიიდან გამოვიდა და მოწიწებით თავი დაგვიკრა.

შენ, ჩვეულებრივის სიცეტით წამოიჭერ და მოხუცს მიჰვარდი. ისიც ხითხითით მოგვეგება.

— უყურე, შემომჩახე მე და მნათეს ცალ ყურში კელი დაავლე „დახე ლუკას, აკაკი... არ შეგიმჩნევია, რომ ცალი ყური უფრო დიდი აქვს? რა სასაცილოა... ხა-ხა-ხა!..

— რად დამცინით, ქალბატონო? ღმერთს ვერე გაუჩენივარ“ ღიმილითვე მოგიგო მან. მე ძველ ადგილას ვიჯექ და არ ვიძროდი.

— ლუკა, განაგრძე შენ ისევ ცოცხლად, „აი ის ადგილი, საცა აკაკი ზის, ჩემი იყოს; კარგი? ის ჩემი საფლავია.

— რას ჰბრძანებთ, ქალბატონო...

— მართლა; მე ის საშინლად მომწონს, მეტად ლამაზია.

— რა დროს თქვენი საფლავზე ლაპარაკია, ღმერთმანი? ჯერ ცხოვრება არც კი დაგიწყიათ, წინ ბედნიერება მოგელისთ. ნუ იტყვით აგრე, ღმერთს სკოდებთ“, წყენით დასძინა მან,

— კარგი, კარგი, ნუ იწყენ, მე ვიხუმრე... შევრიგდეთ ჩემო ბიძია, კარგი? მაჩვენე აბა მაგ ყური... გულმოსული ხარ?

— გულმოსული რად ვიქნები. მაგრამ...

— ჰო, კარგი; შევრიგდეთ, ჩემო ლუკა... და მოხუცს ყელზე მოეხვიე.

მან მოწიწებით თავზე კელი გადწვისვა, გაგიცინა და თავი დაგვიკრა, გაგვშორდა კეთილი მოხუცი.

მას შემდეგ კშირად ვათვალთვალე მისი სასაფლაოს. ერ-

თხელ მნათეს ფული ვაძლიე და ესთხოვე გაემშენიერებინა იგი, ყვა  
ვილებიც დაერგო, თეთრი ვარდები. მე ვიცი რომ შენ გიყვარს თე-  
თრი ვარდები.

— არ შეგიძლება. ბატონო. მომიგო მორიდებით ლუკამ.

— რადა?

— სასაფლაო სხვისი გახლავთ. იგი ნაყილია, ბატონო.

— არ გაჰყიდის? არ შეგიძლია შენ მოაგვარო ეგ საქმე?..

— არა, ბატონო, მამაპაპეული საფლავია და არ გაჰყიდის. ეს  
საუკეთესო ადგილია ამ გალავანში. ვგრეც რომ არ იყოს, მაგის პა-  
ტრონს მაინც არ უჭირს იმდენად“...

მან შემამჩნია, რომ ეგ ამბავი საწყენად დამირჩა.

— მივირს ბატონო, დასძინა მან, რად ჰპრუნავთ ახალგაზრდე  
ბი ვგრე საფლავისათვის და სიკვდილზე ლაპარაკობთ; აბა რად სკო-  
ლებთ ღმერთს! ამის პატრონმა რომ იზრუნოს, კიდევ არა უშავს,  
რიგიანიც იქნება. ცალი ფეკი სამარეში აქვს, დღე დღეზე სიკვ-  
დილს მოელის, ეხლაც მწოლიარეა, აგერ ერთ თვეზე მეტი იქნება“...  
არ იქნა ვერ მოეწყო სასაფლაოს საქმე, მაგრამ მე მაინც იმედს არ  
ვჰკარგავდი; ფეიქრობდი, რომ ავადმყოფი მოიკეთებდა და რიგიან  
ფასში იმ ადგილს დასთმობდა. ერთ დღესაც ჩვეულებრივ გამოვიარ-  
ე იმ ადგილის დასათვალღერებლად და შევამჩნიე მესაფლავენი გა-  
მალებით მუშაობდნენ. სიცილითა და დარბაისლურის ბასით სთხრი-  
დნენ მოხუცის საფლავს.

საცოდავი!.. მომკვდარა. რა რიგად სწყუროდა კიდევ ორი  
დღის სიციცხლე, ეჭიმებს შველას ევედრებოდა, მაგრამ...

ერთ კვირაში მის საფლავს დიდი ქვა დაადვეს შესაფერისი  
წარწერით... ყველაფერი გათავდა, ჩემო კარგო!.. ყველაფერი გათავ-  
და... შენ ჩემდა უნებლიედ საფლავს მამარებ და განუწყვეტლივ მა-  
ყრი თითო მუჰა მიწას, რომ სიკვდილიც კი ტანჯვად გადამიქცეო  
ხოლო მე... მე, შენის თხოვნით, სასაფლაო მიწაც კი ვერ ვიშოვე.  
რა უმწეო შევიქენ ამაშია...!

საშინელი ღამე იყო და ქარი ყველაფერს ამტვრევდა. სული სახლ-  
ში ვერ ისვენებდა და ქუჩაში გამოვედი. თვით არ ვიცოდი საითკენ  
მეჭირა ვხა, მაგრამ გული ჩემი მტკიცედ ჰმართავდა სვლას. ეკლე-  
სიის გალავანში ჩავედი. მიუახლოვდი ცაცხვის ხეს, წუთით მივიქერ  
შენს საყვარელ ადგილთან და რაკი წყვილიადში ჭელი შევახე ცივ  
მარმარს, კენესა აღმომედა.



თავი დაეხარე და ქარის ზუზუნის კმაზე ჩაესჩურჩულე გულზე თილ მოხუცს:—„აღდეგ მკვდრეთით, სათნო მოხუცო; აღდეგ და დაუთმე ეგ ადგილი მას, ვისაც ასე სწყურია ცაცხვის ქვეშ მოსვენება“. ხის ფოთლებში ზუზუნი გაისმა, მოხუცი კენესოდა; გული სტკიოდა, რომ თხოვნას ვერ მისრულებდა, რადგან გულზე დიდი ლოდი აწვა... მძიმე ლოდი; მისი გადაბრუნება ხომ ცოცხალთა ვალია... და მე ერთს წუთს ავენთე, ცივ მარმარილოს კელი დავავლე და მძიმედ გაისმა მისი ტლაშანი სოველ მიწაზე; ქარმაც დაჰბერა. აეშვა მოხუცს და ქარის კმაზე ალთქმა მომცა... ჰო, ახლა მისთვის ადვილია აღდგომა. ეი, შენ სულო ჩემო, ახლობელო ჩემო, გაიხარე! შენი საფლავი კვლავ თავისუფალია, მოხუცმა იგი დაგიტმო. მაშ მოდი და მოისვენე, რომ ცოტად მაინც შემეცირდეს ჩემი ტანჯვა და მეც შევება ვიშოვო. გაიხარე!.. იგი აღდგა მკვდრეთით, სადა ხარ, ეი? არ გესმის? მშვიდად გძინავს? მაშ მე დავარღვევ შენს ძილს, რომ გამცნო ყოველივე“. და ერთს წუთას სამრეკლოზე ავედი, თოქს კელი დავავლე და სამჯერ მძიმედ ჩამოვკარ ხარი... ქარმა იგი შენსკენ წამოიღო.

— ვინა ხარ? შემომძახა მნათემ.—მე ვარ, აკაკი... აღდგა მკვდრეთით, გიხაროდეს! მან პირჯვარი გადაიწერა...

„—“

## VI

### სიცივე

ბაღში ვისხედით. ცივი ქარი ქროდა..

პაწია გოგონამ დის თაიგული მოგვაწოდა, მას სიცივისაგან ნახევრად შიშველი ფეკები დაჰლოურჯებოდა, იისქფერად. შენი ფართო თვალები მისდამი სიბრაღის ცრემლმა მოაცო და როცა იის თაიგული შენ გადმოგეც, ნელა თავი დამიკარ და უსიტყვოდ პატარა გოგოს გულს დააბნიე. მის ლაწევებს სიხარულისაგან სიწითლე გარდაეფინა.

— გმადლობ კეთილო ქალბატონო, მაგრამ მე... მე ეგ არ მშვენის. აი ბატონს მიუძღვნათ ორთავე.

მე უარი ვთქვი. მან კელახლა თავი დაგვიკრა და გაგვშორდა. მის მკერდს იის თაიგული ამშვენებდა...

— რა საშინლად ცივა... ძლივს ამოილაპარაკე და მთელი ტანი შეარხიე.

— უღმობელია ზამთრის სუსხი, ნელა დავსძინე.

— ისიც ქრება თავის უღმობელობით, ცოტა კიდევ და გაზაფხულიც სულ გაიმარჯვებს. ხეებიც თითქო ჰგონობენ ამას და თავი უფრო მედიდურად უჭირავთ ამ ქარის წინ. ისინიც მალე დაიწყებენ კუკურის შლას და ამ ფოთოლთა ნელ შლაში კვლავ მოვისმენთ გაზაფხულის სურნელოვან სიმღერას. კარგია!

— შენ პოეტურ სახეებით აზროვნებ,“ შეგაწყვეტინე მე.

— გაზაფხული ხომ ყველას პოეტად ჰხდის; მე მგონია, მალე სიყვარულის ლექსებსაც დამაწერიწებს.

ორთავე ჩუმად ჩაეციენთ. ეს სიცილი გაზაფხულის მზიარულად შეხვედრას პნიშნავდა. მოვიდეს!.. მალე!..

— შენ არ გცივა? შემეკითხე და გოცეებით ამხედ-დამხედე.

— არა.

— საოცარია. მაშ მომხვიე კელი, იქნებ ცოტად მაინც გავთბე. კელთათმანებიც სველია, თითები სულ წამყინა.

მოწიწებით კელი მოგხვიე და შენი ცივი კელები გულზე მივიკარ. ჩუმად ვისხედით.

— რა კარგია... ოხ, რა კარგია აგრე... სიკვდილი, მოსვენება. ვჰფიქრობდი და რალაცას ვჰბუტბუტებდი. ან შეიძლება ამავე სიტყვებს ჩაგჩურჩულებდი მაგ პაწია ყურში. შენ თვალები დაჰხუტე. მხოლოდ ერთხელ მინდოდა დავჰკონებოდი შენს ტუჩებს და ჩემს გულსაც აეშვებოდა; პირველად მინდოდა მომეპარა შენთვის ლამაზი კოცნა. ანთებული ბაგეები ის იყო უნდა დაჰკვროდა შენს ტუჩებს, რომ უცებ შევეკრთი და მის ნაცვლად ყურში ჩუმად ჩაგჩურჩულე: „ადეგ, დროა წავიდეთ!..“

და ამ რივად, მევე დავამსხვრიე ეს [სილამაზის ილუზია და ნეტარების წუთები მოვიშხამე. რად? რად ჩავიდინე ასეთი სისასტიკე?

უსიტყვოდ მოვიჩქაროდით თეატრისაკენ.

— მგონია ავადა ვარ, გაისმა შენი ნაღვლიანი კმა, „მაშ რად მცივა ეგრე საშინლად?“

თეატრი ხალხით სავსე იყო.

როცა ჩვენ შევედით, მეორე ზარიც დაჰკრეს.

ჩვენ ღიღის ხნობით ვემზადებოდით ამ ლექსიაზე დასასწრებად.

ცოტა ხნის შემდგომ ფარდაც აიკადა...

ადგილები არსად იყო და ჩემი სკამი ერთ ნაცნობ ქალს დაუ-  
თმე.

აჰა, სახელოვანთქმული ლექტორი მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს კელოვანებაზე, სილამაზეზე,

მისი ჭალარა წვერი მოწმობს დიდ გამოცდილებას და, სიყვარულის აღში ნაცადი, გულიც იშლება ჩვენს წინ... მაგრამ მე ეგ რა მომდის? მთელი ჩემი ტანი საიდუმლო აღმურით იწვის. თითქოს ვპგრძნობ, რომ ერთხელ კიდევ არა ჩვეულის სიძლიერით აღენტო ჩემი სული და მისი აღის გრძელი ენები შემოეხვია მთლად ჩემს ტანს, ვიწვი და თავი საშინლად მკიკურს. აჰა, ცოტა კიდევ და ალი ტანისამოსსაც მოედება, სხვებსაც ალაგზნებს და ღვთიური ცეცხლი დასწვავს მთელ ხალხს, ცეცხლი გამწმენდი. კურთხეულ იყოს ძალა მისი!.. მე მეშინია ყოველი საგნის კელის შეხება. მეშინია ცეცხლის ბურთის, რომელიც ჩემში იწვის და რომელიც მევე მწვავს...

ასე ალაგზნო შენმა გაყინულმა კელებმა და ტანის სიცივემ საშინელი ცეცხლი ჩემში. ასე მწვავდა შენი ყინვა... ხოლო შენ ჩემმა ცეცხლის გულის ძვერამ ოდნავადაც კი ვერ გაგრძნობინა წუთიერი სითბო. ვინ აქნას ყველა ყველა ეგ?.. სად არის ამის საიდუმლოება ჩემო კარგო?

ანთებული შუბლი მარმარილოს ცივ სვეტს მივაბჯინე. წამით შენელდა მისი წვა. ასე ვიდევ დიდ ხანს და არათფერი მესმოდა ლექტორის მჭევრმეტყველებისა.

ვილაცამ კელი დამადვა და წამჩურჩულა: — გეძინება ჩემო? "

— დამცინი, გაეფიქრე მე, „აბა რა დააძინებს და მოასვენებს ჩემს ნაწამებ სულს.

ოჰ, როდემდის, როდემდის? " კვლავ უძრავს კელი შემახე. მე სხვა მეგონა და შევკრთი...

აკი სხვას ცეცხლი მოედებოდა კელზე; მაგრამ ჯდავმწვიდდი, რა შენ გიხილე, შენ, რომელსაც ჩემი მწველი ალი ოდნავადაც კი ვერ გათბობს სიცივეში...

1913 წ. ქ. დორპატი.

აკაკი შაბაღა.



## რომანსი.

ღამეა ნათელი... მაგრამა რა ბნელი!  
 ვღგავარ შენს სარკმელთან, ვიტანჯვი, ო, ნელლი!  
 მითხარი: „ნახვამდის, შენი ვარ მოველი.“  
 ღამეა ნათელი, მაგრამა რა ბნელი!  
 შორიდან მოვედი, წინ მედო გზა ძნელი,—  
 და შენ კი... და შენ კი... ახ, რალას მოველი?!  
 ღამეა ნათელი... მაგრამა რა ბნელი!..  
 ვღგავარ შენს სარკმელთან, ვიტანჯვი ო, ნელლი!

\* \* \*

მაისისის დილისა სიმღერა სურნელი...  
 მოდი ჩემს საფლაველედ, მიტირე, ო, ნელლი!  
 მაპკურე აღმასის ცრემლნი ~~ამბოლო-ნელლი~~  
 მაისის დილისა... სიმღერა სურნელი—  
 ამბორი სულისა ყვავილთა მქონველი—  
 ჩამძახე. მასმინე მკედარ გულას მკურველი—  
 მაისის დილისა სიმღერა სურნელი!..  
 მოდი ჩემს საფლაველედ! მიტირე ო, ნელლი!..

კ მაყაშვილი.



## 19 ღვინობი. თვის საღამო.

ნობათად ნ. ა—ს.

გარდაიცვალა დღე პირველი, წარჩინებული ეამთა სრბოლაში  
 და ფეკაკრეფით ჩამოწვა მწუხრი, განუჭკრეტელი, ვითრძის მორგევი.  
 მისწყდა რიალი, დაკალიერდა ტრიბუნა და დიდი დარბაზი.

მუნ დაშთა მცველად ქართლოსიანთ მთლიანობისა

განთიადივით მოელვარე დროშა სამეფრი

და ზედ, ვით მტრედი, თეთრი მტრედი ტაძრის კრეტსამმელს,

დიდი მოძღვარის, წამებულის არჩილის სული...

მივჰყვები ქუჩებს ღვინობისთვის ბურუსით მთერალეებს,

მინდა ვახარო ძველ სალაყბოს და ნარიყალას:

ნულარ პარტახობს მათი ჰუნე და ნურც ვალალობს—

აღდგა ერი და თაყვანს სცემს შავ-წითელ ალამს.

აჰ, რა კარგია ცხადი ზმანება, მაგრამ გული რომ ხარბია მეტად!

არ მაქვს საყვირი, ცას მივსცე ზარი,

მსოფლიომ ყური მიუგდოს ზეიმს.

წინ მეგებება ნაირი ბრბო გადამთიელთა,

უნდილი ზრახვით ანთებულან მათი თვალები.

აგერ ფურნის წინ პურს ელიან ელდის კანკალით

წეროს გუნდივით გაბაწრულნი მოქალაქენი;

ეგერ ელექტროს ქოლგის ქვეშე კიდევ კრებული;

იქ კამათია ბალშევიკთა გაცხარებული.

მიდის ტრამვაი, დახუნძლული აკიდოსავით,

მოქრის ბოყინით არამზადა ავტომობილი,

ისმის ძახილი უწმაწური მთვრალ ჯარისკაცთა,

ყურში ჩამწივის მეგაზეთე: „გაზეთ, გაზეთი“.

ისე დაღამდა, როგორც გუშინ და გუშინ-წინა,

ძველებურადვე ლიცლიცებენ ქუჩის ფარნები,

ისევ ის დარჩა, კბილჩაბდღენილი ძველი ტფილისი,

კვალად კარნახობს სინამდვილე ნაცრისფერ წადილს.

მე კი მეგონა... სხვას ველოდი, სხვა რამ სასწაულს...

ჰეი, შედეგით, კაცუნებო, წუთის მონებო!



თქვენ, ქონისა და კარტოფილის მაძიებელნო,  
 სადა გაქვთ თვალი შურიანი, მახვილი ყნოსვა?!  
 ნუ თუ ვერ ჰხედავთ საამდროო სასწაულს ცისას:  
 იქ, ცხრა მთას იქით, ცხრა მთას გადაღმა  
 ზეციდან სცვივა თურმე პური თეთრი და შავი,  
 დიდ გოგორებად გამომცხვარი და უთვალავი!..  
 მყის აზრიალდა მილეთის ხალხი და... ჰა, ჰა, ჰაა!  
 თავ-პირის მტვრევით გაეშურა ჯანაბის უფსკრულს...  
 დაცარიელდა ქვაფენილები.

შივიდივარ მარტო და თან მიმაქვს მწველი განცდანი,  
 შინდა ვეახლო ჩემს სასურველს და მოსალბუნეს—  
 ვუთხრა თუ: აჰა, ჩემო კარგო, რა ჭრელია წუთისოფელი...  
 შაგრამ რად არის ეს გარემო ასე უცხო და ვარდისფერი?  
 პო: იქ მიმელის ქარბის გულის წითელი გრძნობა,  
 მიტომაც ლალობს ეს მიდამო და ჰორიზონტი!

გაგანიერდა ვიწრო ქუჩები.

შვიდობა შენდა, გულის-სწორო, და სიხარულო!  
 სულში დროშა მაქვს სასოების აწ აღმართული  
 და ზედ ალამი მოფართქალე თეთრ-მეწამული...  
 ასე დაღამდა დღე პირველი, წარჩინებული სხვა დღეთა შორის.

ა. კუმბაძე.

დედა-ქალაქი 1917 წ.



## ჩასული მშე.

## 1

მზე ცაზე ისე თრთოლვით კვდებოდა,  
 როგორც დაჭრილი გლადიატორი;  
 შუქთა შუბები შუა ტყდებოდა  
 და იხრებოდა ოქროს სასწორი.

აქა-იქ სხივებ დანაცემები  
 ისე წითლობდა ღრუბელთ კრებული,  
 ვით ბავე-თეთრი ხრიზანთემები  
 დაკოდილ ნუკრის სისხლმოცხებული.  
 შორს ქედებზე კი ზანტათ აშლილი  
 ისე დაეშვა ჩრდილთა მარაო,  
 თითქოს მიჯნური გლოვით დაღლილი  
 სატრფოს კუბოსთან დაიხარაო.  
 დადუმდა მიწა შუქ-დანაშორი  
 მთანიც დაფიქრდენ ანგლ რალაცაზე  
 და მზე კი როგორც გლადიატორი  
 ისეთის თრთოლვით კვდებოდა ცაზე...

## 2

შენც მე მზესავით მეთხოვებოდი  
 და ვგ თვალები ცრემლში ცურავდა;  
 მე კი შენს ცრემლებს უხმოდ ვჰხედებოდი  
 და სიკვდილის ფრთა სულს მიბურავდა.

შენ საყვედური გაიმეორე  
 და შემეკიაზე უკანასკნელად:  
 — „ჩვენ ხომ გვიყვარდა ერთი-მეორე,  
 მაშ რად ვუკდებით სიყვარულს მკვლელად“?..  
 „მშვიდობით!“ ვთქვით და თან საზარელად  
 გაიკმაურა კენესამ ჩემს სულში,  
 და ერთის წამით, მოულოდნელად,



გადავიხედე მთელს ჩვენს წარსულში...  
 და ვით ტბის ფონზე თეთრი გედები  
 ისე გამწკრივდენ ჩემს წინ ის დღენი,  
 რაც მე გაჩუქე ზღვა იმედებით,  
 რაც შენ მაჩუქე და მომიძღვენი.  
 ავტირდი... კელი შემოგაშველე  
 და მსურდა ისევე დაგბრუნებოდი,  
 მაგრამ წინ შემხვდა სიცარიელე,—  
 შენ კი მზესავით მთებს ჰშორდებოდი!  
 და სულ ამოდ გეძახდა სული,  
 ამოდ გდევდი თვალ-განასწორი,—  
 შენ მზე იყავი ჩემთვის ჩასული,  
 მე კი დაჭრილი გლადიატორი.

ს. ფაშალიშვილი.



# ბ ე რ ლ ი ნ ი

კვინკლოსიდან „დიდ ქალაქში“.  
(პოემა).

კურფურსტერ დამში თეთრი ქვებით უცხოდ ნაგები  
პირქუში, ვრცელი გველვეშაპი უკმოდ მქმინავი,  
ეგ საარაკო ქარვასლები, სარკოფაგები  
კარიბჭეებთან სვიმბოლიურ არწივის თავი.  
ხალხისა ტალღა შემორტყმული ელექტროს სალტით,  
იციანის, კენესის და ჩონქოლობს ნაირ-ნაირად  
შავნი დარბაზნი აგებულნი შავის ბაზალტით  
პირ-მოქუშულნი დამკობილან შპრეეს ნაპირად.  
რალაც ირყევა, იზნიქება... შავი ლანდები  
შემოიჭრება დიდ ქალაქში ქშენით, დაფდაფით,  
ტოკავს ოქროთი დაჩითული გირლიანდები,  
გირლიანდები აკინძული ელექტროს ძაფით.  
ისმის ხრიალი, ხრაშა-ხურში, ხარების ელერა,  
მეეტლეების, ვატმანების ფრთხილი პაროლი  
მოვრალ მეზღვაურთა კმადაბალი, ნელი სიმღერა,  
როკავს, ირხევა და ტორტმანობს სინათლის რგოლი.  
ოჰ, რა რიგ მიყვარს ამ სიგიეის უხვი წუთები,  
ქშენა, ზანზარი, თქარა-თქური, რბენა, განგაში  
ამ ქედ მოხრილთა ოფლიანი მკლავის კუთები  
დიდი ქალაქის ავკორკობის წითელი რაში.  
— მეზღვაურები, რომ ეტრფიან უცხო ნაპირებს.  
შორეულ ზღვაში დაეძებენ მუდამ დღე ზღვაურს  
ეგ სიყარული აწ ვერავის ვერ გააკვირებს  
თუ კი მიცნობენ ოდისეის მზღებელს უცნაურს.  
ქარხნის საყვირი განთიადის წინამორბედი  
ათი-ათასთა მბრძანებელი პოზაუნნი.  
ბედის მორჩილთა, უსასოოდ დახრილი ქედი  
მათი ამაგი უანგარო, და შრომის ძღვენი.  
ო ბერლინ, ბერლინ, მიყვარს შენი თეთრი მონები,  
ლამის სიგიეე, უცნაური ლამის ფანტაზმა

მე ვნახე შენი ფერგამკრთალი მილიონები,  
 როს ქარხნის გვერდით ჩაიარა ლანდების რაზმმა.  
 შენთვის ტვირთავენ ინდოეთში ოქროთი გემებს,  
 ოკეანიას რომ ქსელავენ ათასნაირად  
 მოაქვს ოქსინო, ფარჩეული შორით აქლემებს,  
 შემოლამებულ ქარავნებს არეზის პირად.  
 დიდია შენი გარყვნილება, შენი ცთუნება  
 ფერსა ჰკარგავენ შენ სხივებთან მნათობნი ცისა.  
მე შენს წიაღში მავიწყდება დედა ბუნება  
 შენს ქარხნებს ასდის ოხშივარად ოხვრა მიწისა.  
 ვხედავ ჰირნახულს და სადღაა შემქნელი კელი  
 კაცუნებს ვხედავ პირგამურულს ტყვიისფერ მასკით,  
 გუგუნებს ტკბილსა საგალობელს შენი ორღოელი  
 ვითა შეიხი ჩამოსული შორის დამასკით.  
 ლბინობს, ზეიმობს ენერგია დაუშრეტელი,  
 მოძრაობს დისკო უხილავის და შეუცნობის,  
 მილიონები ერთის ნების გამომხატველი,  
 მუნჯნი მსახურნი ვილაც კუშტის, ვილაც უცნობის.  
 აქ მზისა ნაცვლად ელექტრონსა ევედრებიან,  
 ყვითელ ლითონსა შეუცვლია იესოს ხატი,  
 მილიონები თვალის ფშვნეტით ფეკზე ღვებიან  
 აქ ისარია მბრძანებელი და ციფერბლატი.

კოწია გამსახურდია.



## ქართული პროზული ჰიმნი.

(„ალიფაშას“ კმაზე.)

- აბა ფხიზლად ქართველებო! მივჰყევით მამა-პაპათ კვალსა!  
 წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩაუფიქრდეთ მომავალსა!  
 ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!
- და უფრო უგდოთ გურჯი-ბოლახს და ნუ ვაღებთ დარიალსა!  
 მოსწონდათ და ახლაც მოსწონთ ჩვენი ქვეყნის მთა და ველი  
 მზით დამწვარი ჰიჯახელი, გაყინული ჩრდილოელი,  
 სპარსი, თურქი, ლეკ-მონღოლი, ბერძენი თუ რომაელი,
- და ყველა ჩვენსკენ ისწრაფოდა, ყველა, მაშრიყ-მალრიბელი.  
 იყო დრო რომ მმართველობა, სამართალი გვექონდა, სხვისი.  
 ბაღდადსა თუ ყარაყორუმს გზები გვედო ათას დღისი.  
 მტრისგან ბევრჯელ დარბეულა ტფილისი და ქუთაისი,
- და იმედს მაინც არ ვჰკარგავდით,—სული გვახლდა შოთაისი.  
 სად არ დგმულა ჩვენი ფეეი? სისხლი სად არ დაგვიღვრია?  
 ერანს, თურანს, ავღანისტანს ყველგან ჩვენი ძელები ჰყრია.  
 ფიცხელ ომში გაკურვებულთ ვეფრატ—დიჯლა დაგვიშვრია
- და ჩვენის სისხლით შეღებული ვისლა დღესაც არი მღვრია.  
 ოთხი დიდი საკელმწიფო მოგვიქამ-გაგვიცვეთია:  
 სადლა არი ძველი რომი, ან ძლიერი სპარსეთია?  
 არაბების ძლიერება, ამბობენ, დღეს ზღვის წვეთია.
- და ვის აკსოვან მონღოლები? სხვების ბედიც აგეთია!  
 სამი ათას წელზე მეტი გვიცხვრია, როგორც ერსა.  
 მრავალ შავს დღეს მოვსწრებივართ, შაგრამ ბევრსაც ბედნი-  
 ერსა,  
 უსიკვდილოდ არვის ვუთმობთ ჩვენს სამშობლოს მშვენიერსა.
- და გვიმღვრნია, კვლავაც ვიმღვრთ ჩვენს ტბილს მრავალ-ყამი-  
 ერსა.
- სანამ იდენს ალაზანი, ჯორჯი და რიონ-მტკვარი,  
 სანამ თავზე მცველად გვადგას ცივ-გომბორი, ლიხ-მყინვარი,  
 არ მომკვდარა, არც მოკვდება საქართველო მოცინარი,  
 და მეტად აღარ შემცირდება მისი სივრცე, მისი მზღვარი.



აბა, ფხიზლად ქართველებო! მივპყვეთ მამა-პაპათ კვალსა!  
 წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩაუფიქრდეთ მომავალსა!  
 ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!  
 და ყური უგდოთ გურჯი-ბოლაზს, ნუ, ნუ ვაღებთ დარიალსა!

აკაკი შანიძე.

5 დეკემბერი, 1917 წ. დედა-ქალაქი.



## კველი მწერლობა.

ლოცვა წმიდისა იერემიასი.

- ა. მოიქსენე უფალო რაჲ გუფეო ჩუენ, მოიხილე და იხილე ყუედრებაჲ ჩუენი.
- ბ. სამკვდრებელი ჩუენი გარდაიქცა სხუათად, სახლნი ჩუენნი უცხოთად,
- გ. ობოლ ვიქმნენით ვითარცა არ—მკონებელნი მამასა, დედანი ჩუენნი ვითარცა ქურიენი.
- დ. წყალსა ჩუენსა ვეცხლითა ვსევმდით, შეშათა საცვალეებელითა.
- ე. მოვიღებდით ქედსა ზედა. ვიდევნენით. დავშუერით, ვერ განვისუენეთ.
- ვ. ეგვპტემან მისცა კელი ასურს განსაძღებელად პურიითა.
- ზ. მამათა ცოდეს და არა არიან, და ჩუენ უსჯულოებათა მათთა მოვიხუამთ.
- ც. მონანი გუეუფლნეს ჩუენ და კსნა არა არს კელისაგან მათისა.
- თ. სულთა ჩუენთა შორის მოვილოთ პური ჩუენი, პირისაგან მახკლისა უდაბნოსაჲსა.
- ი. ტყავი ჩუენი ვითარცა თორნე დამრუმნა, შეიოქა პირისაგან ნიავქარისა სიემილისაჲსა.
- ია. დედანი სიონს შინა დაამდაბლნეს და ქალწულნი ქალაქთა შორის იუდასთა.
- იბ. მთავარნი კელებითა მათითა დამოეკიდნეს, პირნი მოხუცებულთანი არა აღიდნეს.
- იგ. რჩეულნი წისქვილთა შინა ფქვიდეს და კაბუკნი ძელთა ზედა ჯუარს ეცვენეს.
- იდ. მოდღეცნებულნი ბქისაგან დასცხრეს და რჩეულნი ფსალმუნთა მათთაგან დაეცნეს.
- იე. დაირღუა სიხარული გულისა ჩუენისაჲ, გარდაიქცა გლოად მწყობრი ჩუენი.
- ივ. იგლოვა გვრგვანმან თავისა ჩუენისამან. ვაჲ ჩუენ რაჲმეთუ ვცოდეთ!





იხ. ამისთვის იქმნა სალმოზაეურ გულად ჩუენი, ამისთვის დაბეულ-  
 დეს თუალნი ჩუენნი.

### გ ა მ ო ხ ლ ვ ა თ ა ა .

#### თავი ივ.

- ა. უგალობდეთ უფალსა რაზეთუ დიდებით დიდებულ არს: ცხენები და მკედრები შთასთხია ზღუასა.
- ბ. შემწე და მფარველ მექმნა მე მაქოვარებად ესე ღმერთი ჩემი. ვადიდო ესე ღმერთი მამისა ჩემისა და აღვამაღლო ესე.
- გ. უფალი შემმუსრველ ბრძოლათა, უფალი სახელი მისი.
- დ. ეტლები ფარაოასი და ძალი მისი, შთასთხია ზღუასა. რჩეული მკედრები სამ-მდგომნი დაანთქნა ზღუასა მეწამულსა.
- ე. ღრმამან დაუარნა იგინი. შთაკედეს სიღრმედ ვითარცა ლოდი.
- ვ. მარჯუენე შენი უფალო დიდებულ არს ძალითა შენითა. მარჯუენემან შენმან უფალო მოსრისა მტერნი.
- ზ. და სიმრავლითა დიდებისა შენისათა შექმუსრენ წინააღმდგომნი, მიავლინე რისხვაა შენი და შექაჰნა იგინი ვითარცა ლერწამი.
- თ. და სულისაგან გულის-წყრომისა შენისა განიყო წყალი, შეჭყინდეს ვითარცა ზღუდენი წყალნი, შეჭყინდეს ლელვანიცა შუა ზღუასა.
- თ. თქუა მტერმან: ვდევნო, ვეწიო და განვიყო ნატყუენავი და განვიძლო სული ჩემი, მოვსრა მახვლითა ჩემითა, ეუფლოს კელი ჩემი.
- ი. მიავლინე სული შენი და დაუარნა იგი ზღუამან, დაკედეს ვითარცა ბრძენი წყალსა შინა ფრიადსა.
- ია. ვინ მსგავს შენდა ღმერთთა შორის უფალო? ვინ მსგავს შენდა წმიდათა შორის, დიდებული საკვრველ დიდებათა შინა მოქმედი ნიშებისაა?
- იბ. მიჰყავ მარჯუენე შენი, შთანთქნა იგინი ქუეყანამან.
- იგ. უძებლე სიმართლითა შენითა ერსა შენსა ამას რომელი იესენ, ნუგეშინას—ეუ ძალითა შენითა ბანაკსა წმიდასა შენსა.




## ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII სს.)\*

### I. ქალაქები და სტატისტიკური ცნობები მათ შესახებ.

ქვემდებარე საკითხის შესასწავლად საქართველოს ყველა ნაწილებისათვის თანასწორად არ არის შენახული მასალები და არც გამოქვეყნებულია. აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ ჩვენ საკმაოდ შინაარსიანი ცნობები მოგვეპოვება უცხოელ მოგზაურთა აღწერილობათაშია და ქართულ საისტორიო და სასამართლო ძეგლებში და თვით ხალხის აღწერისა და შემოსავლის დაეთრებშია. დასავლეთ საქართველოს შესახებ ჩვენ ამგვარი ქართული წყაროები არ მოგვეპოვება, ჯერ-ჯერობით არც-კია აღმოჩენილი. უნებლიედ მხოლოდ უცხოელ მოგზაურთა ცნობებით უნდა დავკმაყოფილდეთ. ამის გამო ქვემოთ მოყვანილი გამოკვლევა სასურველს სისრულესა და მთლიანობას იქმნება მოკლებული. იმიერ-ამიერ საქართველოს წარსული ამ მკრივაც თანასწორის ზედმიწევნობით ვერ წარმოგვიდგება თვალწინ: თუ აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით ქართლის, ქალაქებისა და საქალაქო წესწყობილების შესახებ ჩვენ შედარებით მრავალი სხვადასხვა მკრივი ცნობები გვექმნება, დასავლეთის შესახებ უნებლიედ მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

დაწინაურებული სამოქალაქო ცხოვრებისა და ქვეყნის ეკონომიურ ძლიერების საუკეთესო გამომხატველად ქალაქების სიმრავლე და სიმდიდრე ითვლება. საკმარისია მარტო ამ მკრივაც შევხვით საკითხს, რომ უმაღლ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს სამოქალაქო და ეკონომიურ ცხოვრების დიდი განსხვავება სრულებით ცხადი გაკდეს. მთელი დასავლეთი საქართველო მეტად ჩამორჩენილი იყო. არქანჯელო ლამბერტიცა და შარდენიც მოწმობენ, რომ სამეგრელოში სრულებით არა ყოფილა ქალაქები. მთელ სამთავროში მხოლოდ ცხრა თუ ათი ციხე ყოფილა, რომელთა შორის უმთავრესსა და ამასთანავე სამეგრელოს მთავრის საჯდომს

\* საქართველოს ეკონომიურ ისტორიის ჯერ დაუბეჭდავ უკანასკნელ წიგნითგან არის ამოღებული.



რუხის ციხე ეწოდებოდა (შარდენი, „სპარსეთში მოგზ.“, პარიზის 1723 წ. გამ. I, 133). არქანჯელო ლამბერტის სიტყვებითაც მტკიცდება, რომ სამეგრელოში სამოქალაქო ცხოვრებაც ძალზე დაქვეითებული იყო და ეკონომიურა ვითარებაც თითქმის პირველყოფილ მდგომარეობის დონემდე იყო დაცემული. სამეგრელოს მთავარს ლევანს სდომებია, რომ კელოვნურ საშუალებითა და მფარველობით თავის საბრძანებლის ეკონომიურა ცხოვრება გამოეცოცხლებინა, მაგრამ ცდამ თურმე ამოდ ჩაუარა.

იმერეთის სამეფოც ამ მკრივ შეტად დაქვეითებული ყოფილა. იმერეთის თვით სატახტო ქალაქი ქუთაისიც-კი იმოდენად პატარა იყო, რომ შარდენის სიტყვით იქ მხოლოდ 200 კომლი მცხოვრება ითვლებოდა (შარდენი, სპ. მოგზ. 1723 წ. გამ. II, 108), ისე რომ დიდსა და მჭიდროდ დასახლებულს სოფელს უფრო მიაგავდა, ვიდრე დედა-ქალაქსა და სავაჭრო ცენტროს. ამ მკრივ საგულისხმოა, რომ ქ. ახალ-ციხეც-კი სამცხეში ერთი ორად ქუთაისზე მოზრდილი ყოფილა და 400 კომლ მცხოვრებლებზე მეტს შეიცავდა (იქვე II, 94). ახალ-ციხის მცხოვრებნი ხუთ ეროვნებას ეკუთვნოდენ თურმე: იქ თურქებიც ყოფილან, სომხებიც, ქართველებიც, ბერძნებიც და ებრაელებიც. თითქმის მთელს ახალციხეში ხის შენობები ყოფილა. ამ ქალაქში პატარა ქარვასლაც ჰქონიათ, მაგრამ ისიც ხისა იყო თურმე. სამცხეში ახალციხის გარდა აწყურიც (უსკერ) ქალაქად ითვლებოდა, მაგრამ პატარა ყოფილა. აწყურში თურქთა მონაპირენი იდგენ და საბაჟოც იქ იყო თურმე (შარდენი, იქვე II, 94—96).

შარდენის სიტყვით არც აღმოსავლეთს საქართველოში ყოფილა მაინც - და - მაინც ბევრი ქალაქები ამსტერდამის 1735 წ. გამოცემის გვ. 169), მაგრამ მაინც მარტო ქართლში მაშინ ოთხი ქალაქი ითვლებოდა: სურამი, ალი, გორა და ტფილისი (იქვე გვ. 170). სურამი და ალი მეტად პატარა ქალაქები ყოფილა, განსაკუთრებით სურამი, რომელიც უფრო რომ ციხე იყო და გორის ნახევარს შეადგენდა (იქვე 160 და 170). გორიც პატარა ქალაქად ითვლებოდა, მაგრამ იმას გარდა რომ თავის საუცხოვო მდებარეობითა და ბუნებრივ მაგარ ციხით ქვეყნისათვის მნიშვნელობა ჰქონდა, ამასთანავე იგი თვალსაჩინო სავაჭრო ცენტროც ყოფილა. თუმცა სახლები და თვით ბაზარიც-კი ალიზისა ყოფილა (შარდენის მიერ აქ ნაკმარი სიტყვა „მიწურს“ უდრის, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია და არც ქ. გორის შენახული ძველი სურათით მტკიცდება, რომ



შენობები იქ მიწური ყოფილიყოს, მაგრამ იქ მდიდარი ცხოვრობდნ და ყველაფერი, რაც კი ადამიანს საცხოვრებელად ესაჭიროება, თურმე ბლომად იშოვებოდა და იათადაც შეიძლებოდა რომ ეყიდა. გორის მცხოვრებნი ყველა ვაჭრები არიანო, ამბობს შარდენი (იქვე 170). თვით გორის ციხეში-კი 100 სპარსელი მეციხოვნე მდგარა.

შარდენის დროინდ. ტფილისი ძალიან დიდ ქალაქად ვერ ჩათვლებოდა, მაგრამ მაინც ფრანგ მოგზაურს მოზრდილად სჩვენებია. ამასთანავე შარდენი, რომელსაც სპარსეთიც მოვლილი და კარგად შესწავლილი ჰქონდა, მოწმობს, რომ თვით სპარსეთისათვისაც ტფილისი ერთ-ერთ უმშვენიერეს ქალაქად უნდა ყოფილიყო ცნობილი. ქალაქი სამხრეთით ჩრდილოეთისაკენ არის გადმოჭიმული და სამხრეთით მთაზე დიდი ციხეა აგებული, რომელშიაც მაშინ თურმე მხოლოდ სპარსელი მეციხოვნენი და სპარსეთის ქვეშევრდომნი ცხოვრობდნ. ქალაქს ყოველმკრივ, მტკვრის სანაპიროებს გარდა, ლამაზი და მაგარი ზღუდე ჰქონია შემოვლებული (იქვე, პარიზის გამ. II, 155).

ტფილისში მაშინაც ბევრი კარგი დაწესებულებათა შენობები ყოფილა. ბაზრები და სავაჭრო სახლები დიდები იყო, ქვით-კირით ნაშენი და კარგადაც ყოფილა შენახული. ქარვასლები და ფუნდუკებიც, სადაც მგზავრებს შეეძლოთ თავშესაფარი ეშოვათ, მოზრდილი და შესაფერისად მოწყობილები იყო (იქვე II, 159). მალაზიებიც კარგად ყოფილა ნაშენი და მშვენივრადვე იყო თურმე მოწყობილ-შენახული (იქვე II, 159-160).

ტფილისში ბევრი კოხტა და მოკდენილი შენობა ყოფილა, მაგრამ საქართველოს დედა-ქალაქის საუცხოვო სამკაულად და მშვენივრად მეფის სასახლე ითვლებოდა, რომელსაც მოკდენილი დარბაზ-პალატები და მტკვარზე გადაკიდებული ლამაზი აივნები ჰქონდა. სასახლის წინ დიდი მოედანი იყო და გრძელი საბაზრო ადგილი. ამ ბაზრის თავითგან სასახლისაკენ მნახველს თვალწინ მშვენიერი გარდასახედი სურათი ეშლებოდა.

ტფილისშივე იყო თავის მოკდენილობითა და შემკულობით საყურადღებო კახთ ბატონის სასახლეც (იქვე II, 160). სამეფო კარი მრავალ-რიცხოვანი და ბრწყინვალე ყოფილა (იქვე II, 163).

თვით ტფილისი მჭიდროდ დასახლებულ ქალაქად სჩვენებია ფრანგ მოგზაურს და იქ დიდი ვაჭრობაც ყოფილა გაჩაღებული. მის განსაკუთრებულს ეკონომიურ მნიშვნელობის და სამოქალაქო ცხოვრების მყუდროებისა და წესიერების დამამტკიცებელ გარე-

მოებად ისიც უნდა იყოს მიჩნეული, რომ საქართველოს დედა-ქალაქში ყოველგვარ უცხოელთაც ჰქონიათ მყუდრო ბინა (იქვე II, 163).

მაგრამ შარდენმაც-კი იცოდა, რომ საქართველოს საქალაქო ცხოვრების ვითარება ძველად, მის დამოუკიდებლობისა და ძლიერების დროს, სულ სხვანაირი იყო და დიდად აყვავებული. იგი ქართლში თავის თვალითაც ჰხედავდა, რომ ქალაქებში ნანგრევების სიმრავლე მათ ოდინდელ სიფართოვეს და მერმინდელ განადგურებას მკვერმეტყველურად ჰმოწმობდა. მას აღნიშნული აქვს, რომ გორს მახლობლად, დასავლეთით, ერთი დიდი ქალაქი, ანუ უფრო რომ ნაქალაქევი იყო, რომელიც თითქმის მთლად დანგრეული ყოფილა. მისობას იქ 500 სახლზე მეტი არ ითვლებოდა, ოდესღაც კი ამ ქალაქში 12000 ყოფილა (იქვე, პარიზის გამ. 1723 წ. II, 97). ამავე ფრანგ მოგზაურის სიტყვით კახეთის სამეფოშიაც იმ რამოდენიმე ქალაქთა რიცხვითგან, რომელნიც ძველად იქ იყო, მხოლოდ ერთი-ღა ყოფილა შერჩენილი, დანარჩენნი-კი მის დროს თურმე ყველა დანგრეული იყო (იქვე, ამსტერდამის გამოც. 1735 წ. გვ. 169).

მე-18-ე საუკუნეში, გაერთიანებულ ქართლ-კახეთის სამეფოშიაც ქალაქების რიცხვი არ გამრავლებულა. 1770 წლის აღმოსავლეთ საქართველოს მთავრობის სტატისტიკურ ცნობებით ქართლ-კახეთში მაგ. სულ 8 ქალაქი ყოფილა: ტფილისი, გორი, სურამი, ახალგორი, წილკანი, ანანური, თელავი და სიღნაღი. ქართლში მასშასადამე 4 ქალაქი იყო, კახეთსაც 4 ჰქონია, თუ რომ წილკანსა და ანანურს კახეთისად ჩავთვლით, საყურადღებოა, რომ ალი უკვე ქალაქად აღარ იკსენიება. შარდენს ალი ქალაქად აქვს დასახელებული და ძველადაც მას შედარებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაშინ იქ საკელმწიფო საბაჟოც იყო.

ზემოდასახელებულ 8 ქალაქში უუდიდესი რასაკვირველია საქართველოს დედა-ქალაქი უნდა ყოფილიყო. ტფილისში სულ 4000 კომლი მცხოვრები ითვლებოდა. შემდეგ კომლთა რაოდენობისდა მიხედვით თელავი მისდევდა, რომელშიაც 740 კომლი ყოფილა. მერმე წილკანი თავის 700 კომლითურთ, გორი 500 კომლითურთ, სურამი 200 კომლით ანანური 100 კომლითურთ და სიღნაღი, სადაც მეკომურნი იმდენივე იყვნენ, რამდენიც ანანუში ითვლებოდა. უკანასკნელი ორი ქალაქი მასშასადამე ქართლ-კახეთის ზოგიერთ სოფლებ-



ზე უფრო პატარა ყოფილა, მაგ.: 1794 წ. საქართველოს მთავრობის ერთ სტატისტიკურ ცნობით ს. ქარელში 106 კომლი ირიცხებოდა, ხოლო ცხინვალში — 116 კომლი.

ორთა შუა რიცხვით თვითოეულს კომლში რომ 5 სული ვიანგარიშით, მაშინ ტფილისში დაახლოებით 20000 სული მცხოვრები გამოდის, თელავში 3700 სული, წილკანში — 3500, გორში — 2500, სურამში 1000, ანანურსა და სიღნაღში-კი ხუთას-ხუთასი სული მცხოვრები. რომ ეს ჩვენი სავარაუდო აღრიცხვა სიმართლეს უახლოვდება, ფრანგ მოგზაურ ტურნეფორის ცნობითაც მტკიცდება. საქართველოში ის 1700 წელს იყო და ქ. ტფილისის მცხოვრებთა რაოდენობაზე ამბობს: ფიქრობენ, რომ ამ ქალაქში დაახლოებით 20000 სული ცხოვრობს (მოგზაურობა ლევანტში ტ. I გვ. 133, ამსტერდამის 1728 წ. გამოცემა) ყურადღების ღირსია, რომ შარდენს თავის დროს ტფილისი მჭიდროდ დასახლებულ ქალაქად სჩვენებია (მოგზაურობა სპარსეთში, პარიზის 1723 წ. გამ., 163).

შენახვლია სხვადასხვა წლების ცნობები ქალაქებში მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ, მაგრამ ბევრს სხვადასხვა საბუთებშია გაბნეული. როდესაც ამ ცნობებს ამოჭრებთ და ერთმანეთს შეადარებთ, მეტად საგულისხმეო სურათი გეშლებათ. ამგვარი შედარებითი დაკვირვება ამტკიცებს, რომ მე-18-ე საუკ. პირველად ქალაქებში მცხოვრებთა რიცხვი 300 კომლს არ აღემატებოდა, 1770 წელს-კი იქ 500 კომლი ითვლებოდა. მაშასადამე — 200 კომლით უმატნია. მაგრამ შემდეგ მცხოვრებთა რიცხვი ქალაქებში თანდათან და შეუჩერებლივ კლებულობდა. მაგ. 1781—2 წ. ტფილისში 4000 კომლის მაგიერ (ამდენი იყო როგორც ვიცით 1770 წელს) 3478 კომლი-ღა ირიცხებოდა, ქ. ახალგორში 1781 წელს 100 კომლის მაგიერ 88 კომლი-ღა დარჩენილა, ხოლო ქ. გორში 1794 წელს იმ 500 კომლის მაგიერ, რომელიც იქ 1770 წელს ცხოვრობდა, მხოლოდ 227 კომლი ითვლებოდა.

რაკი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებიდან მცხოვრებნი ასე დიუნებით და განუწყვეტლივ იყრებოდნენ და იხიზნებოდნენ, მეფე ერეკლემ რომ ეს აყრა შეეფერკებინა, 1784 წელს ბრძანებაც კი გამოსცა, ამიერიდან ტფილისისა და გორის იმ მოქალაქეთ, რომელნიც სხვაგან გადასახლდებიან, ან უცხო ქვეყანაში გაიხიზნებიან, მამულები სამეფოდ ჩამოერთვას და ჩვენის ნებართვით სხვებს მიეყიდოსო (იხ. დ. ფურცელაძის Крестьянск. грам. გვ. 42 სა-

დაც სამწუხაროდ ამ საყურადღებო საბუთის მხოლოდ რუსული თარგმანია მოყვანილი).


საგულისხმოა, თუ რამდენად მჭიდროდ იყო მაშინ ქ. ტფილისის სხვადასხვა უბანი დასახლებული. 1781-2 წ. ქ. ტფილისში ავლაბრით და გარეთუბნით სულ 3498 კომლი მცხოვრები იყო. აქეთვან თვით ქალაქში 2329 მცხოვრები კომლი ითვლებოდა, დანარჩენი 1184 კომლი ცხოვრობდა შიგნითსა და გარეთს ავლაბარში (373 კომლი), მეტეხის ციხეში კიდამდის (259 კომლი) და გარეთუბანში (560 კომლი).

ამგვარად ირკვევა, რომ მცხოვრებთა უმრავლესობას (2294 კომლს) ქალაქის შუაგულში ჰქონდა ბინა, ხოლო უბნებითგან ყველაზე მჭიდროდ გარეთუბანი იყო დასახლებული (560 კომლი), შემდეგ ავლაბარი (373), რომელიც ორად იყოფებოდა: გარეთ ავლაბარში იყო 156 კომლი, ხოლო შიგნით ავლაბარს ცაბეშა 219 კომლი. სხვებზე ნაკლები მცხოვრები ყოფილა მეტეხში (259 კომლი), აქეთვან „მეტეხში კიდამდინ“ 73 კომლი, ხოლო „კიდიამ ციხეში“ 186 კომლი ითვლებოდა (ივ. ჯაფარიშვილი, აღმოსავლ. საქართველოს ხალხის აღწერის დავითრები, გვ. 1).

ჩვენ ისეთი საკითხის გამოიკვევაც შეგვიძლიან, თუ რა რიცხვებრივი დამოკიდებულება არსებობდა მაშინ სოფლის მცხოვრებთა და ქალაქების მცხოვრებთა შორის. ქართლ-კახეთის სამეფოში დიდოეთისა და ყაზახ-შამშადილის გარდა მცხოვრებთა ერთობლივი რიცხვი 1770 წელს 5290 კომლს უდრიდა, აქეთვან ყველა ქალაქებში მცხოვრებთა რიცხვი 6480 კომლი იყო, ხოლო სოფლის მცხოვრებთა რიცხვი 48810 კოლმზე მეტი არ ყოფილა. მაშასადამე ქალაქების მეკომური მცხოვრებნი ასეულად ნაანგარიშენი სამეფოს მეკომურთა ერთობლივ რიცხვის  $11\frac{2}{3}\%$  შეადგენდნენ.

ერთი ფრიად საყურადღებო ცნობაა შენახული ტფილისის მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ ეროვნული კუთვნილებისდა მიხედვით. ფრანგი მოგზაური ტურნეფორა ამბობს, რომ 1700 წელს ქ. ტფილისის 20000 სულ მხოვრებთა შორის 14000 სომეხი ყოფილა, 3000 მაჰმადიანი, 2000 ქართველი და 500 სული რომის კათოლიკენიო (მოგზაურობა ლევანტში I, 133). მაშასადამე იმ დროს ქართველთა რიცხვი ტფილისში სომეხთა რიცხვის მხოლოდ  $\frac{1}{4}$ -ედ შეადგენდა. მე-19-ე საუკუნის დასასრულს ოფიცირ ცნობითაც ქართველები ტფილისში უკვე სომეხ მცხოვრებთა რიცხვის ნახევარს აღემატებოდნენ, ხოლო 1917 წ. საყოველთაო აღწერამ ტფი-

D. A. La Rivière  
 E. La Ville neuve  
 F. La Ville neuve  
 G. La Ville neuve  
 H. La Ville neuve  
 I. La Ville neuve  
 J. La Ville neuve  
 K. La Ville neuve  
 L. La Ville neuve  
 M. La Ville neuve  
 N. La Ville neuve  
 O. La Ville neuve  
 P. La Ville neuve  
 Q. La Ville neuve  
 R. La Ville neuve  
 S. La Ville neuve  
 T. La Ville neuve





ლისში გამოარკვია, რომ ეხლა ქართველთა რიცხვი ჩვენ დედა-ქალაქში სომეხთა რიცხვს სჭარბობს. საყურადღებოა ქართველთა ეს გასაოცარი, ბუნებრივი და არა-კვლოვნური ზრდა.

ეხლა რაკი ჩვენ უკვე ვიცით ქ. ტფილისის მცხოვრებთა დანაწილება ეროვნულ კუთვნილებისდა მიხედვით, შეიძლება მეორე საყურადღებო საკითხის გამორკვევასაც შევუდგეთ, სახელდობრ იმისას, თუ როგორ იყო დანაწილებული ჩვენი დედა-ქალაქი მესაკუთრე მფლობელობის მკრივ. ჯერ-ჯერობით ამის გამოსარკვევად მხოლოდ ერთი სტატისტიკური ძეგლი მოგვეპოვება, ქ. ტფილისის 1781—2 წ. ხალხის აღწერის დაეთრითგან ამოღებული მოკლე სახ. ცნობების სახით. ქალაქ ტფილისის 3498 კომლ მცხოვრებთაგან 1781—2 წ., ყმათა მფლობელობის მკრივ, პირველი მესაკუთრე ტფილისში მეფე იყო: სამეფო სახლობას ერთობლივ საკუთრად სახასო ყმა ქალაქში ავლაბრითა და გარეთუზნითურთ ჰყავდა 1589 კომლი, ხოლო დანარჩენ მესაკუთრეებსაერთოდ 1811 კომლი ყმა (აღმოსავ. საქართველოს ხალხის აღწერის დაეთრები, გვ. 7).

თუ მფლობელთა ეროვნებისდა მიხედვით ვიანგარიშებთ, გამოდრს, რომ ყველა სომეხ მესაკუთრეებს, მათ შორის მოქალაქეებსა და სომეხთა ეკლესიებსაც, ერთობლივ ჰყოლიათ 429 კომლი ყმა. ქართველებს კი სამეფო გვარეულობითურთ ერთობლივ ჰყავდათ 3068 კომლი, ანუ ერთი შეიდად, თითქმის ერთი რვად, უფრო მეტი ვიდრე სომეხ მესაკუთრეებს. თუნდაც რომ სამეფო სახლობის სახასო ყმების რიცხვი 1589 კომლი გამოვაკლოთ, მაინც ქართველ მებატონეების საკუთრება 1480 კომლს უდრის და მაშინაც სომეხ მფლობელთა რაოდენობას ერთი-სამად უფრო მეტადაც სჭარბობს. აქეთგან ნათლად ჩანს, რომ მაშინ ტფილისი მფლობელობის მკრივ ქართველებს ეკუთვნოდათ. მაშასადამე ცხადია, რომ ტფილისი საკუთრების თვალსაზრისით ქართველებს მხოლოდ მე-19 საუკუნეში დაუკარგავთ.

ამისდა გვარად ვითარცა ყმათა მფლობელი, ტფილისში ქართველთა ეკლესია სომეხთა ეკლესიაზე უფრო შეძლებული იყო: ქართულ ეკლესიას ერთობლივ 365 კომლი ჰყავდა, ამათგან საპატრიარქო საყდარს 198 კომლი ეკუთვნოდა, დანარჩენი 167 კომლი 19 ეკლესია-მონასტრის საკუთრება იყო. სომეხთა ეკლესიას საერთოდ 72 კომლი ყმა ჰყავდა ტფილისში, ამათგან 49 კომლი ეპიპაწინის საკათალიკოზო ტახტს ეკუთვნოდა, დანარჩენი 32 კომლი 7 ეკლესია-მონასტრისა იყო.

წოდებრივად თუ გავარჩევთ ყმათ მფლობელები ოთხ უმთავრეს ჯგუფად განიყოფებოდნენ: 1) სამეფო სახლობა, რომელსაც 1589 კომლი ეკუთვნოდა, 2) თავადაზნაურობა და მსახურები; მათ ერთობლივ 1426 კომლი ყმა ჰყავდათ. 3) ეკლესია: ქართული 365 კომლის მფლობელი იყო, სომხური 72 კომლისა; 4) მოქალაქენი, „მოქალაქეთა ყმები“ სულ 46 კომლი ან აღქატიბოღენ (იხ. აღმ. საქარ. ხალხის აღწერის დავთრები გვ. 5).

### II საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება.

ქალაქის უზენაეს გამგედ ქალაქის მოურავი იყო. როგორც ვიცით უძველეს დროს, მაგ. XII საუკ. ამგვარ უფლებით აღქურვილს „ამირა“ (საქართველოს ეკონომიური ისტორია I, 23) ეწოდებოდა. მე-XVII—XVIII საუკუნოებშიც არც საბუთებსა, არც დასტურლამაღში „ამირა“ აღარ გვხვდება და ქალაქის მთავრად ქალაქის მოურავი ჩანს. როდის უნდა გაჩენილიყო „მოურავი“, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება.

ყურადღების ღირსია რომ 1608 წლის ლუარსაბ II-ის სრულშიც გიორგი სააკაძე, დიდ მოურავად ცნობილი, ჯერ კიდევ ძველებურად „ქალაქის ამირათ-ამირა“დ იწოდება (სქს სიძველენი II, 50), ხოლო უკვე 1620 წლის სასამართლოს განჩინების წიგნში იგი „ბატონ-მოურავად“ არის მოკსენებული (იქვე II, 51). თუ ამ შემთხვევაში მოურავი ქალაქის მოურავსა ჰნიშნავდა, მაშინ ეს სამოკელეო სახელწოდება ტფილისისათვის უნდა მე-XVII საუკუნის დამდეგს იყოს შემოღებული, 1608—1620 წლებს შუა. ყოველ შემთხვევაში მოიპოვება 1673 წლის საბუთი, რომელშიაც დასახელებულია „ქალაქის მოურავი“ (სქს სიძველენი III, 3) და ამ საბუთითგან არა ჩანს, რომ ეს თანამდებობა სწორედ იმ წელს იყოს დაწესებული, პირიქით საბუთი ამ სახელწოდებას იკსენიებს ვითარცა ჩვეულებრივს მოკელეობას. მოურავნი ძველს უკვე მე-XI—XII საუკუნის საბუთებშიაც არიან მოკსენებულნი, მაგრამ გარკვევით არა ჩანს რომ იქ ქალაქის მოურავნი ყოფილიყვნენ ნავულისხმევენი. მცხეთის 1448 წ. სიგელში-კი უკვე პირდაპირ ქალაქის მოურავი იკსენიება, სახელდობრ „გორის მოურავნი“ (ისტ. საბ. III 28). ტფილისის სიონის 1552 წ. სიგელშიაც ნათქვამია „ქალაქისა მოურავო“ (ისტ. საბ. II, 41). ამიტომ სიმართლეზე ახლო უნდა იყოს თუ დავასკვნით, რომ „ქალაქის მოურავი“ს სახელი საბოლოოდ და საყოველთაოდ XVII ს. დამდეგს შემოღებულ იქმნა „ქალაქის ამირა“ს

მაგიერ.

რომ ეს დასკვნა დაახლოვებით სწორე უნდა იყოს, სხვათა შორის შეიძლება 1784 წლის ერეკლე მე-2-ის სიგელიც დავიმოწმოთ. მეფე ამ საბუთში ბრძანებს: „ქალაქის მოურავო დავით! როგორადაც ბატონის პაპის ჩვენის მეფის ირაკლის დროს და მეფის ვახტანგის დროს და სანატრელის ბატონის მამის ჩვენის დროს ქალაქის მოურავები ყოფილან და ქალაქში უმოურავნიათ, თქვენთვისაც იმავე წესით გვიბოძებია მოურავობა“-ო (სქს სიძველენი 3, 12). მაშასადამე ეტყობა ქალაქის მოურავობის წესი, ისეთი, რომელიც სამავალითოდ იყო მიჩნეული, ირაკლი I-ისა 1688 - 1695 და ვახტანგ მე-VI-ის დროსა ყოფილა დადებული, პირველი იქნებ ვითარცა ამ თანამდებობის გამჩენი (?), ხოლო მეორე ვითარცა კანონმდებელია დასახელებულნი.

ქალაქის მოურავის შესახებ „დასტურლამალ“შიაც მოიპოვება ცნობები, მაგრამ იქ მის უფლებებისა და მოვალეობის შესახებ არავითარი „გარიგება“ არ არსებობს. მხოლოდ § 100-ში, რომელსაც ეწოდება სათაურად „მდივანბეგის გარიგებისათვის“ და 1704 წელს საქართველოს ჯანიშინის შაჰნავაზ-ხანის ნაბოძებ „მდივანბეგობის წესისა და რიგის დასტურლამა“ არის, სხვათა შორის ნათქვამია, თუ ქალაქის მოურავის სამოსაშართლო საქმეებში რა-და-რა ეკითხებოდა („დასტურლამალი“, 57), ხოლო იქვე § 210 განსახლებურულია მოურავის სარგოც. სწორედ ამ ცნობებითგანა ჩანს, რომ ქალაქში ერთი მოურავი იყო. ყურადღების ღირსია მხოლოდ, რომ ერეკლე მეფის დროს ქ. ტფილისში რამდენიმე მოურავი ყოფილა. სხვა და სხვა უწყების წარმომადგენელი: საკათალიკოზო მოურავი და სხვათა. ამით ოსაკვირველია ქალაქის მოურავის უფლება უნდა შელაკულიყო და საქმეების წარმოება სრულებით დაიხლართებოდა. თუმცა ეს ისედაც ცხადი უნდა ყოფილიყო მთავრობისათვის, მაგრამ რათგან სხვა უწყებათა მოურავები და მათი ბატონები, როგორც ეტყობა ამტკიცებდენ ვითომც წინადაც ჩვეულებრივ ქალაქში ერთი მოურავი—კი არა, არამედ რამდენიმე ყოფილიყოს, მთავრობამ 1784 წელს თავისი თავი მოვალედ ჩათვალა მოხუცებულ მოქალაქეთა, ქედხუდათა და სამღვდელთების შორის „სწორე და ჭეშმარიტი“ ცნობები შეეკრიბა: „ამ ქალაქში მეფის მოურავის მეტი და მელიქის, მამასახლისის, ნაცვლის მეტი ყოფილა ვინმე, თუ არა ბატონის მეფის ირაკლის დროსა, მეფის ვახტან-

ვის დროსა, სანატრელის მეფეს თეიმურაზს დროსა? ამ მეფეებს ვარდა ამ ქალაქში სხვათ მოკვლეები ამ მეფეების ქაშში ყოლიათ ვისმეს, თუ არავის არა ყოლიათ“ (სქს. სიძველენი 3, 15). სამღვდლოებამ და ქალაქში მყოფმა ერის კაცებმა, ქედუღებმა თუ დაბალმა ხალხმა „ფაციოთ მოაკსენეს“: „ჩვენ მნახავნიცა ვართ და მამა-პაპისავანაც ვაგონილნი ვართ (ასეა!), რომ ქალაქში ერთი მოურავი ყოფილა, ერთი მელიქი ყოფილა, ერთი მამასახლისი ყოფილა და ერთი ნაცვალი ყოფილა; სხვისა არავის ყოფილან არცა მოურავი, არც მელიქ-მამასახლისი და არც ნაცვალი“ (იქვე, გვ. 15—17). როცა შეკრებილი ცნობები ერეკლე მეფეს მიართვეს, მან შემდეგი მსჯავრი დასდო: „რადგანაც ამდენი სამღვდლო და საერო კაცი მოწმობენ, რომ ქალაქში ძველათგან ერთის მოურავის მეთი არა ყოფილა, ჩვენ ამდენის კაცის მოწმობის ძალით ჩვენს მოურავს გარდაისად, სხვას ვინაც ქალაქში მოურავები ჰყავს ისინი მოურაობიდან დაგვიყენებია“ (იქვე, 17). ამ გვარად შემოხვევით შემოპარული მრავალ-მოურაობა მოსპობილა და ძველი წესი აღდგენილ იქმნა: ერთი ქალაქის მოურავი-ლა დატოვეს.

ქალაქის მოურავს მეფე ჰნიშნავდა; ეს ზემომოყვანილ 1784 წლის საბუთითაც მტკიცდება (სქს. სიძველენი 3, 12). ქალაქის მოურავს დიდი უფლება ჰქონდა. მოურავი ქალაქის პატრონი იყო: „ქალაქის სამოქალაქოსი ყოველივე მოურავს უნდა ეკითხოს“, ნათქვამია დებულებაში (სქს. სიძველენი 2, 528 § 41). იმის დაუკითხავად უმაღლეს მთავრობასაც არაფერი არ უნდა გაეკეთებინა ქალაქში: „რაც ბატონმა ქალაქს ან სთხოოს, ან შეაწეროს, ან სხვა რამე საქმე იყოს“, ვიდრე საქმეს გადასწყვეტდენ და აღსრულებას შეუდგებოდენ, თავდაპირველად მოურავის აზრი უნდა გაიგოს მთავრობამო. (იქვე).

როცა მეფე „დიდ კაცებთან“ ერთად „საქვეყნო საქმეებზე“ ბჭობდა ხოლმე, ჩანს, ქალაქის მოურავიც იღებდა მონაწილეობას (1791 წ. საბუთი: სქს. სიძველენი 3, 13).

ქალაქის მოურავის მოვალეობა იყო ქალაქისა და მცხოვრებთა კეთილდღეობაზე და მათ ქონებისა და სიცოცხლის კელშეუხებლობაზე ეზრუნა. „მოურავი ქალაქისა და მოქალაქის მოვლას დიდად უნდა სცდლობდეს ყოვლის თავის გარჯით და თავადებითა“ (ბრძანება დებულება (სქს. სიძველენი 2, 528, § 41). ერეკლე მეფეც თავის 1784 წელს გამოცემულს ბრძანებაში ქალა-

ქის მოურავს ავალებდა: „ქეშმარიტს სამართალს და ქალაქის მოვლასა და ბეჯითად გარჯას ნუ დააცადებთ“ო (სქს სიძველენი 3, 12). ქალაქის საზოგადო კეთილდღეობაზე ზრუნვას გარდა მოურავს, მაშასადამე უნდა სამართლიანობა დაემყარებინა და მცხოვრებთა ზნეობისათვის თვალყური ედევნებინა: საჩივრები გაერჩია, დაწინაშევენი შეეპყრო და მსჯავრი დაედო. რა საქმეები და როდის ეკითხებოდა ხოლმე ქალაქის მოურავს, ამის შესახებაც გარკვეული ცნობები მოიპოვება.


სასამართლოს საქმეები ქალაქში ორ მოკელეს შორის იყო განწილებული—მდივანბევისა და ქალაქის მოურავის შუა. მკვლელობა ყოველთვის მარტო მდივანბეგს ეკითხებოდა. „თუ ქალაქში კაცის სიკვდილი მოკლეს ან მოქალაქისაგან, ან სხვისაგან, იმის სამართალი კარზედ მდივანბეგმან უყოს“ო. ბრძანებდა „დასტურლამალი“ (გვ. 57). რაც შეეხება სამოქალაქო სამართლის საქმეს მდივანბეგი მხოლოდ იმ შემთხვევაში არჩევდა ხოლმე საჩივარს, „თუ მოქალაქე კაცი გარეშე კაცს უჩიოდეს, ან გარეშე კაცი გარეშე კაცს უჩიოდეს, ან ორნი მოქალაქე კაცი თავის ნებით მივიდნენ და მდივან-ბეგს შემოსჩივლონ“ო (იქვე, იმავე 57 გვერდზე ღ 58 გორის შესახებ ამგვარადვე). მაშასადამე როცა საქმე გარეშე კაცს შეეხებოდა) სულერთი იყო თუნდ ორივე მკარე, — მოჩირვარი და მოპასუხე, — თუნდ მხოლოდ ერთ-ერთი მკარე ამ ქალაქის მკვიდრად არ ითვლებოდა, სოფელელად ღ გარეშე კაცად ირიცხებოდა) მოქალაქეთა შორის დავის გარჩევის უფლება მხოლოდ მაშინ ჰქონდა მინიჭებული, როცა ორივე მკარე თვით მოისურვებდა, ნებაყოფლობით მივიდოდა მდივანბეგთან საჩივლელად. წინააღმდეგ შემთხვევაში როცა ერთ-ერთ მკარეს არა ჰსურდა მდივანბეგის მსჯავრის მოსმენა, ჩვეულებრივ საჩივრების გარჩევა მოქალაქეთა შორის ქალაქის მოურავის უფლებას შეადგენდა: „მოქალაქის საჩივარი ერთმანეთში მოურავმა გაურთიგოს“ო ბრძანებდა საკელწიფო სამართალი „დასტურლამალი“, 57) როგორც ზემოთ იყო აღნიშნული „გარეშე კაცსა“, ან სოფელელსა და მოქალაქეს შორის ატეხილ საჩივრის დროს დებულება უპირატესობას მოქალაქეს კი-არა, „გარეშე კაცს“ აძლევდა და საქმეს ჩვეულებრივი მსაჯული, მდივანბეგი არჩევდა ხოლმე. ეს საზოგადო წესრიგი შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეკვლილიყო „თუ მდივანბეგი იქ (ქალაქში) არ იყო“, მხოლოდ ამ დროს აძლევდა ნებას კანონი: „მოქალაქეს კაცისაგან სოფელელმან კაცმან ქალაქის მოურავს შეს-

ჩიელოს, მოურავმან გაურიგოს“ო (დასტურლამალი, 57).

ქალაქის მოურავის პირდაპირ მოვალეობად ითვლებოდა ქურდებისა და „ბოზების“ დევნა და დასჯა. დებულებაში პირდაპირ არის ნათქვამი: „მოურავი მუდამ ქურდსა და ბოზს უნდა ეძებდეს“ო (სქს სიძველენი II, 529 § 13); ამისთვის მას ასახები ჰყავდა, „ორისამი გამოუღვევლად ახლდნენ“ და „ქურდსა და ბოზს მოახსენებდნენ ხოლმე“ო (იქვე II, 530 § 22) მოურავს დამნაშავეთათვის „ჯარიმა“ უნდა გარდაეკდევინებინა (იქვე II, 527 § 38 და 530, § 22)

სხვაფრივ მაშასადამე როცა სამოქალაქო სამართლის შესახებ საჩივარი მოქალაქეთა შორის ჩამოვარდებოდა ხოლმე, ქალაქში სამართლის წარმოება ქალაქის მოურავის კელში იყო: „ქალაქის მოურავი ქალაქში უნდა სამართლობდეს“ო ნათქვამია ერთს შესანიშნავს საბუთში (საქრთ. სიძველენი II გვ. 523 § 1). მასზე იყო დამოკიდებული მისი მოქმედება: მას შეეძლო ან პირადად მიეღო მონაწილეობა, ან თავის წარმომადგენელს მიანდობდა. როდესაც მოურავი თვითვე ინებებდა მოსამართლედ დაჯდომას, მაშინ კანონი ბრძანებდა: „სამი-ოთხი სარწმუნო მოქალაქე თან ახლდეს სამართლის ბკობაში“ო (იქვე). იმის ნებაყოფლობაზე იყო ავრეთვე დამოკიდებული, „მოურავი, თუნდა მელიქ-მამასახლისს და ნაცვალს სამართალში დაისწრებს და თუ უნდა არ დაისწრებს, ქედხუდები ახლდებიან“ო (იქვე). მაშასადამე მელიქ-მამასახლისი და ნაცვალი სამართლის წარმოები სათვის საჭირონი არა ყოფილან: იმ შემთხვევაშიც კი როცა მოურავი მათ მოწვევდა, მაშინაც ისინი „სამართლის ბკობაში“ მოქმედ პირებად არ ითვლებოდნენ, ისინი მხოლოდ „ესწრებოდნენ“ იმ გვარადვე, როგორც ქედხუდები მოურავს ისრე უნდა ახლდნენ“ ხოლმე. სამართლოს მოქმედებაში და სამართლის „ბკობაში“ მონაწილეობას იღებდნენ თვით მოურავი ვითარცა თავმჯდომარე და „სამი-ოთხი სარწმუნო მოქალაქე“ ვითარცა მოსამართლე წევრები. „მოჩივარი“ მოურავთან უნდა მისულიყო, და მისთვის საჩივარი მიერთმია (იქვე § 2)

მოურავს შეეძლო თითონ არ გაერჩია საჩივარი; ამისთანა შემთხვევაში, „თუ თითონ არ ინებებს სამართალს“, იგი მოჩივარს „თავის იასაულს გაატანა“ (იქვე § 2). იასაული მისი წარმომადგენელია მხოლოდ, მოსამართლედ კი ისევ „სარწმუნო“ მოქალაქე უნდა ყოფილიყო: მოურავს „ორი უნდა თუ სამი მოქალაქე, იმათ დასმენ და სამართალს მოქალაქენი იქმნენ“ო (იქვე § 2)





შეიძლება ქალაქის მოურავი სამართალში მარტო წვერად ცოფილიყო, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოკლებოდა ხოლმე. „ბატონის ბრძანებით ქალაქის მოურავი და მდივანბეგი რომ სამართალში დასხდებიან“ (იქვე § 3), მაშასადამე როცა სასამართლო მეფის ბრძანებით მოქმედობდა.

ყურადღების ღირსია რომ ერეკლე მეფე თავის 1784 წლის ბრძანებაში ქალაქის მოურავს ავალებდა „საბჭოდ ჯდომის“ დროს სამართალის თანასწორობა და მაუღკოპლობა დაეკვა: „თავხსა და ხათრს წესიერსა და კანონიერს საქმეზედ ნურვის შეუნახავით“ (საქართ. სიძველენი III, 121).

„საბჭოდ ჯდომისთვის“ და მოსამართლეობისთვის, — თვითონ იღებდა მონაწილეობას „სამართლის კმნა“-ში, თუ თავის წარმომადგენელსა ჰგზავნიდა, — ქალაქის მოურავს სარგო ჰქონდა გაჩენილი. ამ სარგოს „სამდივანბეგო“ ჰრქმევია და მისი რაოდენობაც მკაფიოდ განსაზღვრული იყო დებულებაში, სადაც ნათქვამია: „ამაში აქვს სარგო თუმანზედ სამდივანბეგო ხუთი აბაზი მოურავს და ამ სამდივანბეგოში კელი არა აქვსთ მელიკ-მამასახლისს, ნაცვალს და ქედხუდებს“-ო (სქს სძვლნი II, 523, § 1, 2). რაკი თუმანზედ 5 აბაზი ყოფილა, მაშასადამე „სამდივანბეგო“ 10 პროც. უდრიდა. ეს სარგო მოურავის განსაკუთრებული საკუთრება ყოფილა და დანარჩენი მოკელები რომელნიც „ბჭობა“-ში მოურავს ახლდენ, არავითარ სასყიდელს, არ იღებდენ. ჰქონდათ თუ არა რაიმე სარგო იმ 3-4 სარწმუნო მოქალაქეს, რომელნიც მოურავს „სამართლის ბჭობაში“ — ან ახლდენ, დებულებაში არაუფერია ნათქვამი, მაგრამ ვგონებ რომ არა ჰქონიათ. ეს იმითი მტკიცდება, რომ იმ შემთხვევაშიაც კი, როცა მოურავი თვით არ ინებებდა მოსამართლედ დაჯდომას და საქმის გარჩევას იასაულსა და მოქალაქეთ მიანდობდა, „იქიდამაც თუმანზედ ხუთი აბაზი მოურავისა არის, რადგან მოურავი ვაგზავნის ამისთვის“ (იქვე § 2).

მაშასადამე ამ შემთხვევაშიაც კი სარწმუნო მოქალაქეთა „სამართლის კმნა“ უსასყიდლო ყოფილა. მით უმეტეს უსასყიდლო იქნებოდა მაშინ, როცა სასამართლოში თვით მოურავი ბრძანდებოდა. სამდივანბეგო მოურავის სრულ საკუთრებას არ შეადგენდა მხოლოდ მაშინ, როცა იგი მეფის ბრძანებით მდივანბეგებთან ერთად „სამართალში დასხდებოდენ“, მაშინ „რაც სამდივანბეგო შემოვა როგორც რივი არის, მოურავი და მდივანბეგები ისრე გაიყოფენ“-ო (სქს სძვლნი ტ. 2 გვ. 523 § 3). სამწუხაროდ არც თვით საბუთში არც,



„დასტურლამალი“ არ არის განმარტებული სამდივანბევოს განაწილების „რივი“ მოსამართლეთა შორის, როცა სასამართლო მეფის ბძანებით „საბჭოდ დაჯდებოდა“. ვიცით მხოლოდ რომ საზოგადოდ „ჯარიმა ბატონისა“ ესე იგი მეფისა იყო („დასტურლამალი, 57).

ქალაქის მოურავი ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებას თვალ-ყურს აღევნებდა: აღებ-მიცემობა და მისი კანონიერი წარმოება მის ზედამხედველობის ქვეშ იყო. საქართველოს ქალაქებში სანოვაგესა, სურსათსა, ხილეულობასა და მაგარ სასმელებზე ბაზრულ ფასებს მთავრობა აწესებდა ხოლმე. ამგვარ გადაკვეთილ მტკიცე ფასებს „ნიხრი“ ეწოდებოდა. ეს სიტყვა სპარსულ ნიხრისაგან არის წარმომდგარნი, რომელსაც იგივე მნიშვნელობა ჰქონდა. ნიხრით ვაჭრობა სავალდებულო იყო აღებ-მიცემობის შემდეგ დარგების წარმომადგენლობისათვის: ყასპებისა (სქს სიძველენი ტ. 2. 525 § 18) მეთევზეებისა (გელაქნურზე იქვე 22, განჯის ორაგულზე, იქვე 22, ზუთხზე 23, ხრამულზე ტ ფიხულზე § 24, ბაყლებისა, ზეთისხილზე, იქვე 28, განჯის ყურძენზე იქვე 26, ახალციხის და ახალქალაქის ხილზე. იქვე § 30) და სირაჯებისათვის (ღვინოზე იქვე ტ. 2, 525, § 19).

ქალაქში ნიხრის დაწესებაც, რომელსაც „ნიხრის მიცემა“ ერქვა, მოურავის უფლება და მოვალეობა იყო: დებულებაში პირდაპირ იყო ნათქვამი: „ნიხრი მიეცემა მოურავისაგან“-ო (სქს სძვლნი ტ. 2 გ. 525, § 18) ნიხრი მოურავმა უნდა მისცეს“-ო იქვე ტ. 2. 216 § 26 მხოლოდ ქ. გორში მის მოურავს, ამილახორს ნიხრთან საქვე არა ჰქონდა და ნიხრის მიცემა „ქედხუდებისა არის“-ო ნათქვამია ერეკლე მეფისადმი შირთმეულს გორელ ქედხუდების საჩივარში. კახეთსა და ქიზიყში „ნიხრი ვაჭრისა“ თურმე ნაცვალს უნდა „გადაეჭრა“ (კახეთ-ქიზიყის გამოსავლის გარიგება სქს სძვლნი ტ. 3. 137).

ნიხრი ცვალებადი იყო: იმისდა მიხედვით თუ რამდენად აღვილად აიწვევ-დაიწვედა ხოლმე ამა თუ იმ საქონლის ფასი, ნიხრიც ზოგიერთ სავანზე უფრო კმირად იცვლებოდა.

საზოგადო წესი ბძანებდა, რომ მოურავმა სამს თვეში ერთხელ უნდა ნიხრი მისცეს ქალაქსა-ო“ (იქვე, ტ. 2, გ 530, § 24) მაგრამ კორცის ნიხრი წელიწადში შეიძლება მრავალჯერ შეცვლილიყო: „წელიწადში რამდენჯერაც ნიხრი მიეცემა მოურავისაგან ყასპებს და მიემატება, თითოს მომატებაზედ ყასპებმა საერთოდ ნიხრანა“ უნდა გადაიკადონო (იქვე, ტ. 2, 525 § 18, ზოგსაქონელს როგორც მაგალითად ხილეულობასა და თევზეულობას, წელიწადში ერთხელ აქვს ხოლმე შემოსვლის დრო. ამიტომ ასეთ სავანების ნიხრი მაშინ უნდა დაწესებულიყო, როცა ქალაქში შემოიტანდნენ. დებულებაში სწერია,

რომ ესა და ეს საქონელი „ქალაქში რომ შემოვიდეს“, „მომტანო ვ ურავი უნდა ნახონ, და ნიხრი მისცეს“-ო.

რაკი ყოველ ნიხრის მიცემისთვის მოურავს ვაჭრებისაგან გარკვეული, „ნიხრანა“დ წოდებული, გადასაკადი უნდა მიეღო, ამიტომ რასაკვირველია, ქალაქის მოურავისთვის უკეთესი იყო თუ ნიხრი კშირად შეიკვლემოდა. ამას გარდა, რათვან დებულეებაში ნათქვამი იყო რომ ნიხრის „თითოს მომატებაზედ ყასპებმა საერთოდ ნიხრანა... მოურავს უნდა მიართვან-ო“ (სქს სსელნი 2, 525 §18), ამიტომ სასყიდლის კშირად მიღების გულისათვის მოურავს შეეძლო ნიხრისთვის მომატებინა ხოლმე. ამის გამო ალბად მოურავის ანგაარების ასალაგმავად და მოჭრთამეობის შესაფერკებლად, სამართალი აწესებდა: „მოურავი ყოველს ნიხრზედ, თუ ბატონის ნაკვალს არ დაისწრებს, ქუდხუდებს დაისწრებს ორსა და სამსა“ო (იქვე 2, 526, §24). მეორე საბუთში უფრო ვრცლად არის განმარტებული: მოურავმა „მელიქი, მამასახლისი, ნაცვალი და ქედხუდები უნდა დაისწრას და ისე უნდა მისცეს ნიხრი“ო (იქვე, 530-531 § 24). ერთის სიტყვით მოურავს ნიხრის საქმი ჩუმად და საიდუმლოდ არ შეეძლო გაერი გებინა, არამედ ქალაქის დანარჩენ მოკვლეთა და პატრეცემულ მოქალაქეთა თანადასწრებით. რასაკვირველია, მოჭრთამეობა და ანგაარების ჩადენა უფრო ძნელი იქნებოდა. მოურავს თვალყური უნდა ედევნებინა რომ ნიხრი არავის დაერღვია: ნიხრის მიცემის უკან რომელმაც ასნათფა დააშაოს მოურავმა უნდა გადააკდევინოს“-ო, ნათქვამია დებულეებაში. (იქვე, ტ. 2, გვ. 531, § 24)

ვაჭარს მარტო ფასში არ შეეძლო მუშტრის მოტყუება. უფრო ძნელი შესატყობი იყო მისი ეშმაკობა, როცა ის მრუდე და ნაკლებიანს საწყაე-საზომსა კმარობდა ხოლმე. ეს მოვალეობა მუფთისა ღ მოურავის საგანგებო მოკვლევებს ჰქონდათ დაკისრებული. დებულეება ბძანებდა: „ბატონის ნაცვალი და მოურავის ნაცვალი ყოველთვის უნდა სინჯავდეს ლიტრის, ადლს, საწყაოს და ყოველსავე საწონს და გასაზომს და თუნგს, და რომელსაც ნაკლებობა და სიმრუდე შეამჩნდეს, ჯარიმა უნდა წაერთვას“ო (იქვე ტ. 2, გვ. 527 §). ორ მოხელეს მუდამ დღე ვაჭრების „საწყაო“ და „საზომი“ უნდა ესინჯნა, რომ სიმრუდე და ნაკლებობა არც ერთ სავაჭრო იარაღში არა ყოფილიყო. ამაზე განსაკუთრებით მოურავის ნაცვალს უნდა ეზრუნა, ამიტომაც იყო რომ დებულეებაში ეწერა: „მოურავის ნაცვალი უდამ ბაზარში უნდა დავიდოდეს და იჯდეს“-ო (იქვე ტ. 2, 529, §14).

მრუდე და ნაკლებიან იარაღის პატრონ ვაჭოებისათვის ნაცვ-  
 ლებს ჯარიმანდა წაერთმიათ (იქვე, ტ. 2, გვ. 27 და 30, §§ 37, 14).

ქალაქი მაშინაც ალებ-მიცემობისა და კელოსნობა-მრეწველო-  
 ბის დედაბუდე იყო, განსაკუთრებით იქა ჰქონდა მას ბინა მიჩენი-  
 ლი. რასაკვირველია, რადგან ჯერ ხანად უმეტესი ნაწილი  
 გამოქვეყნებული საბუთებისა ეკლესიებსა და აზნაურთა გვარებს  
 ეკუთვნის, ამიტომ ამ საგნის შესასწავლად ჯერ ძალიან ცოტა მასა-  
 ლები მოიპოვება, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენს კელთ არის ორი საუ-  
 კეთესო წყარო „დასტურლამალი“ და „ქალაქის მოურავის სარ-  
 გო“ს დებულება. ორსავე საბუთებში ძვირფასი ცნობები მოიპოვება.  
 ალებ-მიცემობა ქალაქში ერთის მკრით ადგილობრივ ნაწარმოებე-  
 ბით იყვებებოდა, მაგრამ მის დიდ ნაწილს მაინც გარეთგან  
 შემოტანილი საქონელი შეადგენდა.

ქალაქ ტფილისის ექვსი კარი ჰქონდა (იხ. ქალაქის მოურავის  
 სარგო § 4, სქს სძელნი ტ. 2, 523): ერთი ერქვა „აბანოს კარი“ მეო-  
 რეს „ვანჯის კარი“ (იქვე, ტ. 2, გვ. 23, § 5), მესამეს „დიღმის კარი“.  
 მეოთხეს „კოჯრის კარი“, (იქვე, ტ. 2, 524, § 7), მეხუთეს „წყალ-  
 ყინის კარი“ (იქვე 524 § 7), მეექვსის სახელი კი მოკსენებული არ არის.

ბატონიწვილი ვახუშტი თავის გეოგრაფიაში ამბობს რომ „სო-  
 ლალაკის კევის კარს უწოდებდნენ ვანჯის კარად“ (ბროსეს გამო-  
 ცემა, ჯანაშვილის გამოცემა, გვ. 70). ამასთანავე აღნიშნული აქვს რომ  
 „კალა მოზღუდა მეორე შაბაბჰ პირველ შემუსკრილი; სამკრით მოა-  
 ვლო სოლალაკის კლდეზედ, დასავლით ქნეს ორი კარი, ჩრდილოთ  
 ორი კარი“ (იქვე, გვ. 72. ყოველგვარი საქონელი ტფილი-  
 სში ქალაქის ექვსისავე კარებით შემოჰქონდათ (ქ. მოურავის გარი-  
 ვება § 4, სქს სძელნი II, 523). მხოლოდ შემა შემოდრიოდა როგორცა  
 ჩანს მხოლოდ სამ კარით—დიღმის, კოჯრისა და წყალყინის კა-  
 რებთაგან (იქვე, 524, § 7), ალბად იმიტომ რომ, სწორედ იქით  
 მკრისაკენ მოიპოვებოდა მახლობლად ტყიანი ადგილები.

როგორც შარდენის ცნობებითგანა ჩანს, ქალაქ გორსა და  
 ტფილისში ყველაფერი რაც კი ადამიანისთვის საჭირო იყო იშო-  
 ვებოდა და გაჩალებული ალებ-მიცემობა სუფევდა. „დასტურლამალ-  
 სა“ და „ქალაქის მოურავის სარგო“ში ვაჭრობისა და კელოსნობის  
 შემდეგი დარგების წარმომადგენლები არიან მოკსენებულნი: მეპურე-  
 ები (საქართ. სიძ. II, 528, § 43), ყასპები (იქვე, II 524, §§ 10, 15, 18, 43.),  
 ბაჰყლები (იქვე, 524 § 11, 13, 528, § 43), მეთევზეები (დას-

ტურლამალი 40, 126), სირაჯები (სქს სძვლნი 2, 521 § 19 და 528 § 43), მეწვრილმანები (იქვე 528, § 43, ბაზაზები იქვე, § 527, §§ 34-35), მკურავეები (იქვე 528 § 42), სახანდრები (დასტურ. 68), მღებრები (დასტ. 125). ტფილისის 1781-1782 წ. აღწერის დათვრის ერთ ნაწივეტ ში მარტო ნაზარბევიანთ ქარვასლაში მყოფად დასახელებულია: 2 სარაჯი, 1 მესატევრე, 2 ოქრომკედელი, 1 მეჩახმახე, მკედელი, 1 მკალავი, 2 მქეაზე, 2 ნალბანდი, 1 დაბალი, 2 ჭონი, 1 ხარაზი, 1 მეწულე, 7 დეიქარი, 1 მკერვალი, 1 ქურჭჩი, 2 ბაზაზი, 1 მჩითავი, 2 მეწისქვილე, 1 ხაბაზი, 1 მეფურნე, 1 მზარეული, 2 ვალატოზი, 1 ხურო, 1 ქვის მჭრელი, 2 მესანთლე, 1 მეზეთე, 1 მეურმე, 1 ჩორვადარი, 1 მეჯორე, 1 მენახერე, 1 დალაქი, 1 მეაბანოე, 2 ვაქარი, 1 ბაყალბაში, 2 ბაყალი, 1 ჩაოზი, 1 მუშა და სხვანი.

ამის გარდა კელოსნების სხვა დარგების წარმომადგენლებიც უნდა ყოფილიყვნენ და იყვნენ კიდევ. ვაჭრებსა და კელოსნებს საქართველოში თავიანთი კეშირი ჰქონდათ, რასაც ეხლა „ამქარი“ ეწოდება. ხოლო მაშინ „ასნაფი“ ერქვა (დასტურლამალი 24, 64; სქს სძვლნი 2, 524 § 10, 12, 528 § 43, გორელ ქედხედების საჩივარი ერგლე II-სადმი). როგორც დასტურლამალითვან ჩანს „ასნაფი“ ერთისა დამივე კელოსნის კაცთა ჯგუფს და წრეს ეწოდებოდა. სიტყვა ასნაფი არაბულია და იქაც ჯგუფებს, წრეებს, ამქრებს ნიშნავს. იგი მრავლობითი რიცხვია, ხოლო მხოლობითი რიცხვი „სინფი“ კელოსანსა და ამქარს ნიშნავს. ქართულად მაშასადამე თუქცა ამ სიტყვის მრავლობითი რიცხვია შეთვისებული. მაგრამ მხოლობით რიცხვის მნიშვნელობა მიუღია და ამქარს გარდა ამქრის წევრსაც, კელოსანს და ვაქარსაც ეწოდებოდა (სქს სძვლნი 2, 528). როგორც დასტურლამალითვან ჩანს ამქარს ქართულად აგრედვე „თაბუნი“ ერქვა: ასნაფი და თაბუნი დასტურლამალში ერთი-მეორის მაგიერ იკმარება. მაგ. § 115-ს სათაურად აქვს „სალაროს ნაზირისა და მისის ასნაფებისათვის“, ხოლო შემდგომ მისდევს: „არის სალაროს ნაზირის სახელოდა თაბუნი კაცნი“-ო.

ქალაქებში ასნაფებს რასაცვირველია იქ ექმნებოდათ ბინა და საკელოსნოები, სადაც ყველა სხვა სავაჭრო დაწესებულებანიც იყვნენ შეჯგუფულნი, ბაზარში. გორელი ქედხედების საჩივართვან ნათლად ჩანს, რომ გორშიც ასნაფები ბაზარში მდგარან.

თვითეულ დარგის ყველა ვაჭრები და კელოსნები ერთს კავ-



წიროს ეკუთვნოდენ, ერთს ასნაფს შეადგენდენ. საბედნიეროდ ზევს ასნაფების აგებულების ცნობებიც მოგვეპოვება: ასნაფის სათავეში — უსტაბაში — მდგარა. ეს სიტყვა სპარსულ — თურქულია (უსტა — მასწავლებელი, ოსტატი, ბაში — თავი). იმ ასნაფს სახელის მიაქვიათ, რომლის მოთავედაც იგი ითვლებოდა, მას აგრედვე ან „სირაჯბაში“ (იქვე ტ. 2, ნ25 § 20), ან „ბაჰალბაში“ (იქვე, ან „სახანდარბაში დასტურლამალი“ 68) და სხვანაირად ეწოდებოდა. დასტურლამალში „მეთევხეების უფროსი“ და „მღებართუხუცესი“-ც არის დასახელებული, მაგრამ ნათლად არა ჩანს, უსტაბაში იყო თუ არა იგი.

სათეჭრებელია რომ ძველად მაინც ეს ორი სახელი სწორედ უსტაბაშობის ქართული სახელწოდება უნდა ყოფილიყო და ალბად ბაჰალბაშისა და სხვა ამის მსგავს სახელების მაგიერ ბაჰალთუხუცესი ან უფროსი იქნებოდა.

ასნაფის თვითთელი წვერი ამქრის, ამხანაგობისა და უსტაბაშის სასარგებლოდ გადაკეთილს წვლილს იკდიდა (საქარ. სიძე.ტ. 2, ნ28 § 13). საზოგადო, საამქრო საქმეების გარჩევა — გადაწყვეტა თვით „ასნაფზე“ იყო დამოკიდებული, უსტაბაშსა და ასნაფის წვერებზე. კელოსან ვაჭართა საზოგადო კრებაზე. ეს იქითგანა ჩანს, რომ დებულებაში პირდაპირ არის აღნიშნული საამქრო გადასაკადისაგან განთავისუფლებული „უნდა იყოს გათარხნებული უსტაბაშისა და მეწვრილმანეებისაგან“ როცა გასათარხნებელი მეწვრილმანე იყო, საზოგადოდ კი თვითთელი „ასნაფებისაგან შელავათ ნაქნარი და განთავისუფლებული უნდა იყოს“ (საქ. სიძ. ტ. 2, ნ28 § 43). უმეტეს შემთხვევაში სხვადასხვა სამოურაო სარგოსაც ამქარი ანუ ასნაფი „საერთოდ“ (საქ. სიძ. ტ. 2, გვ. ნ25 § 18, 19) იკდიდა, როგორც ერთი დაწესებულება (საქ. სიძ. ტ. 2, გვ. ნ24, § 10, 11, 12, 13; ნ25 § 14 18, 19). უსტაბაში ასნაფის თავი და წარმომადგენელი იყო მთავრობის წინაშე და განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა მთელი ამქარი რაიმე დღესასწაულში მონაწილეობას იღებდა, იგი თავის ასნაფს წინამძღვრობდა. დებულებაში მაგალითად ნათქვამია რომ როცა დიდის ხნის „სხვაგან“ საღმე წასული ქალაქის მოურავი ქალაქში დაბრუნდებოდა, მას ასნაფები მიეგებნონო, „სირაჯბაში სირაჯებს უნდა მიუძღვეს და მოურავს ტიკით ღვინო უნდა მოართვან, აკრეთვე ბაჰალბაშში ხილი უნდა მოართვან“ (საქ. სიძ. ტ. 2, გვ. ნ25, § 20).



მრეწველობა და ვაჭრობა დაბუდებული იყო ქარხანასა და დუქანში. „ქარხანა“ (დასტურლამალი, 24, 34, 40, 41, 54, 55, 62, 64, 84, 124, 127) სპარსული სიტყვაა და ნიშნავს საკელოსც ნო სახლს, დაწესებულებას, სადაც გასაყიდავ საქონელს ამზადებდნენ. ქართულად ამ სიტყვას ფართო მნიშვნელობა ჰქონდა: „ქარხანას“ ეძახდნენ ყველა საწყობსა და დაწესებულებას, რომელი ამა-თუ იმ საქმისა ან კელობისათვის იყო, მაგ. დასტურლამალში სამეფო სამზარეულოს „ქარხანა“ (გვ. 34.) ეწოდება, ამ გვარადვე სამეჯინიბოსაც „ქარხანა“ ერქვა (იქვე 40, 41), სავეჯის შემოსავლის კოდის პურის საწყობსაც (იქვე 54, 55), შემოსულ ფეშქაშის შესანახავს ადკილსაც (იქვე 84) „ფეშქაშის ქარხანა“, იმ დაწესებულებასაც სადაც ინახებოდა აღებული ჯარიმა („ჯარიმა ნაცვალმა უნდა აილოს და ბატონის ქარხანაში მიიბაროს“, იქვე 124) და სალაროს სადაც ფული ინახებოდა („მეთევზის უფროსს ორი თუმანი ქარხნიდამ უნდა მიეცეს“-ო, იქვე 124).

ერთი სიტყვით ქარხანად ყოველგვარი, როგორც კერძო ისე სამეფო, სამეურნეო - სამრეწველო დაწესებულება იწოდებოდა. ქარხანა საზოგადო სახელწოდება იყო. ხოლო იმისდა მიხედვით, თუ მრეწველობის რომელ დარგს აწარმოებდა, იწოდებოდა ან „ყასაბხანად“ (დასტურლამალი 24, როცა საქონლის დაკვლა ჰქონდა საქმედ, - ან „დაბალხან“ - დ (იქვე 92), როცა ტყავის გამოყენა აქვს საგნად, - ან „ქუზიხანა“-დ (იქვე 124), ან „ქურჭლის ქარხანად“ (საქ. სიძ. 27 § 31, 35, როცა ქურჭლის გაკეთებას მისდევდნენ. ყველა შემომოყვანილი სიტყვები სპარსულითგან არიან შემოღებულნი და ორ-ნაწილადი აგებულება აქვთ. მეორე ნაწილი ყოველთვის „ხანა“-ა იგივე რაც „ქარხანაშია და პნიშნავს სახლს, ხოლო პირველი ნაწილი კელობის იმ დარგს აღნიშნავს, რომელსაც იგი მისდევს: ყასაბხანა (მესაკლავეთა სახლი), დაბალ-ხანა (ტყავი), მკეთებელთა სახლი, ქუზი-ხანა (კოკების, ქურჭლის ქარხანა, სახლი), აუშ-ხანა (საქმლის სახლი, სასადილო). ზოგიერთ ქარხანას ქართული სახელიც ჰქონდა, მაგალითად „სამღებრო“ (დასტურლამალი 125). ვახტანგ მეექვსეს დროს ზოგიერთი ქარხნება მეფის განსაკუთრებული საკუთრება იყო, მაგ. ყველა სამღებროები და ქუზი-ხანა დასტ. 124, 125. მათთვის განსაკუთრებული „ქარხნის სახლები“ (იქვე 124) არსებობდა და თუ ეს შენობა დაზიანდებოდა და შეკეთება საჭირო იყო „კედელი. თუ გადაღესვა მსუბუქი“ (იქვე 124) მოქალაქეთა მოვალეობად ითვლებოდა.

ქარხნის მოსამსახურეებს მაშინ „ქარხნის კაცებს“ ეძახდნენ (დასტ. 24).

საეკპრო შენობას „დუქანი“ (საქ. სიძველენი ტ.2, გ. 525 § 15) ეწოდებოდა, მაგ. ქ. მოურავის სარგოში ნათქვამია: „ყასპებმა, რაც დუქანი არის, დუქანზედ მოურავს გადასახადი უნდა მიართიან“ო. დუქანი სპარსული ს ტყვია და სპარსულშიც იგივე მნიშვნელობა აქვს.

დუქანში „დაზგები“ იდგა. ქ. მოურავის სარგოს დებულეზაში მაგ. სწერია: „ყასპებმა, რაც დუქანი არის, დუქანზედ მოურავს 3 ლიტრა ქონი უნდა მიართიან... თხის ქონი; ღორის ქონი ერთს დაზგაზედ რამდენიც ამხანაგი არიან კაცის თავს 3 ლიტრა ქონი უნდა გამოერთიან მოურავისთვის, ის ქონი კაცის თავზედ აიღება და არა დაზგაზედ. დაზგაზედ ღორისა... აღებაში მოურავისთვის ერთი მხარი და ერთი ბარკალი უნდა მოიკრიფოს“ო (საქარ. სიძველენი II, 525 15—17). მაშასადამე დუქანში დაზგები იდგა. „დაზგა“ სპარსული სიტყვაა („დაზგაჰ“) და იქ საეკლოსნო იარაღს, საეკლოსნო მაგიდას, საფეიქრო მანქანას და თვით მაღაზიასაცა ჰქვინავს.

როგორც ზემო მოყვანილ მაგალითითაცა ჩანს, ქართულში დაზგა საეკპრო და სამრეწველო დახლსა ჰრქმევია, იგი თითქოს თვით ვაჭრობსა და მრეწველობის სიმბოლო ყოფილა.

საქმის წარმოება და თვით საქმე შეიძლება ერთი კაცის საკუთრება ყოფილიყო, ან რამდენსამე კაცს ერთად ჰქონოდა მაშინ ისინი „ამხანაგებად (იქვე II 525 § 16) ითვლებოდნენ. შეიძლება მაშასადამე „ერთს დაზგაზედ რამდენნიმე ამხანაგნი“ ყოფილიყვნენ.


ზემოაღნიშნულის გარდა სხვა კიდევ ბევრი ცნობებია ვაფანტული ძველ ქართულ წყაროებში. ამ მასალების წყალობით სხვათა შორის ისეთ საყურადღებო საკითხის გამორკვევაც კი შეიძლება, თუ რაღარა და რამდენი საქონელი, სანოვაგე, ან სხვაგვარი საკმარი შემოჰქონდათ ხოლმე ყოველწლიურად ჩვენს დედა-ქალაქში. მაგრამ ეს მონოგრაფიული გამოკვლევა ჟურნალისათვის ისედაც დიდი გამოვიდა და რაკი ამ საკითხის გამორკვევისათვის რთული გამოანგარიშებაცაა საჭირო, ამიტომ მას აქალარ შევებებით.

თანამედროვე საქალაქო თვითმართებლობის ორგანოთა მთავარი დანიშნულება და სამოქმედო მიზანი ქალაქისა და მის მცხოვრებთა კეთილდღეობაზე და მშვიდობიან ცხოვრებაზე ზრუნვა შეადგენს. მაგრამ ამას გარდა ისინი მოვალენი არიან ყოველი ღონის-





Национална библиотека  
Српске Народне Асамблеје  
Београд





ძიება იკმარონ, რომ ცხოვრებისათვის საჭირო სურსათ-სახოვავე და სხვაგვარი საკმარი ქალაქში ბლომად მოიპოვებოდეს და პირიან ფასადაც იყიდებოდეს, ამასთანავე ფიზიკურად თვალ-ყური ადევნონ, რომ საწყავ-საზომების სიმრუდითა და ნაკლებობით ვაჭრებმა მოქალაქეთა ჯიბეები არ შეათხელონ. ამ ჩვენი გამოკვლევის გულდასმით გადამკითხველისათვის იმედია ცხადი გაკდება ჯერ ერთი ის, რომ ეს მიზანი და მოვალეობა ძველ საქართველოშიაც კარგად გათვალისწინებული და შეგნებული ჰქონიათ და ქალაქის მმართველთა აუცილებელ ვალადა ჰქონდათ დაკისრებული, ხოლო მეორეც ის, თუ რაოდენად შემცდარია გაბატონებული აზრი, ვითომც საქალაქო მართვა-გამგეობის წესწყობილება ჩვენში პირველად რუსეთის მთავრობას შემოეღოს. ყველა ზემონათქვამითგან ვგონებ ამკარაუნდა იყოს, რომ ძველ საქართველოში მართვა-გამგეობის ეს დარგიც საკმაოდ შემუშავებული იყო და რომ საქალაქო თვითმართველობის ჩანასახი უკვე მაშინაც არსებობდა.

ივ. ჯავახიშვილი.



## სურათების ახსნა.

№ 1. ქ. ტფილისის სურათი შარდენის დროს. ამოღებულია შარდენის მოგზაურობის წიგნიდან.

№ 2. ქ. გორის ციხის აგება. მიხიონერ კასტელის სურათი. ამოღებულია თამარაშვილის წიგნიდან.

№ 3. ქუთაისის საზოგადო გეგმა-სურათი მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს. ამოღებულია დასავლეთ საქართველოს მეთვრამეტე საუკუნის ახლად აღმოჩენილ ქართულ რუკიდან.

## იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან.

მეთერთმეტე საუკუნის დამლევს ფილოსოფიურად მოაზროვნე ქართველთა წრეს მიემატა ერთი ადამიანი, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ძველს ქართულ მწერლობაში; ჩვენ ვგულისხმობთ „ფილოსოფოსს“ იოანე პეტრიწს, „ქიმიკიმელად“ ზედწოდებულს. ვინ იყო იოანე, სად და როდის მოღვაწეობდა იგი, ამის შესახებ თუმცა ბევრი დაწერილა,\*) მაგრამ საკმაოდ არაფერი გამორკვეულა. ვიცით მხოლოდ, რომ სწავლა-განათლება იოანეს საბერძნეთში მიუღია, სამწერლო მოღვაწეობა დაუწყია პაკედონიაში, 1083 წელს დაარსებულს (თუ განახლებულს) პეტრიტწოს სახელოვან ქართულ მონასტერში (საიდანაც მან მიიღო ზედმეტი სახელი „პეტრიწი“ ანუ „პეტრიწონელი“, ხოლო დაუსრულებია იგი საქართველოში, სადაც ის მოჰსწრებია დამიტრა პარველის მიუზბას. იოანე ერთი იმ მეცნიერთაგანი იყო, რომელნიც კელს უწყობდენ საქართველოში ნეოპლატონურ ფილოსოფოსთა იდეების და თხზულებათა გავრცელებას და პოპულარიზაციას. თუმცა ისიც უნდა აღენიშნოთ, რომ მისი სამწერლო მოღვაწეობა მარტო ფილოსოფიით არ განისაზღვრებოდა, მას უხვად უთარგმნია საღვთისმეტყველო თხზულებებიც, განსაკუთრებით ეგზეგეტიურ ხასიათისა.

უნდა აღვიაროთ, რომ იოანეს საღვთისმეტყველო—ეგზეგეტიურ ნაშრომთა შესახებ არაფერი გვეცოდინებოდა, თუ არა ერთი შემთხვევითი მოვლენა. მეთერთმეტე საუკუნის კელნაწერებში ჩვენ გვხვდება ასეთი თხზულება: 1 „იოანეჲან ფილოსოფოსმან ქიმიკიმელმან ელადეღთა კმისაგან სჰანთ მოსახელედ კმად გარდამოიღო თარგმანება წმიდისა ევანგელიისა. სახარება მარკოზისი“; 2 „იოანეჲან ფილოსოფოსმან ქიმიკიმელმან ელადეღთა კმისაგან სჰანთ მოსახელედ კმად გარდამოიღო თარგმანება წმიდისა ევანგელიისა. სახარება ლუკასი“. აქედან ჩანს, რომ იოანე ქიმიკიმელს მარკოზისა და ლუკას სახარების განმარტება გადმოუღია „ელადელთა“ ანუ

\*) იხ. Н. Марр, Іоаннъ Петритскій, грузинскій неоплатоникъ XI—XII в.; ს. გორგაძე, ნემესიოს ემესელი: ბუნებისათვის კაცისა, ბერძნულითგან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ; მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, წიგნი 2.

ბერძენთა „კმისაგან“ „სპანთ მოსახელედ“, ესე იგი ქართულ „კმად“. ქართულ ენის „სპანთა“ ანუ ისპანელთა ენის მოსახლეობა ტნათესაობა ძველი დროს ტრადიციას, როგორც ესა ჩანს ექვთიმე ათონელის ცხოვრებიდან, სადაც ჩვენ ვკითხულვით: „შემდგომად თორნიკის მიცვალებისა განიზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოანე, რათა აღიღოს ესე თვისი და რავდენნიმე მოწაფენი და ივლტოდის სპანთად. რამეთუ ასმოადა, ვითარჲედ ქართველნი არამცირედნი ნათესაენი და ეზნი მკვდრ არაან მუნ“<sup>\*)</sup>. თუქცა თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნულ „თარგმანებათა“ ზემომოყვანილ სათაურს, რომელიც იოანეს „ფილოსოფოსად“ და „ქიმიკიმელად“ იკსენიებს, თვით იოანეს ვერ მივაკუთვნებთ, ეს შემდეგი დროს ვადამწერალთა გლოსსაჲ მაგრამ, ეს გარეკობა უფლებას არ გვაძლევს ექვთიმე შევჩინოთ იმაშიაც, რომ თვით ამ თხზულებათა ვადმოქართულება იოანეს ეკუთვნის და არა სხვას ვაჲკ; ამისი უტყუარი საბუთია თარგმანთა გარეგანი მკარე და სტილი, რომელიც ჩვენს წინ აყენებს იოანეს სამწერლო ნორმებს, რამდენადაც ამ ნორმებს იოანეს ექვთიმეტანელი შრომები გვაცნობს. ამ თავად ჩვენ შემდეგი საკითხი გვაინტერესებს: ვისი თხზულებაა მარკოზისა და ლუკას „სახარებათა განმარტება“, რომელიც იოანეს უთარგმნია? საქმე ესაა, რომ საქრისტიანო მწერლობის ისტორიამ ბევრი ამგვარი ნაწარმოები იცის. ნ. მარო მარკოზის „განმარტების“ შესახებ შეპნიშნავს, რომ ის იოანე ოქროპირის თხზულებაა; ამავე აზრისაა მ. ჯანაშვილი და იოანე ნათლისმცემლის წიგნთსაცავის კატალოგიზატორი. რომელსაც ლუკას სახარების „განმარტების“ ყდაზე მიუწერია: „თარგმანება წმიდისა ლუკას სახარებისა იოანე ოქროპირის მიერ“ (საეკლ. მუხ. № 113). საიდანაა ამოღებული ასეთი ცნობა, ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ უნდა შევჩინოთ, რომ ის სინამდვილეს არ შეესაბამება: იოანე ოქროპირის შრომა ქართულად ვადმოიღო ექვთიმე ათონელმა და არა იოანე პეტრიწმა, თხზულებათა შედარებაც ვვიმტკიცებს, რომ პეტრიწის მიერ თარგმნილი „მარტება“ სხვაა და იოანე ოქროპირისა სხვა. უკანასკნელი დროის კვლ ვაძიებამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ პეტრიწის მიერ თარგმნილი ლუკა-მარკოზის სახარებათა „განმარტება“ ეკუთვნის საეკლესიო ისტორიანი კარგად ცნობილ მწერალს თეოფილაკტე ბულდარელს.

ნეტარა თეოფილაკტე დაიბადა აბერქანეთში კუნძულ ვებეაზე, დაახლოვებით მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში; სწავლა-ვა-

\*) ათონის ივერ. მონასტრის 1074 წ.ხელთნაწ. აღაპებით, გვ. 19.

ნათლება მიიღო კოსტანტინოპოლში, სადაც შემდეგ პატრიარქის დიაკონი გაკდა და სალეთო წერილის განმარტება და ქადაგებათა წარმოთქმა დაევალა. ამ თანამდებობაზე მან გამოიჩინა შესანიშნავი საორატორო ნიჭი და განსაკვიფრებელი ერუდიცია როგორც საღვთისმეტყველო, ისე „გარეშეთა“ ანუ საერო-საწარმართო მწერლობაში, უფრო კი ფილოსოფიაში, რის გამო მან „რიტორთა მოძღვრის“ სახელწოდება დაიმსახურა. ის დაიხსლოვებს იმპერატორმა მიქალ დუკამ (1071-1078 წ.) და მისმა მეუღლემ მარიამმა და მიანდვეს ტახტის მემკვიდრის, კოსტანტინეს, აღზრდა. 1071-1081 წლებში თეოფილაქტე დაინიშნა ახრიდის მთავარეპისკოპოსად ბულღარიაში, რომელიც იმ დროს კოსტანტინეპოლის პატრიარქატის სექსარხოსოს შეადგენდა. აქ ის თავგამოდებით მუშაობდა ბულღარეთის ეკლესიის საკეთილდღეოდ და სამწერლო მოღვაწეობისათვისაც. კმოუღობდა დროს. მის თხზულებათა შორის ყველაზე მეტი ყურადღების ღირსი ახალი აღთქმის „განმარტებაა“, რომელშიაც თეოფილაქტემ იოანე ოქროპირისა და თეოდორიტე კვრელის ლეთისმეტყველებას მოკდენილად შეუკავშირა ნტიურ ა თანამედროვე ფილოსოფიურ აზრთა მიმდინარეობას. გარდაიცვალა ის არაუგვიანეს 1107 წლისა\*.

აი ამ თეოფილაქტეს ეკუთვნის მარკოზისა და ლუკას სახარებათა „განმარტება“, რომელიც იოანე ფილოსოფოსს უთარგმნია ქართულად. თეოფილაქტეს თხზულებათა თარგმნაში პეტრიწი კლმძღვანელობდა როგორც მათი ღირსება-ვითარებით, ისე მათ ავტორთან პირად დანოკიდ-ბულობით. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ იოანე თეოფილაქტეს პირადათ იცნობდა ჯერ კიდევ საბერძნეთში. ჩვენ ვთქვით, რომ თეოფილაქტე სწავლობდა კოსტანტინეპოლში, სადაც შემდეგ მან სახელი გაითქვა, როგორც ორატორმა და განსაკვიფრებელ ერუდიციის პატრონმა. აი აქ გაიცნობდა მას იოანე ფილოსოფოსი, ვინაიდან იოანემ განათლება მიიღო არა ათინაში, როგორც ამას გადმოგვცემს ავტორი „მცირე უწყებებისა ქართველთა მწერალათათვის“<sup>2</sup>, — ათინა ამ დროს განათლების ცენტრად აღარ ითვლებოდა საბერძნეთში, — არამედ, უნდა ვიფიქროთ, კოსტანტინე მონომაქის მიერ 1044-1047 წლებში დაარსებულ აკადემიაში, რომელიც ელლინთა რენესანსის კერად გადაიქცა<sup>3</sup>). შესაძლებელია, თეოფილაქტე

\* ) კ. კრუმბახერი, ისტ. ბიზანტ. ლიტერ. 2 გამ., გვ. 133—134 (გერმ. ენაზე). 2) ძველი საქართველო, ტ. 1, განყ. 3. გვ. 14

3) Проф. С к а б а л л а н о в и ч ъ, Византийская наука и шко-

და იოანე სკოლის ამხანაგებიც კი იყვნენ. 1078-1081 წლებში თეოფილაქტე ბულღარიის მთავარეპისკოპოსად დაინიშნა, ხოლო 1083 წელს ახალ სამწყსოს ერთერთ პუნქტში, სახელდობრ პეტრიტ-კოში, გრიგოლ ბაკურიანმა, ექვს გარეშეა, -მისი კურთხევით და ნეართევით, ქართული მონასტერი დააარსა. შესაძლოა, კოსტანტინოპოლში განმტკიცებულმა ნაცნობობა-მეგობრობამ და სიყრმის ამხანაგთან სიახლოვის სურვილმა იოანე აიძულა გადასულიყო ახლად დაარსებულ ქართველთა პეტრიწონისის საეპარქიაში, საიდანაც ის დაბრუნდა სამშობლოში მეთორმეტე საუკუნის დასაწყისს, \*) საფიქრებელია, თეოფილაქტეს სიკვდილის შემდეგ, რომელიც, როგორც ზევითა ვთქვით, გარდაიცვია არა უგვიანეს 1107 წლისა.

მარტო მარკოზისა და ლუკას „განმარტება“ თარგმნა იოანემ, თუ კიდევ სხვა რამე? -მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის დაბეჯითებით ამბობს, რომ იოანემ გადმოიღო „სახარებისა თარგმანი: ლუკასი და მარკოზის თაენი“. უეჭველია, ამ სატყვეებს სარჩულად უძვეეს მხოლოდ და მხოლოდ ის სათაური, რომელიც „მცირე უწყების“ ავტორმა (1822-1825 წ.) მეტერამეტე საუკუნის ეკლნაწერებში ამოიკითხა, ზედმეტი ცნობა კი, მართლაც, არა დარჩენილა რა. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ჰნიშნავს, რომ იოანეს ამის მეტი სხვა არა ეთარგმნოს რა თეოფილაქტედან. უკანასკნელმა ერთ წიგნად გამოაქვეყნა ოთხთავე მახარებელთა განმარტება, ნაშასადამე ჩვენ უნდა ვითქვითო. იოანე გადმოიღებდა ოთხივე წიგნის განმარტებას და არა ლუკა-მარკოზისას მარტო. მართალია, მარკოზის „განმარტების“ თარგმანს ჩვენამდის არ მოუღწევია, ყოველ შემთხვევაში ჯერ არ აღმოჩენილა, მაგრამ იოანე მახარებელის „განმარტება“ კი კელთა გვაქვს. საეკლესიო მუზეუმში დაცულია ერთი მეთორმეტე-მეცამეტე-

лн въ XI с.: Христ. Чтение, за 1884 г. Мартъ-Апрѣль, стр. 356—358. Н. Мартъ, Іоаннь Петритискій... стр. 49—52. ყველა ის ქართველები, რომელთაც მეთოდოლოგიური სასკოლო განათლება მიუღიათ საბერძნეთში მე-11—12 საუკუნეში, ექვს გარეშეა ამ აკადემიაში სწავლობდნენ. ყოველ შემთხვევაში აქ უნდა ესწავლოს, იოანე ჭიმჭიმელთან ერთად, არსენი იყალთოელსაც, რომელსაც დიდი გავლენა ეტყობა ამ აკადემიის თანამედროვე პროფესორებისა, მაგ. მიქაელ პსელისა, იოანე ქსიფილინოსი და სხვ. (იხ. ჩვენი Грузинская версия арабскаго житія св. Іоанна Дамаскина: Христіанскій Востокъ, т. 3, стр. 140—141)

\*) ს. გორგაძე, ნემესიოს ემესელი: ბუნებისათვის კაცისა გვ. XIV

ტე საუკუნის კელნაწერი № 52), რომელსაც შემდეგი სათაური აქვს: „თეოფილაქტე წმიდისა. მთავარეპისკოპოსისა ვულარიაჲსაჲ. განმარტებაჲ იოანნის თავისა წმიდისა ქრისტეს სახარებისაჲ. ნამუშავეი მისი ბრძანებისა მიერ მარადის საკსენებელისა დედოფლისა. უვალა მარამისა“. ამ სათაურს შესავნებად უნდა შევნიშნოთ, რომ ახალ აღიქმის, კერძოდ სახარებათა, განმარტებას თეოფილაქტემ კელი მაჭუ მისი გულითადი მეგობრისა და მფარველის მარიამ დედოფლის ზეგავლენით. საკმაოა არა სპეციალური თვალთ გადაჭედვით ამ თარგმანს და ზერეღეთ შეადაროთ ლუკა-მარკოზის „განმარტების“ თარგმანს, რომ იმაში თქვენ იცნოთ იოანე პეტრიწის ნაშრომი. ანაიზად, იოანეს უთარგმნია ოთხთავე მახარებელთა „განმარტება“, თუმცა, ვიმეორებთ, მათეს სახარების „განმარტების“ თარგმანი ჯერ არ აღმოჩენილა. ეს კიდევ ცოცხაა.

საეკლესიო მუზეუმში ინახება ერთი მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნისავე უთავბოლო და ზუაშიაც ნაკლულევანი კელნაწერი № 390), რომელიც შეიცავს პაულე მოციქულის ეპისტოლეთა განმარტებას კელნაწერში არაფითარი ცნობა იმის შესახებ, ვისია ეს „განმარტება“ ან ვისგანაა თარგმნილა, ასე რომ თ. ჟორდანიას იძულებული იყო ეთქვა: „ამ კელნაწერმა, რომელიც შე ცავს აღმოსავლეთის უცნობ მწერალთა თხზულებებს, უნდა მიიპყრას აღმოსავლეთის საღვთისმეტყველო მეცნიერების მკვლევართა ყურადღებაო“). შესწავლადაკვირვებამ ჩვე, დავკარწმუნა, რომ ამ კელნაწერში დაცული ეპისტოლეთა განმარტება ეკუთვნის არა „აღმოსავლეთის უცნობ მწერალთ“, არამედ იმავე თეოფილაქტე ბულარულს, ხოლო თარგმანი მისი იოანე პეტრიწის.<sup>\*)</sup>

სქემა თეოფილაქტეს „განმარტებათა“ ასეთია: იმას ჯერ მოჰყავს საღვთო წერილის ტექსტი და მერმე მისი თარგმანება. იოანე პეტრიწის გადმოუქართულებია როგორც „განმარტება“ ისე თვით ტექსტიც. ეს გარემოება ჩვენთვის მეტად საყურადღებოა : იოანეს არ უსარგებლია არსებულ თარგმანით, არამედ კელ ახლა უთარგმნია.

\*) Описание рукописей Тифл. церков. музея, № 1, გვ. 382.

\*\*) ჩამოთვლილ თხზულებათა გარდა იოანეს უნდა ეთარგმნოს აგრეთვე განმარტება „საქე მოციქულთა“-სი, რომელიც რავდენადაც წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ, დაცული უნდა იყოს წერაკითხვის საზოვადოების კელნაწერში № 1172.



ასე რომ ჩვენ დღეს შეგვიძლია აღვადგინოთ მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებათა, აგრეთვე პავლეს ეპისტოლეთა ტექსტი: ამაირად, ამ თარგმანში შენახულა ახალი, დამოუკიდებელი რეცენზია ბიბლიური ტექსტისა, რომელიც ეკუთვნის იოანე პეტრიწს. თუ რამდენად განსხვავდება ეს რეცენზია ადრინდელისაგან, მაგალითად გიორგი მთაწმინდელის რეცენზიისაგან, სანიმუშოდ ჩვენ შოვიკიანთ სახარებათაგან რამდენსავე აღვიღს.

გიორგი მთაწმინდელი

იოანე პეტრიწი

(სახარება მარკოზისი, თავი იე, მუკლი 42—47)

და ვითარცა შემწუხრდებოდა, და ეგერა მწუხრისა მოწვენასა, რამეთუ პარასკევი იყო, რომელ არს ვინაჲდგან პარასკევი იყო, რომელ უწინარეს შაბათისა, მოვიდა არს უწინაჲს შაბათისა, მოვიდა არიმათიელი შეენიერი მზრახული, იოსებ არიმათელი, შენიერი განრომელი იგიცა მოელოდა სასუფე-მზრახი, რომელი იგიცა მომლოდეველსა ღმრთისასა; იკადრა და იყო სასუფეველსა ღმრთისასა; მკადრევიდა პილატესა და მოითხოვა რებელი შევიდა პილატეს მიმართ გუამი იესოსი. ხოლო პილატეს და ითხოვნა კორცნი იესუსანი. ხოლო პილატეს დაუკრდა უკუ-დაუკრდა, უკუეთუ აწვე მოკუდა, ეთუ ეგერა მოკუდა და მიმწოდებელმან კენტკრონისამან ჰკითხა მას და ისწავა ასისთავისა მასგან ესე უკუეთუ ადრე მოკუდა და ისწავა რა კენტკრონისაგან, მიანიჭნა კორცნი იოსებს, და მსყიდელმან სინდონისამან და გარდამოქსნელმან მისმან წარგრაგნა სინდონსა და დასხნა იგინი საფლავსა რომელი იყო გამოკუეთილ კლდისაგან. და მიავორვა ლოდი კარსა ზედა მის საფლავისასა. იყო მუნ მარიამ მაგდალინელი და მარიამ იოსესი და ხედვიდეს, სადა იგი დასდებდეს მას.



(სახარება ლუკასი, თავი ა, მუკლი 1—4).

<p>ვინააღდან უკუე მრავალთა კელ-ჰყვეს ალწერად მოთხრობისა საქმეთათჳს გულსავესე ქმნილთა ჩუენ შორის, ვითარცა იგი მომცეს ჩუენ რომელნი დასაბამითგან თვთმხილველ და მსახურ ყოფილ იყვენეს სიტყვსა მის, ჯერმიჩნდა მეცა, რომელი შეუდევ პირველითგან ყოვლითა ჰემმარტებითა, შემდგომითი შემდგომად მიწერად შენდა, მკნეო ღმრთის მოყუარეო თეოფილე, რათა სენა, რომელთათჳს იგი ისწავე სიტყუათა მათ კრძალულებაჲ.</p>	<p>ვინააღდან მრავალთა კელ-ჰყვეს ალწერად მითხრობისა საქმეთათჳს გულსავესე ქმნილთა ჩუენ შორის, ვითარცა მომცეს ჩუენ დასაბამითგან თვთმხილველ და მსახურ ქმნილთა სიტყვსათა, მთნდა მეცა შედგომილსა ზემოთგანვე ყოვლითა კრძალულებითა შემდგომითი შემდგომად მიწერა შენდა მტკიცეო თეოფილე, რათა შეემეცნო რომელთათჳს ისწავე სიტყუათა კრძალულებათა.</p>
---	--

(სახარება იოანესი, თავი ა, მუკლი 14—15, 18).

<p>და სიტყუაჲ იგი კორციელ იქმნა და დაემკვდრა ჩუენ შორის და ვიხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ ვითარცა მხოლოდშობილისა მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჰემმარტებითა. იოანე წამა მისთჳს, ჯალად ყო და თქუა: ესე არს, რომელი ვთქუ: რომელი ჩემსა შემდგომად მოვალს, ჩემსა უნარეს იყოს, რამეთუ პირველ ჩემსა არს.</p> <p>ღმერთი არაეინ სადა იხილა, მხოლოდშობილმან ძემან, რომელი იყო წიალთა მამისათა, მან გამოთქუა.</p>	<p>და სიტყუაჲ კორც იქმნა და დაეკარვა ჩუენ შორის და ვიხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ ვითარცა მხოლოდშობილისა მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჰემმარტებითა. იოანი წამა მისთჳს და ჯალდებდა მეტყუელი: შემდგომად ჩემსა მომავალი წინათ ჩემსა იქმნა, რამეთუ პირველ ჩემსა იყო.</p> <p>ღმერთი არც ერთმა იხილა ოდესცა, მხოლოდშობილმან ძემან, მყოფმან წიალთა შორის მამისათა, მან გამოთქუა.</p>
--	---

რაც შეეხება იოანე პეტრიწის მიერ თეოფილაქტეს „განმარტებათა“ თარგმანის ენას და საზოგადოთ სტილს, უნდა შევხიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ შევეძლია სავსებით გავიმეოროთ ის დახასიათება, რომელიც უძღვნა მას ნ. მარმა 1). სანიმუშოდ მო-





ვიყვანო რამდენსამე სტრაქონს იოან. I, 2 თარგმანებიდან: „რამეთუ რომელიმე არს შინაგან მღებარე, რომელი გაქუს არ მოუბნართაცა და იტყვ მზრახვალობისასა. და რამეთუ მძინარსაცა ვისმე და არ მოუბნარსა ეგრეცა აქუსვე მის შორის მღებარე სიტყუაჲ და ძალი არ განუგდიეს, და რომელიმე უკუე არს შინაგან მღებარე. ხოლო რომელიმე წარმოჩენითი, რომელსა ბაგეთა მიერ წარმოვაჩენთ. მეტყუელებისა ძალსა შინაგან მღებარისა და შორის დაღებულისასა მოქმედებად წარმოამადგენელნი მრჩობლყოფასა უკუე სიტყვსასა. არც ერთი მათი მოესავების ძესა ღმრთისასა, რამეთუ არცა წარმოჩენითი, არცა შინაგან მღებარე არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ. რამეთუ იგიინი ვიდრეკე ბუნებაჲა და ჩუენებურა. ხოლო მაშისა სიტყუაჲ ზეშობუნებისად მყოფი არ ქუეშე შეუერლების ქუენითა კელოვნად მეტყუელებათა: ვინაცა დაეკუეთების ელლინისა პორფირის მოსიბრძნებული. რამეთუ იგი დარღუევედ სახარებისა მეცადინი. ესე ვითართა იკუმევს განწულებათა“ (საეკლ. მუხ. № 52, ფურც. 2).

ამნაირად, ჩვენ წინ იშლება რამდენიმე ახალი, დღევანდლამდე უცნობი, საისტორიო—სალიტერატურო ფაქტები. იოანე პეტრიწს რომელსაც სწავლა-განათლება უნდა მიეღოს კოსტანტინოპოლის აკადემიაში პეტრიწონის ქართველთა მონასტერში უთარგმნია ბერძნულიდან თავისი სიყრმის ამხანაგის და მეგობარის, თეოფილაქტე ბულარელის, თხზულებათაგან:

1) განმარტება მათეს სახარებისა, რომელსაც ჩვენამდის არ მოუღწევია, ყოველ შემთხვევაში ჯერ არ აღმოჩენილა.

2) განმარტება მარკოზის სახარებისა, რომელიც დაცულია საეკლ. მუზეუმის № 102 და წერა-კითხვის საზოგ. № 404 კელნაწერებში.

3) განმარტება ლუკას სახარებისა, რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია საეკლ. მუზეუმის №№ 113, 284 და წერა-კითხვის საზოგ. № 3625 კელნაწერებში.

4) განმარტება იონეს სახარებისა, რომლის უნიკუმი ინახება საეკლ. მუხ. № 52 კელნაწერში.

5) განმარტება პავლე მოციქულის ეპისტოლეთა, რომელიც ნაკლულად შენახულია საეკლესიო მუზეუმის უნიკუმში № 390.

ა) „განმარტებათა“ თარგმნის დროს იოანეს მოუცია ახალი

რეცენზია აღნიშნულ საღვთო წიგნთა ტექსტისა, რომელიც თვალსაჩინოდ განსხვავდება წინადროჲს რეცენზიებისაგან.

თეოფილაქტეს „განმარტებათა“ ტექსტის კრიტიკისათვის იოანე პეტრიწის ქართულ თარგმანს, როგორც დედნის გამოქვეყნების თანამედროვეს, უაღრესი მნიშვნელობა აქვს.

კონ. კეკელიძე.



## ლაბეჭინის ეკლესიის სახარება.

ლაბეჭინის ანუ, როგორც ეხლა უწოდებენ, ლაბიჭინის ეკლესია მდებარეობს ლეჩხუმში, ხუთ-ექვს ვერსის სიშორეზე სადგურ ალაპანისაგან. ეკლესია გაშენებულია მთაზედ, ანუ უკეთ რომ ვთქვათ ქედზედ, რომელიც დაჰქურებს რაონის კეობას. მდებარეობა ლამაზია. გადასახედი და სურათი რაონის ზურმუხტის მზგავსი ნაპირებისაკენ უკეთესი. ლაბეჭინის ეკლესია ერთი საუკეთესო ეკლესიაა ლეჩხუმის ძველ ეკლესიათა შორის, მაგრამ დღემდის საარქეოლოგიო ლიტერატურაში ცნობილი არ ყოფილა. ამ ეკლესიას არც ბატონიშვილი ვახუშტი იკენიებს თავის გეოგრაფიაში. ეკლესია უგუმბათოა, მოზრდილი, თლილის ქვით ნაშენი და ლამაზის ჩუქურთმებით შემკობილი. გადაკეთების კვალი ბევრ ადგილას ატყვია, ძველი ეკუტრები მოშლილია, გარდა ერთისა სამხრეთ-დასაღეთის მკრით გიორგი ინასარიძის და მის მეუღლის ანას მიერ აშენებული, როგორც წარწერა მოგვითხრობს, მაგრამ ამ ეკუტრის თალიც ჩამონგრეულია. მე აქ არ გამოუდგები არც ეკლესიის აღწერას და არც მასში დაკულის ნივთების განაილვას და წარწერების გარჩევას. ამას სხვა დროს და სხვა ადგილას შევასრულებ. ახლა მარტო ამ ეკლესიის სახარებაზე შევჩერდები. წინეთ სხვა კელნაწერებზე ყოფილა ლაბეჭინის ეკლესიაში, მაგრამ ზოგიერთი მათგანი დაშლილი ყოფილა და ამ ოცდახუთი წლის წინეთ შეუგროვებით ერთად რე ეკლესიის ერთ კუთხეში დაუმარხავთ ქვის იატაკის ქვეშ. ვინათგან საეკლესიო წიგნები წმიდა საგნებად არის მიჩნეული, ძველ წიგნებს უბრალოდ არ გადაყრიდენ, ან დაწვავდენ, ან მიწაში დამარხვიდენ. წინანდელი მნათე ცოცხალი არ იყო და სხვებმა ვერ მიჩვენეს ადგილი, სადაც წიგნები დაემარხათ. ახლა ლაბეჭინის ეკლესიაში ერთად ერთი კელთნაწერი სახარება არის დაკული, სხვა კელთნაწერი არ მოიპოვება. სახარება ნაწერია ეტრატზედ, ზომით 24ღ18,5 სანტიმეტრია. კელი წერისა ნუსხა ხუცურია, ორ სვეტად. თითოეულ სვეტში 22 სტრიქონია. სათაურები წითელის მელნით არის ნაწერი, აკრეთვე მრგლოვანი ასოებით, სხვა ტექსტი



შავის მელნით. კელნაწერს ყდა აქვს ხისა, რომელზედაც მიხაკისფერი ტყავია გადაკრული. ტყავზე ჩაჭრით გამოსახულია სხვადასხვა სცენები სახარებ მსა. პირველი პირი ყდისა შემკობილია ვერცხლის თავიან ლურსმებით ჯვარის სახედ. კელნაწერს ამშვენებს ოთხი მახარობლის სურათი, ფერადებით ნახატი, ბიზანტიურის რივისა. სურათები ლამაზი კელობის არის. ტექსტი სახარებისა გიორგი მთაწმინდელის რედაქციისაა. გიორგის ანდერძი დატულია იოანეს სახარების ბოლოს. ეს ანდერძი ჩვეულებრივია. იწყება ასე: „ესე I საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდაა ოთხთავი ჩუენ ახლად გვთარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა და ბერძულთასაზ. შეგვწამებია ფრიადითა გამოწულილვითა:“ (დ სხვა.)\*)

ანდერძის შემდეგ ტექსტისავე კელით სწერია თუ ვის გადაუწერია კელნაწერი და ვის მოუგია:

დიდებაა და მადლი ღმერთსა ყოველთა  
კეთილთა მიზეზსა  
სრულ იქნა წმიდაა ესე  
ოთხთავი თარგმნალ  
ნი გიორგი მთაწმიდელისანი.  
მე სულითა საწყალოაქელ  
მან . . . . .\*\*)

უკისძემან მო  
ვიგენ წმიდანი ესე ოთ  
ხთავნი სალოცვე-  
ლად სულისა ჩემისა  
და მშობელთა ჩემთა  
და (ძმათა ჩემთა...\*\*)  
მშობელსა შეუდგენს  
ღმერთმან ამინ.

დაიწერნეს კელითა

1: ეს და სხვა ყველა მინაწერები ქარაგმების გაკსნით მოგვყავს და არა სიტყვების შემოკლებით, როგორც ჩვეულებრივად დედანშია. აგრეთვე არ ვიცავთ დედნის ნიშნებს.

\* სრულიად არ მოგვყავს, ვინაითგან ეს ანდერძი სხვა მრავალის სახარებიდან ცნობილია.

\*\*) დედანს აკლია.

ლკალ გიორგისითა. შეენ  
დენეს ღმერთმან. მწირსა  
და ცოდვილსა  
ამათ ოთხთავთა ეტრა  
ტისა შემქნელსა სუფსა  
შეუნდენეს ღმერთმან.“

ამ წარწერიდან ჩანს: კელნაწერის მომგები ანუ შემკვეთი ყოფილა ვილაც (...) უკისძე. სახელი აკლია დედანს, გადამწერი ყოფილა დვალი გიორგი, ხოლო ეტრატის ტყავის) გამკეთებელი სუფი. უკანასკნელი სახელა სვანეთის წარწერებში შეგვხვდრია.

ამის შემდეგ სახარების საძიებელია მოყვანილი:

„განგებაჲ სახარებათა საძიებელისა, წელიწდისა დღესასწაულთა, ვითა ძველს სვანქსარი წესსა ზედა ბერძულსა სრულებით“. პირველ ეტრატის ფურცელზე კვინკლოსის ტაბულაა მოყვანილი, მაგრამ ეს მერმენდელის კელით სწერია, შემდეგ ერთი ფურცელი აკლია.

მათეს სახარების შემდეგ სარჩევია და სარჩევის ბოლოს ტექსტის კელით სწერია:

„ქრისტე, ღმრთისა ძალო, შემეწიე უძღურსა გიორგის მწირსა“. კელნაწერს თარღილი არ უზის, თუ როდის არის გადაწერილი. კელის მიხედვით ის უნდა იყოს არა უგვიანეს მე-12—13 საუკუნისა.

არა ტექსტის კელით მინაწერებიც საკმაოა კელნაწერში. მათეს სახარების სარჩევის შემდეგ მოყვანილია „კალანდობა“, რომელსაც ეზრა წინასწარმეტყველს მიაწერენ ძველი კელნაწერები. ამის სათაური და დასაწყისი ასეთია:

„ესე კალანდაჲ თქმული ეზრასისი“

უკეთუ დადგეს იანვარი დღესა კვრია, აგსა, ზამთარი იყოს ნოტია, ზაფხული და არე ქარით და კმელ იყოს, ნაყოფი კეთილ, სთუძლი მცირედ, თათლი ფრიად, ცხოვართა შუძბა:“

მათეს სახარების ბოლოსაც ასეთი წინასწარმეტყველებანია, ხოლო ქორონიკონის ზედნადების რიცხვის გამო დასაწყისი ასეთია: „უკეთუ იყოს ზედანადები :ია: მას წელიწადსა იყოს ზამთარი თოვლიანი, უინელი მანე. ფებერვლისა კიდევან კარგი იყოს და მოკმელე. გაზაფხული წვიმიან. ზაფხული კმელი. სთუძლი ნოტია, თივა ძვრად, მთანი სჯობდენ, ბარნი ზოგად, ჩრდილოა კეთილ. ზამთრი-



სა ყანელმან ვენაკსა აენოს. თაული და ნაშრომი მცირედ. ფებერ-  
ვალსა :ბ: დაბნელდეს მზე და იენისსა ;კზ:“

ამავე სტატიის გაგრძელება არის მოყვანილი ვიდევ მარკოზის  
სახარების ბოლოს, იქვე წინასწარიტყველება არის ძურ-სა და ქუ-  
ხილის მიხედვით:

„იანვარსა თუ იქუხნეს, იფქლისა და ღვნისა საესებაჲ იყოს.  
თუ იძრას, ერთობით ყოველსა ქუეყანასა სიკუდილი იყოს.“ და სხვა  
ამგვარი.

ლუკას სახარების ბოლოსაც კენკლოსის ტაბულაა მოყვანი-  
ლი. იოანეს სახარების სათაურების ბოლოს მოთავსებულია: **წესი მონა-  
წაზონის კურთხევისა.**

ყველაზე საინტერესო წერილი მოთავსებულია სულ ბოლოს.  
რასაკვირველია ეს ნაწერია არა ტექსტის კელით, მაგრამ წერილი  
არ უნდა იყოს უგვიანეს მეთოხმეტე საუკუნისა. აქ მოთხრობილია  
თუ როგორ და ვინ ააშენა ლაბეჭინის ეკლესია მას შემდეგ, რაც  
მიწის ძვრამ ის სრულიად დააქცია. ჩვენდა სამწუხაროდ ამ წერილს  
ბოლო აკლია, ამას გარდა დასაწყისიდან ჩანს, რომ წერილის წინ  
ყოფილა სხვა წერილი, რომელშიაც მოთხრობილი ყოფილა, თუ რა  
გაუყეთებიან სხვა ლაბეჭინელთ ანუ ლაბეჭინის მოძღვართ. არც ეს  
წერილი შენახულა.

თავში სათაურის მზავსად წითელის მელწით სწერია:

„ესე რაჲცა მათ სულკურთხეულთა ლაბეჭინელთა მოძღვარ-  
თაგან მოქირებულნი და შენებულნი ყოფილა, მათ ყოველთაგან თი-  
თოეულად აქა დაწერილა, ამას ადგილსა ზედა“.

მერმე მოყვანილია შემდეგი ტექსტი: „მათად შემდგომად მე  
გაბრიელ ლაბეჭინელი დავრჩი. ვიდრემდის ჩემი გამზრდელი ცოც-  
ხალ იყო, რაჲცა შემეძლო ეკლესიისა სამსახურსა და პატრონთა სა-  
მსახურსა და სხუასა ყუელასა მეცა ვიქმოდე. რაჲ ცოდვათა ჩემთა-  
გან იგი მიიცვალა, მაშინვე მევე მიბრძანეს ამის ადგილისა პატ-  
რონთა ყუელათა წმიდათა მთავარანგელოზთა სამსახური და თვთ  
მათ(ი) სამსახური. რაჲცა ამას ადგილსა მოწყობილებაჲ აკლდა, რაჲცა  
ჩემსა ძალსა და ღონესა დაეტეოდა, ყოვლითა მოწყობილობითა მო-  
ვაწყვე, ჰასრე რომელ არათათანაჲ არაჲ არ აკლდა. ამას შინა მრავ-  
ალნი ჟამნი და წელიწადნი გარდაკლეს და ცოდვათა ჩუენთა ღმერ-  
თმან მოაგო და მოიწია დიდი და საშინელი ძრვაჲ. მათ პირველთა  
ლაბეჭინელთა მოქირებულნი და შენებულნი და თვთ ჩემი ყუელაჲ

ერთსა დღესა საფუძველითურთ დაირღუა. ზიგან ეკლესიასა ხატნი იყენეს და მოწყობილებას დაიუწინეს და იავარ იქნეს. გარეთ ნაშენებიცა ყუელას. ამას ყუელასა ზედა შეგვეუქნა შექირვებას და წუხილი: რასმცა ვქმენით, არას ვიცოდით, და არავინ ეჭუდა რგებასა ამის ადგილისასა და არცა ვის ეკონა, თუ ლაპეკანას ქვას ქვასა ზედა დაღედებისო. და არცა თვთ მე დადგომას გამეკო. მერმე მოვეგე გონებასა. მეშინოდა და მრცხუნიოდა ღმრთისაგან და წმიდათა მთავარანგელოზთაგან და ყოველთა კაცთაგან. ვევედრე და შევეხუეწე ღმერთსა და ამათ წმიდათა მთავარანგელოზთა: „უკეთუ ჯერ გიჩნდეს ჩემგან შენებას, თანადგომითა და შეწევნითა თქუენითა მიბოძეთ გამარჯუებას რათა წმადათა მთავარანგელოზთა საყდარი აღვაშენო“. ყვეს წყალობას და თანადგომას ჩემზედა. კელეკავ შენებად და მოვასხენ გალოტოზნი თორმეტნი ერთსა ზაფხულსა და ვშრომე, რასცა ძალ მეღვა და გავეც ფასად, რასცა ღმერთსა ებოძა ჩემთვის მაშინ. მეორესა ზაფხულსა მოვასხენ ცამეტნი გალოტოზნი და ეკლესიას ზედა შევეკარ მას ზაფხულსა. შეუნდგენეს ღმერთმან დედოფალთ დედოფალსა ვახტანგის [ენის\*] დედასა რუსუდანს, მის ეამისა შენებისათვის გალოტოზთა ზედა ფასი მან ვასცა, ცოტასთა მეცა შევეწიე მაშინ. მოვასხენ კულა(ვ)ცა გალოტოზნი მესამესა ზაფხულსა და მოვარეთ საცურე. გავეც მე ფასი რაიცალა მქონდა და სრულ იქნა ეკლესიას, და მოვკლახე შაკან და დავდგენ კანკელნი ქვისანი და გავეც ფასი მისთვის. მოვიყვანე მხატვარი და რასცა ხატი დაღეწილ იყენეს, ყუელას ახლად დავაწერინე. მოვიყვანე ოქრომკედელი, რასცა ხატნი დაღეწილ იყენეს, ყუელაი ახლად მოვაქედინე. რასცა შეიკაზმვოდა, შევაკაზმვინე. ორნი მთავარანგელოზთა ხატნი დიდნი, ერთი ყოვლად წმიდისა ვედრებისას, ერთი ზეკანკელთა ყოვლად წმიდისა ვედრებისას და პეტრე-პავლეთა ხატნი, ესენი ახლად მოიქედნეს, სახენა შეეკაზმვენ. ჯემლად თერთმეტნი ხატნი ახლად მოვიკაჯედინე. კანკელთა კარითურთ ოცა ხატი წამლითა დავაწერინე. ამისა შემდგომად მოვიყვანე მხატვარი და მოვახატე სრულად ეკლესიას და გავეც რასცა მართებდა ფასი ჩემი. ჯუარსა ცხორებისასა აკლია ჯერ(ეთ) შეკაზმვას და თუ ცოცხალ ვიყო, მისსაცა შეკაზმვასა ვლამი. მოვასხენ მწერალნი და დავაწერიე ერთი დიდი

\*] ამ სიტყვას, რომელიც უქარაგმოდ ასე შემოკლებულად სწერილია „ენის“, შენიშვნა აქვს აზიანზე გაკეთებული სხვა კელით „გონივ: ვახტანგის: დედასა: იტყვს“. ჩვენც ვიზიარებთ ამ შენიშვნას.



ნეტაფრასი და ერთი სვნაქსარი, მოთხრობიანი ე, ერთი შარხუანი, ერთი საწინასწარმეტყულოა ერთი პირველი კმა პარაკლიტონი, ცხრაა თუბ, ერთი სტოდიელი, ერთი ნიკოლოზის ცხოვრება და დიმიტრის წამება და შესხმა და კონდაკი სამსკეკუაი. ამის ყოვლისა ფასი ჩემი გამიცემია, ეს ყოველი წიგნი შემოსილ არიან. მათოვსცა ფასი მე გამიცემია. კანკელთა ზედაათ რომელ ჯუარცმისა ხატი არს, მისი ფასი რუსუდანვე გასცა. ეკლესიისა კარისბქენი და (კიდევ) ამას ქედსა ზედა თუ სახლნი არიან ანუ ზღუდენი არიან და თუ ჭურმარანი არს, რააცა ჭურჭელი (კელსადგი) და რააცა ბელელნი არიან, რააცა შეშისვოდა შევეკაზმი და სხუა ახლად აღვაგე, ბრავალნი ქუაბ-საქუაბენი და სხუანი მრავალნი წუროლმალნი ჭურჭელნი, რომელი თითოეულად არ დაიწერებოდა. სამკედლოა ჭურჭელი უკლები, ველ-ვენაენი და ყანაა ურიცხვ, რომელი მიშენებია, მომიგია და მიყიდია, აქა ზემოსა აგარასა და კკრიკე-წმიდასა რააცა მიშენებია და მიმატებია, ორგანვე თვთ ჩანს. ქუშმოსა აგარასა საპირუტყუ სახლნი დავდგენ. უწყის ღმერთმან, ვირე შემეძლო, ამას ქედსა ზედა შენებაა არაასთანაა მიკლია, ძალი და ღონე არსაათ რაა მომწყედა, რასაცათვს არ ვიჭირვოდე. ჩემობასა ექუსნი გლებნი მომიგიან: ზოგის ოთხნი ტევიანისეულნი, ერთი ნიკოლოზის(?) ინასარიძისეული ბენშექისძე, ერთი საგლებოა კიდევ(?) ჰამარისძემან შემოსწირა და მე ზედა კაცი დავასახლე. ქოშასაქოშქოფასძე გოგელაური და პარტახტი-ესე ორნი ივანე ქაბულისძემან მოაკენა ეკლესიასა. საირმეს თურქანაძესა არავინ ემართლების ეკლესიასა წალებასა, ამით რომელ გაბისულას ძისა სახლისა მკუდართა. აქა დამარბულთა, ანდერძი არს, ნასისხლად აღებულთა კერძოთაგან. მას საუკუნესა ბრალია, თუ ვინ წაულებს. არჰანას რომელ მიშენებია და მომიგია ესე არს. ეკლესია ავაგე, შიგან მოვხატე და მოვკაზმე და ხატნი დავასუწუნენ, და სხუა წიგნი და რააცა უნდოდა, დავსხენ. ბელელნი ახლად გამოცევალენ, სამნი ახალნია და ორი ძუპლნი, ჩემითა ფასითა მიყიდია. ჭურ-მარანი შევეკაზმენ, ოთხნი კარგნი საწინახელნი დავდგენ, (კარგნი რეკუნი\*), და ზედა აქუს ქვთკირისა სახლი საკაცე და საპირუტყუ. სხუა ჭურჭელი, ქუაბ საქუაბე<sup>2</sup>) და სამკედურა და სხუა რააცა ჭურჭელი სახლსა შიკან კამს,

\* რეკუნი, რეკული ანუ რიკული ჰნიშნავს, როგორც ლაბიკინაში ამიკსნეს, გადასარიხავს საწინახელისას.

2) საქაუბე ანუ „ნაჭა“, ესე იგი ქვაბის დასაკიდებელი რკინის ჯაჭვი.



ყოლა უკლებად დამიდგამს. გარშემო რააცა ზღუდენა არიან და ზღუდეთა შიგნით რომელ ვენაენი და ნაშენებნი არიან, იგიცა შემიშენებია და მიქნია. მანდა ზეკანთა ციხისა კერძოთა კაცთაგან ვენაენი იყენეს, იგი აქა მკუდართათვს ეკლესიასა მოაკსენეს და არს იგი. სხუაჲ ზოგი მიშენებია და ზოგათავს ფასი გამიცემია. უნებლით არავისთვს წამილია, ღმერთია მოწამე. ბალუმელაძისა სახლი და მამული ნახევარი შუშანასა სალოცველად და საალაზოდ შემოწირულია, ნახევარისათვს ექუსასი ბოტინატის ფა)სი პატრონთათვს მოგკსენებია და აწ ეკლესიასა აქუს“.

ამას შემდეგ თორმეტი სტრიქონი გადასულია და გაფუჭებული, აქ-იქ ცალკე სიტყვები და ასოები განიჩევა.

. . . ის ძისა . . . . ად . . . . ა . . . . ვინცა . . .  
 და აქს ეკლესიასა . . . . ხლასად  
 ბოტინატი . . . . ანუ ფა . . . .  
 ესე . . . . ნებისათვს და საყდრისათვს  
 გამიცემია . . . . გარეთ მოსალებათა  
 მიქნია . . . .  
 კულა რაამე . . . . მეტი არაჲ შემერთო . . . .

(შემდეგ სულ აკლია)

ეს საყურადღებო წერილი ეროგვარი სტორიაა ლაბეჭინის ეკლესიისა. იმ აუარებელ შენობათა შორის რომელიც აუგია გაბრიელ ლაბეჭინელს, აღარაფერი აღარ დაცულა. ეტყობა მხოლოდ ზღუდის ნანგრევები და დარჩენილი ნაწილები. თვით ეკლესიის კედლებზე მხატვრობა აღარ ეტყობა, სულ მოსპობილა. ქვის კანკელი ამ ოცი წლის წინათ შეუცვლიათ ხის კანკელად. სვეტები და სხვა ნაწილები ქვის კანკელისა ჩვენ ეზოში ვიპოვეთ. ხატები და წიგნები რომელზედაც მოგვითხრობს გაბრიელ, არ შენახულა. ხატები არის, ზოგის წარწერებიც მოიპოვება. მაგრამ არა ვგონებ უმეტესი მათგანი გაბრიელ ლაბეჭინელის დროს ეკუთვნოდეს. ყოველ შემთხვევაში მისი სახელი წარწერებში არ იქსენიება.

გაბრიელ ლაბეჭინელს არპანასაც აუშენებია ეკლესია. არპანა ეხლანდელი ალპანაა, სადაც საფოსტო სადგურია და სოფელი. ვახუშტის გეოგრაფიაშიც არპანად იწოდება სოფელი. გაბრიელ ლაბეჭინელის ეკლესია არ შენახულა. ამ სოფელში ჩვენ ახალი ეკლესია ვნახეთ გზის პირად, რომელიც ძველი ეკლესიის ადგილზეა აშენებული.

საირმე სოფელია ლაბეჭინის მახლობლად. ალპანიდან ჯერ ჩვენ საირმეს მივედით, მერე ლაბეჭინას. ამ სოფლის მახლობლად უკანასკნელ დრომდის მონასტერი არსებობდა მარტვილზე მიწერილი, მაგრამ მონასტრის მახლობლად მიწის ძვრის გამო მთა გამსკდარა, ნაპრალი გაკეთებულა საიდანაცამოდის გაზები. მონასტერი გაუქმებით და ნივთები მარტვილში გადაუხიდავთ. სოფელსაირმეს ახლა ახალი ეკლესია აუკიათ. სოფელი აგარა რიონის მარჯვენა ნაპირზეა გაშენებული ალპანას ჩრდილოეთით და ლაბეჭინას დასავლეთით. სოფელი ეოშხა ლაბეჭინას აღმოსავლეთით ძევს. ხოლო კვირიკე-წმინდა არა ჩანს ეხლანდელ რუქებზე. წერილში მოკსენებულია დედოფალთ დედოფალი რუსუდან, დედა ვახტანგისა. არ ვიცი რომელ რუსუდანზეა აქ ლაპარაკი. თუ წერილში მოკსენებული ვახტანგი ვახტანგ მეორეა, ნარინ დავითის შვილია, ჩვენ ვიცი, რომ ნარინ დავითს ჰყავდა ცოლად ბერძენთ მეფის მიხაილ პელეოლოგის ქალი, რომლის სახელი არ შენახულა. თვით ვახტანგი გადაიცვალა 1292 წელს.

წერილი საყურადღებოა ტერმინების მკრითაც. მაგალითად ეკლესია შიგნით მოვგლისეო ამბობს გაბრიელ ლაბიჭინელი, ეს რუსულად რომ ვთქვათ „შტუკატურკის“ გაკეთებაა. საყურადღებოა აგრეთვე რომ როცა ფრესკებზეა საუბარი, ამბობს ეკლესია მოვახატვინეო, როცა ფერადებით გაკეთებულ ხატებზე, ხატები დავაწერვინეო და სხვა.

ე. თაყაიშვილი.



## -„მეცა“ ნაწილაკი ძველს ქართულში.

ერთი რამ ფრჩხილად საკურადღებო სვინტაქსურა მოვლენა არის ძველს ქართულში, როგორც საფუძვლად უქვეს -**მცა** ნაწილაკს კმარება.

ეს -**მცა** ნაწილაკი რთული სუფიქსია და წარმოდგება **მ** და **ცა** ნაწილებისაგან. მისი პირველი ნაწილი **მ** ნაშთი უნდა იყოს რაღაც სიტყვისა, მეორე კი, **ცა**, არის ანობილი კავშირი, რომელიც მნიშვნელობით უახლოვდება და კავშირს და რომელიც ლათინურ **ჭუე**-სავით, სიტყვის ბოლოს დაისმის ხოლმე: **კაციცა**, **სიტყუაცა**, **წიგნიცა**, **სახლიცა**, **ეგრეცა**, **მერმეცა** და სხვა.

ეს მეორე ნაწილი, **ცა**, დღეს ჩვეულებრივ შემოკლებით, ანის შეკვეცით, იკმრება: **კაციც**, **სიტყუაც**, **წიგნიც**, **როგორც**, **რომელსაც** და სხვა, მაგრამ ზოგჯერ, განსაკუთრებით ზოგჯერ, შემოკლებლადც ვკმარობთ, ძველებურად: **ვაეცა** და **ქალიცა** და სხვა.

რთული -**მცა** სუფიქსი ძველს ქართულში მნიშვნელობას უძლიერებს იმ სიტყვას, რომლსაც ეს დაერთვის ხოლმე. დართვით კი შეიძლება დაერთოს სახელსაც, სახელის ნაცვალსაც, ზმნასაც, ზმნისხედასაც, კავშირსაც. მაგრამ რა გინდ სიტყვის ნაწილსაც უნდა დაერთოს, სულ ერთია, იმავე წინადადებაში ნატვრით კილოს ვეღარ იკმართ, არამედ ყოველთვის მოთხრობითი უნდა იყოს. ზოგი კავშირი (მაგალ., **რახთა**, **რათა**) ჩვეულებრივ ნატვრითს მოითხოვს, მაგრამ თუ -**მცა** სუფიქსს მიაშველებთ (მაგალ., **რახთამცა**, **რათამცა**), მაშინვე ზმნის ნატვრითი კილო მოთხრობითად უნდა მოაქციოთ, ან აწმყოში, ან სრულ ნამყოში, იმისდა მიხედვით, თუ რომლის ნატვრითი კილოა ჩვეულებრივ, უამ -**მცა**-სუფიქსოდ, მოსალოდნელი.

ნათქვამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ სამიოდე მაგალითი, სადაც ცხადად ჩანს -**მცა** ნაწილაკის გავლენა წინადადებაზე.\*)

\* აქ მოყვანილი მოწმობა ამოღებულია პროფ. ბენეშევიჩის მიერ პეტერბურგს გამოცემულ მეთე საუკუნის ათონისა და ტბეთის სხარებათაგან (მათეს თავი გამოიცა 1909 წ. და მარკოზის თავი 1911 წ.) და ათონის მთაზე დაცულ მეთე საუკუნის კელნაწერ დაბადებიდან (პეტერბურგის ას.ის მუზეუმის ეტოგრაფიული ნახატების მიხედვით).

რამათა მოკლან იგი (მათე 27<sub>1</sub>, მარკოზ 14<sub>33</sub>)  
 რამათამცა მოკლეს იგი (მათე 26<sub>29</sub>, იოანე ბოლნელის ქა-  
 დაგზბანი, მ. ჯანაშვილის გამო-  
 ცემა, გვ. 77<sub>27</sub>; შდრ. აგრეთვე  
 მარკ. 14<sub>1</sub>)

ნუ-უკუე მოკლან იგი კაცთა (შესაქმეთაჲ 20<sub>7</sub>)

ნუ-უკუემცა მოკლეს იგი კაცთა (შესაქმეთაჲ 26<sub>7</sub>)

არა-რამ აქუს რამ ჰამონ (მარკოზ 8, ტბეთის სახარებაში  
 არა-რამ აქუს რამცა ჰამეს (იგივე ადგილი ათონის სახ.)

ზემორე მოყვანილ მაგალითებში აზრი ერთი და იგივეა გა-  
 მოთქმული, სიტყვები ერთი და იგივეა ნაკმარი, მაგრამ ზმნა სხვა  
 და სხვა კილოშია დაყენებული. ამის მიზეზია -მცა ნაწილაკი, რო-  
 მელსაც არ შეუძლია, რომ ნატვრითი კილო შეიწყნაროს.

ასეთია -მცა სუფიქსის მნიშვნელობა ძველს, კლასიკურს ქარ-  
 თულში. მაგრამ მერმინდელ, საშუალო საუკუნეების ქართულში, გან-  
 საკუთრებით კი მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში (მეცხრა-  
 მეტე საუკუნეში ხომ რალა თქმა უნდა!) იწყება რყევა: ბევრ მწე-  
 რალს უკვე აღარ ესმის ამ ნაწილაკის ნამდვილი მნიშვნელობა და  
 კშირად შეჰხედებთ, რომ წინადადებაში ეს სუფიქსი იყოს ნაკმარი  
 და ზმნა კი, ვითომც და არაფერიიო, ნატვრით კილოში იდგეს  
 და არა მოთხრობითში, როგორც ამას მოითხოვს -მცა ნაწილაკ-ს ბუ-  
 ნება და თვისება.

აკაკი შანიძე



## A N N O 1917.

### პოლიტიკური მიმოხილვა.

1917 წლის იანვარს ქართველობა გულნადღვლიანი შეეგება. ბურუსით მოსილი მომავალი ყოყმანით კსნიდა დროთა წიგნის შორივ ფურცელს.

117 წლის მონობით ენერგია მოღუნებული ერი გულაველ დაკრეფილი შესცქეროდა ახალ წელიწადს, რადგანაც ყველა ჩვენგანი ინსტიტუტურად გრძნობდა, რომ რაც ხანი გადიოდა პოლიტიკური კირთება ჩვენთვის უფრო და უფრო აუტანელი კდებოდა. არსაით ჩანდა სხივი იმედიანი მომავლისა. ყოველ ქართველს შარშან ამ დროს გულში ემარხა წინასწარმეტყველის სიტყვები:

„მამათა ჩუენთა ცოდეს და არა არიან და ჩუენ უსჯულეო ბათა მათთა მოვიხუამთ“.

სულ სხვა იმედით, სულ სხვა სასოებით შესცქერის ქართველი ერი 1918 წელს.

ამ წელმა უნდა მოგვიტანოს ის, რაც 117 წლის წინად და 117 წლის განმავლობაში დაეკარგეთ. 1918 წელმა უყოყმანოდ უნდა დაგვიბრუნოს ის, რაც ეგზომ ვერაგულად წარგვტაცა 1801 წელმა.

მომავალი ახალი წლისგან ველით ჩვენ მყუდრო მოქალაქეობრივ ცხოვრებას და ავლშეუშლელ კულტურულ მუშაობას.

ამ წლისგან მოეითხოვთ ჩვენ სამშობლოდან გადახვეწილ ძმებსა და შვილებს, უცხოებაში და მარტოობაში, რომ ერთეულ გუშაგად დაძღვარან ძველ სასამხიროში და პოლაკთა ველ-მიდამოში, კურლანდიაში, ლიფლანდიაში ან და პინსკის კაობიან არემარეში რო ანელეზბდენ სამშობლოდან გამოყოლილ სამხრეთის სიცხუნვარეს.

ამ წლიდან მოეელით ჩვენ სამართლიან ზავს და სამართლიან ცხოვრების პირობებს. როგორც ჩენი საზოგადოებრივობის, ისე ჩენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მეისტორიისთვის დაუშრეტელ მასალას იძლევა 1917 წელი.

არც თუ სიურპრიზი, არც თუ ნობათი იყო ჩვენთვის ვისუფლება, რომელიც ოვლითა და სისხლათ მოაპოვა ქართველმა ერმა.

იმ დღიდან, რაც პოლიტიკური თავისუფლება დაეკარგეთ, ქართველ ხალხს მაჯა და მკლავი არ შეუსვენებია. პოლიტიკური თავისუფლების დაკარგვასთან ერთად ქართველობას პოლიტიკური თავისუფლების სიყვარული როდი დაუკარგავს. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარს ქართველობა შეუკავშირებელ მასსას წარმოადგენდა თითქმის ყველა კუთხის ქართველობამ იგრძნო ის საშინელი კატასტროფა, რომელიც 1801 წელს ჩვენში უცხოდან შემოჭრილმა უხეშმა ძალამ მოახდინა რონდის კანტი-კუნტად აგუზგუზებული ეროვნული რევოლიუციების კიაკოკონები, რომელიც ჩვენ უახლოეს ისტორიას ახსოვს, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ზედმეტჯერ მოწმობდა, რომ ამ უორგანიზაციო ერში ჯერაც არ გამჭრალიყო ინსტიქტი ზედამიანური წინააღმდეგობისა და თუმც თვით ცნობიერების გრძნობა სუსტი იყო გარეშე მაყურებელ თვალისთვის, ქართველობის მთლიანი და განუყოფელი ეროვნული არსებობის საუკეთესო დემონსტრაციებად ესეც კმაროდა.

მართალია პოლიტიკური თავისუფლება დაეკარგეთ მაგრამ ქართველობას კიდევ აღმოაჩნდა შემონახული პრიმიტიული ძალა და ენერჯია, რომლისკანაც იგი იღებდა არსებობის ბრძოლისათვის აუცილებელი ცეცხლსა და ტყვია-წამალს.

1905 წლის რევოლიუცია ბევრას თვალშიც მხოლოდ სოციალური მოტივებით იყო გამოწვეული, უფრო მეტს ეს რევოლიუცია რუსეთის დიდ აუზიდან გადმონარტყორცნ მოხეტიალე ტალღად მიაჩნდა, რომელიც ცენტრში მონქელმა ზღვაურმა პერიფერიებისაკენ წამოაქანა. ჩვენის აზრით ეს რევოლიუცია ჩვენმა ხალხმა სულ სხვანაირად მოიმაჯრვა ხელში და თუ სახელი მისი რუსეთის პირველი რევოლიუცია იყო, არსებითად იგი მხოლოდ და მხოლოდ ერთი თვალსაჩინო ეპიზოდია იმ მრავალი წლის ეროვნული რევოლიუციისა, რომლის პირველი საბედისწერო თოფის ხმა, მთიულეთში გაისმა 1804 წელს. დაიწერება მიუდვოველი მატრიანე ამ მოძრაობისა, და ჩვენ დავინახავთ, რომ თუმცა ამ რევოლიუციის პიონერებს აზრადაც არა ჰქონდათ 1906 წელს ეროვნული რევოლიუციის ქარი დაეთესათ, მაგრამ ქართველმა ხალხმა ამ რევოლიუციით ეროვნული აჯანყების ქარიშხალი მოიმკო.



ყველამ კარგად ვიცით, რომ სასჯელი ყველა ერზე მეტად რუსეთში ქართველ ერს დაატყდა თავს, მოწინავე კუთხე ჩვენი ქვეყნისა, გურია ლამის იყო გაანადგურეს. ერა წელში გატეხა ამ საშინელმა გრივალმა, რომელმაც სულ ერთი ათეული წლის წინად გადაურბინა თავზე საქართველოს ველ-მიდამოს და ათიოდე წელი არ გყო ქართველ ერს, რათა ჯეროვანად გამართულიყო წელში და ახალი ბრძალისა და მეორე დიდი რევოლუციისათვის საკმაო ენერჯია მოეკრიფა, სწორეთ ამით აიკნება ის მოთენთილობა, რომელიც მიმდინარე მეორე რევოლუციას ეტყობა საქართველოში.

1905 წლის რევოლუციას ორი ფრონტი და ორი საპირე ჰქონდა, ერთის მკრით ერი ირანმებოდა გარეშე ძალის უვნებელ საყოფად, გარეშე ძალის ფრთის შესაკეცად, მეორეს მხრით სოციალურ—კლასიური ბრძოლის გასაჩაღებლად. მიტომაც იყო, რომ პირველ რევოლუციას თან მოჰყვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აგრარული რევოლუციის ნიშნები. ხოლო 1917 წლის რევოლუცია სულ სხვა კალაპოტში და სხვა სფეროში იშვა. კერენსკის მთავრობის დამკობიდან, როგორც საქართველო ისე მთელი კავკასიელი ერები უწინარეს ყოვლისა რევოლუციის პოლიტიკურ მკარეს აპყრობენ გულსიყურს.

სულ სხვა იყო რუსეთში. ჯერ კიდევ ნახევრად ბურჟუაზიულ დროებში მთავრობის დროს რუსეთში დაიწყო აგრარული უწყსობებიანი. ეს გარემოება არამც და არამც კავკასიელ ერების კლასობრივ გაუწვრთნელობას არ მიეწერება. წინააღმდეგ, ქართველმა ხალხმა და მასთან ერთად კავკასიის დემოკრატებმა შეიგნო, რომ უწინარესს ყოვლისა პოლიტიკური ცხოვრება უნდა მოწესრიგებულიყო.

ცენტრში წყლის ამღვრევის შემდეგ ყველანი უხმოდ შეთანკმდენ ერთი ლოზუნგის გარშემო. ეს იყო რევოლუციის გადარჩენა რუსეთის რევოლუციის ნაციონალიზაციითა და პერიფერიების გაძლიერების სახით.

ამ წელს შედგა პროვიზორული ამიერ კავკასიის კომისარიატი. დაემკო ძველი რუსეთი. 1917 წლის 19 ნოემბერს საძირკველი ჩაეყარა ქართველი ერის სუვერენულ უფლებებს.

ამ დღიდან უნდა დავიწყოთ საქართველოს თავისუფლების ახალი ქორონიკონი.

19 ნოემბრის დეკლარაცია თავისი მნიშვნელობით არ ჩამოუ-

ვარდება 1801 წლის მანიფესტს რუსის იმპერატორისას, რომელმაც მძიმე ლოდი დაადგა კავკასიის თავისუფლებას. უახლოეს წარსულიდან ვიცი, თუ რაოდენი მსხვერპლი გაიღეს ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა ამ ლოდის ასაღებად, მაგრამ ვერც შამილის ოსტატურმა ხელმა, ვერც ჩერქეზების, ჩაჩნების და ლეკების თავგანწირულმა ბრძოლამ ამ ლოდის ქვეშ დამარბული კავკასიელ ერთა თავისუფლება მკვდრეთით ვერ აღადგინა. ისევ და ისევ 117 წლის ტანჯვა და 117 წლის ბრძოლა დასჭირდა ქართველ ერს, რომ იგი კვლავ მოქცეოდა ავანგარდში იმ ბრძოლას, რომლის ერთ ნაპირ, ვულგარულ აზროვნებაში კავკასიის დემოკრატიისა და კავკასიელ ერების მთლიან ფრონტს უწოდებენ.

კავკასიაში მოსახლე ერების ყველა ინტერესთა ფოკუსში ერთი ნათელი უტყუარი აზრი და შეგნება უნდა გაიკვანძოს: ამ ინტერესთა დეტალურ ანალიზის დროს, ინტერესი ყოველი ერთეულისა ზოგად კავკასიურ ინტერესთა შარმონიიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამ შეგნებისა და ამ გზით სიარულის ნიშანწყალს ჩვენ 19 ნოემბრის ყრილობაზე შევამჩნევდით.

ესევე ჩანდა იმ მეზობელ ერთა წარმომადგენლების სიტყვიბიდან, რომელიც ქართველმა ერმა მოისმინა. ეს იყო გულწრფელი მოწოდება ქართველი ერისადმი კვლავ ძველ პოზიციებზე დასაბრუნებლად; და როგორი იყო ეს გზა და ეს პოლიტიკური ლარია რომელიც თან დაჰყოლია კვლავ ქართველი ერის და საერთოდ კავკასიის პოლიტიკურ ისტორიას?

ჩვენ ბედმა გვარგუნა ამიერ კავკასიაში გეოგრაფიული ცენტრის დაჭერა და მიუხედავად იმისა, რომ კავკასია მრავალი საუკუნის რელიგიოზურ და ეროვნულ ბრძოლის არენად იყო გამხდარი, თვით ამ ბრძოლის ქარტეხილშიაც გამოსკვივოდა ერთი რამ: ჩვენი გამუდმებული და შეუპოვარი ქიდილი, ბრძოლა საქართველოს საჩელმწიფოებრივ ინსტიტუტის განსამკვიდრებლად პარალელულად მთელი კავკასიის ერთა თავისუფლების გარანტიად იყო გადაქცეული.

ანაირად ჩვენ 19 ნოემბრიდან კვლავ ვუბრუნდებით იმ პოზიციას, რომელიც 1801 წელს ნებით თუ უნებლიეთ შემოკრილ ძალისათვის უნდა დაგვეთმო. ჩვენ არას ვიტყვი, იმ კულტურულ განმანათლებელ მისსიაზე, რომელიც ჩვენ წინაპრებს უწარმოებიათ კავკასიის ტერიტორიაზე, ჩვენი გულისყური ამჟამად იმ პერსპექტივებისაკენა მიმართული, რომელიც წინ გვეხატება ჩვენი ეროვნული



თავისუფლების „მაგნა ხარტიას“ გამოქვეყნების დღიდან.

ვნახოთ რას ავალებს ეს დღე კერძოდ ქართველობას და საათევენ უნდა იქმნას ჩვენი ეროვნული ენერჯია მიმართული ამიერ-დან?

1801 წლის კატასტროფისა და ზემო ხსენებული პოზიციის დაკარგვის მიზეზი ჩვენს ლიტერატურაში ჯეროვანად გაშუქებული და შესწავლილი არ არის.

ბევრსა ჰგონია, თითქოს საქართველოს სამეფოს დამკობის მიზეზი გარსევან ჭავჭავაძეების ან ირაკლი მეორის ბრმა პოლიტიკა ყოფილიყო.

ამ მოსაზრების ავტორთ ალბად გათვალისწინებულა არა აქვთ თუ რა არის საერთოდ მიზეზი, რომ ერთი მუქა ინგლასელები, ან ბელგიელები, ფრანგები ამ ვეებერთელა ინდოეთს, კონგოსა და მაროკოს იმორჩილებენ და ეკონომიურად ყვლევენ.

მარტო კულტურულ წარმატებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგანაც ინდოეთის კულტურა არა მარტო ინგლისისა, მთელი ევროპის კულტურის ფუძეთა და ბაზისადაა აღიარებული.

ერთადერთი მიზეზია ის ცივილიზაციური უპირატესობანი, რომლის წყალობითაც ევროპა აზიის ბატონ-პატრონად ითვლება, და ეს — ზემოხსენებულ სუვერენულ ერების ხელშია დღემდის.

ვიდრემდის ამიერ კავკასიაში და ნცირე აზიაში ჩვენი ცივილიზაციური ტენიკა ჩვენ პოლიტიკურ მეტოქეობასა და ძალე-უფლებას სარჩულად ჰქონდა, საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება უზრუნველყოფილად ითვლებოდა, მაგრამ როგორც კი ჩრდილოეთით გამოჩნდა ცივილიზაციურად ჩვენზე ძლიერი რასსა, აქ კი ხიდი ჩაუტყდა ქართველობას და იმ იარალით, რომლითაც ქართველი ხალხი თავის ამიერ კავკასიელ მეზობლებსა და მცირე აზიელ ან სპარსულ მოქიშპეებს ებრძოდა, იგი ვერ დაუპირდაპირდა პრუსიულ ადათზე აშენებულ რუსეთის სახელმწიფოებრივ ინსტიტუტს.

აი ეს არის დღესაც ქართველი ერის აქილევის ქუსლი, აი ამ გარემოებას უნდა მიაპყროს ქართველმა ხალხმა მთელი თავისი გულის ყური, თუ გვინდა, რომ ჩვენი პოლიტიკური ბრძოლა ჩვენ კულტურულ მუშაობასა და არსებობის ფარხმალად გამოადგეს.

საქართველოს ტერიტორიიდან მეფის სატრაპების გამდევნით, ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფალ, კულტურულ-ცივილიზაციურ მუშაობისათვის აუცილებლი პირობების მინიშუმი.

ჩვენ თავალწინ ზღაპრულ ამირანივით იზრდება ქართული ზოგადოებრივი ცხოვრება. დღითი დღე რთულდება, ჩვენი ეროვნული ორგანიზმის მექანიზმი, ქვეყანას ეფინება კოოპერატივები, შკოლები ათასნაირი ტიპისა. ნელ-ნელა ეყრება საფუძველი სკოლის სასამართლოს და სხვა დაწესებულებათა ნაციონალიზაციას. დგება ქართული ჯარი. ამიერიდან ქართული მკედრობა ძველ პოლიტიკურ იანიჩარობას უკუაგდება და სისხლითა და რკინით დაიცავს საქართველოს ტერიტორიასა და ქართველი ერის პოლიტიკურ უფლებებს.

ქართული ეროვნული საბჭო „ქუდზე კაცს უკმობს“ რადგან პოლიტიკურ თავისუფლების შესანარჩუნებლად დეკლარაციები და რეზოლიუციები არ კმარა და თვით ცივილიზაციურად დაწინაურებული ევროპის ცხოვრებაც ამას ჰმოწმობს, რომ უფლება ძალაზე უნდა დაემყაროს, თვარა უძალოდ უფლება უშევილდო ისარია. ჩვენი არსებობის გარანტია ჩვენზე ძალონე უნდა გაკდეს თუ გვინდა „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოდეს“. ახლა იწყება აჩქარებულის ტემპით ჩვენი ერის აზრისა და გრძნობის აუცილებელი სისტემატიზაცია, რაიცა აუცილებელი პირობაა პროგრესისა და ცივილიზაციისათვის. 1918 წლიდან საქართველოს დედა-ქალაქში არსდება უმაღლესი სასწავლებელი და ჩვენი მეცნიერები ამიერიდან ისეთივე ბეჯითობითა და გულისყურით დაიწყებენ ახალი ბრწყინვალე კულტურული საქართველოსა და მის მომავალზე ფაქრს, როგორც ძველ ქართველ უმაღლეს სემინარიებში და მონასტრებში, ქართველი მსწავლეულები და სტოიკი ბერები შეუმჩნეველ ცვილივით რომ იწვოდენ „ღვთისა და სინათლის“ მოყვარე ქართველი ერისათვის.

ოდნაეც აგვესნა მაჯებზე პოლიტიკური კირთების ბორკილები და ქართველი ხალხი დღესაც, როგორც ასისა და მრავალი ათასი წლის წინად ცალაელში გუთნითა ცალშიაც სამტროდ მოსულისათვის გამეტებული მახვილით განაგრძობს შრომას და ტანჯვას უკეთესი მომავლისა და ახალი საქართველოს ბედის გამოსაკვრავად. ჩვენ პოლიტიკურ ღელვათა და მისწრაფებათა სისტემატიზაციაც ნელ ნელა წარმოებს. ქართული ეროვნული საბჭო ფრთხილად და აუჩქარებლად ამზადებს ნიადაგს მომავალი ქართული საველმწიფოს მკვიდრ და ერთობილებისა და სოლიდარობის დულაბით შეკირულ შენობისათვის.

ეს ორი მკარე კულტურული და პოლიტიკური ვითარებისა, ეს ორი მისწრაფება ჩვენი ეროვნული ენერჯიისა ნორმალურ კალა-

პოტში განაგრძობს სვლას. რადგანაც ჩვენ კარგად ვიცით სხვა ერების წარსულიდან, რომ ყოველმა ერმა პოლიტიკური ბრძოლა პარალელურად უნდა აწარმოვოს კულტურულ მუშაობასთან და იმ ერს, რომელსაც შინ წერაქვისა, კალმისა და გუთნის კელის სახლებლად გული არ ერჩოდა და მუდამ მახვილ ამოწვდილი დაძრწოდა სხვის ხარჯზე გასამდიდრებლად და სხვის ტერიტორიის შემოსაერთებლად, აუცილებლად მახვილით ეღებოდა ბოლო. ამგვარმა ხალხებმა დიახაც დაამშვენეს ომებისა და ლაშქრობის მატთანნი და იარაღის მუზეუმები, ხოლო მათ მიწებზე არავის უნახავს არც მუღადარ შინაარსიანი მონუმენტალური დოკუმენტები არც თვალაჩინო გამრთა სარკოფაგები და პროპილეები, ერის სულიერი ზვიადობისა და მაღალ სულოვანების მოწმედ დარჩენილი. უეჭველია მთელი ჩვენი პოლიტიკური ენერჯიის სადავე საქართველოს დამფუძნებელ კრებამდის, ეროვნულ საბჭოს კელში იქნება, დიდია მისი მნიშვნელობა და მისი პასუხისგებაც ქართველი ერის წინაშე; დღეს საქართველოს ეროვნულ საბჭოს ორი დიდი და რთული პრობლემისათვის ჰმართებს ზრუნვა. ერთია ამიერ კავკასიის ტერიტორია ეროვნულად გადამიჯვნა და მეორე ზავის საკითხი.

ამიერ კავკასიის დროებითი კომისარიატი თუ მთელი კავკასიელ ერთა პირით საკელმწიფოებრივ ენაზე ლაპარაკობს, ქართულმა ეროვნულმა საბჭომ ქართველი ერის სახელით უნდა დაიცვას ის, რაც ქართველი ერის აწინდელსა და მომავალ საკეთრებას შეადგენს.

ამავე კომისარიატს უნდა მოსთხოვოს ეროვნულმა საბჭომ, რომ ოსმალეთთან შეკრულ მომავალ საზავო კონტრაქტში ქართველი ერის რეალური ინტერესები არ დაიჩრდილოს. საქართველოს დაქსაქსულ ტერიტორიის შეკრების პროცესი არ უნდა შეფერკდეს იმ ზავის პირობებით, რომელიც არსებითად უანექსიო და უკონტრიბუციო უნდა იქმნას, მაგრამ ამნაირ ზავს აუცილებლად თან უნდა ახლდეს პრინციპი ერთა თავისუფალ თვითგამორკვევისა.

იყო დრო, როცა ეროვნებათა ბედ იღბალს ერთი მუქა დიპლომატები სწყვეტდენ. მიმდინარე ომმა ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის პრინციპი მიანიჭა ყველა ეროვნებათ. ამის უეჭველ

გარანტიას თვით საუკუნე და მისი სულაერა განწყობილება იძლევა. ოდესმე ძველ აღმოსავლეთის ერებს ეგონათ რომ თავისუფლება, მხოლოდ ერთის პრივილეგიას შეადგენს რომაელები და ბერძნები რჩეულთა ხვედრად სთვლიდნენ მას. ხოლო ჩვენი საუკუნის დევიზია: **უველა თავისუფალი უნდა იქმნეს!**

სწორედ ეს პრინციპი უნდა იქმნას ლაიტმოტივად მომავალი ქართული სახელმწიფოისა და ჩვენი დამოკიდებულება ცემზობელ ერებისადმი ამ პრინციპის ლარსა და ხაზს არ უნდა გადასცდეს. ეროვნულმა საბჭომ უნდა მოითხოვოს, რომ ვიდრემდის ლაზისტანის ბედი გადასწყვებოდეს ანგარაში გაუწიონ თვით ქანების რეალურ ინტერესსა და მათ სურვილს, რათა ქანეთი მეორე ალზას ლორენი არ გახდეს კავკასიაში.

დღეს თვით გერმანიის საზოგადოების ერთი ნაწილი მოითხოვს ალზას—ლორენის ბედი თვით ალზას—ლორენმა გადასწყვიტოს. იცნობენ ალზას ლორენის, ბელგიის, ლოუქსემბურგისა და მონტენეგროს სამართლიან მოთხოვნილებას საქართველოსი და მასთან ერთად ლაზისტანის ინტერესებიც არ უნდა დარჩეს შელახული.

სამფეროვანია ჩვენი ეროვნული ღროშა: შავი, თეთრი და წითელი. შავბნელი იყო ჩვენი წარსული საუკუნეთა წყვდიადში სინათლის ჩირაღდანით გვივლია.

ალისფერი სისხლია ყოველგვარი თავისუფლებისათვის აუცილებელი გარანტია და ზვარაკი.

სითეთრე სისპეტაკის ემბლემაა. მაშ ნუმც დარჩდილავს ღრუბელი ჩვენი მამულის ცისკიდებე ამობრწყინებულ თავისუფლების მზეს.

სპეტაკი იდეალები აღვიზარდოთ ცეცხლებერ ანთებულ გულეში, ეს საუკეთესო მიზანია საქართველოს ინტელექტუალურ სინილისის დასამშვიდებლად.

ეს ესაა დეპეშებმა გვაუწყეს რუსეთის დამფუძნებელი კრების დათხოვნაზე. ჩვენ დაგვრჩენია ახლა გავიმეოროთ ისტორიული ფრანზა, როაელსაც საფრანგეთის გარდაცვლილ მეფეთა უკუბოების წინაშე იტყოდნენ: მეფე გარდაიცვალა გაუმარჯოს მეფეს!.

რუსეთის დამფუძნებელი კრება დათხოვნილია, მაშ გაუმარჯოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას!

გაბედულად, მზნედ და შეუდრეკლად შეეგებება ქართველი  
ერი 1918 წელს როგორც მრავალ სხვა ათასს.

ნუმც დაეკარგავთ მომავლის იმედს თვით უაღრესი განსაცდელის  
ქაშს, სიმართლე და სამართლიანობა ვიგულოთ მარად ქაშს  
ჩვენ ერთეულ მოკავშირედ.

ქ. ბ.



## „მშაკი“ და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა\*)

(ფურცლები ჩემ მოგონებათაგან)

### I

#### წინასწარმეტყველებრივი სიტყვები.

იდეალური დრო და ჟამი იყო. დიდები განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდნენ მცირეებს და მცირეები ყურადღებით უსმენდნენ დიდებს და სცდილობდნენ რაიმე ესწავლათ მათგან. გ. ჩიმიშვიანი, მ. ამერიკიანი, გეორჯ მირალიანი და სხვები განსაკუთრებულ ყურადღებას გვაქცევდნენ ყმაწვილებს, მ. ავალიანს, მ. მელიქ—ადამიანს, ვინაიდან ჩვენში ჰხედავდნენ მათ მემკვიდრეებს ანუ ისეთ თაობას, რომელსაც უნდა განეგრძო მათი საქმეები. ამ საქმეებს კი (თეატრიო, მწერლობაო) ისინი ემსახურებოდნენ მთელი თავისი სულით და გულით, ყოფნით, არსებით.

— ვანოვო, მითხრა ერთხელ ჩიმიშვიანმა, დღეს მე შენ უნდა წაგიყვანო ქართული გაზეთის „დროების“ რედაქტორის სერგეი მესხისას, სადაც შეიკრიბებიან თითქმის ყველა სომეხი და ქართველი მოღვაწეებიო. იქ საბოლოო რედაქცია უნდა ეყოს მომავალი იანვრიდან გამოსაცემ სომხური გაზეთის „მშაკის“ პროგრამისაო.

— შენ ბედნიერი ყმაწვილი ხარო,—გააწყვეტინა ამირანმა, შენ ღირსი ჰხდები დაესწრო ისეთ საქმეს, რომელსაც სომხური მწერლობისათვის ისტორიული მნიშვნელობა აქვსო, ყურადღებით მოისმინე ყველაფერი და დაიკისოვნეო.

### II

#### თავაზიანი დიასახლისი

ის ახლა მოხუცებულია (მეც არა ვარ იმაზე ჩამორჩენილი), მაგრამ იგივე ანთებული შავი მოელვარე თვალები შეუნახავს და თუ

\*) ეს წერილი დაიბეჭდა „მშაკში“ მისი დამაარსებლის გრიგოლ არწრუნის სიკვდილის ოცდახუთი წლის თავზე (1917 წ., 28 დეკემბერს). სომხურით თარგმნა ა. შანიძემ.



ამას დასძენთ სახის წარსულ ნაზ სიცხოველეს, კეთილ-შობილურ ნახვარა-მოხვარას და ქართველი ქალის ბუნებრივ სტუმართ მოყვარეობას, თქვენ მაშინვე იცნობთ დიასახლისს, სერგეი მესხის მეუღლეს, ეკატერინეს.

იქ იყვნენ სერგეი მესხი, ლორაქუთანიძე, გიორგი წერეთელი, სტეფანე მელიქიშვილი (დიასახლისის ძმა). გრიგოლ არწრუნე, გ. სუნდუკიანი, სტ. პალასანიანი, გ. ჩიმიშკიანი. მ. ამერიკიანი, პოლოს იზმაილიანი (შემდეგში ტფილისის ქალაქის თავი) და მრავალი სხვა. სკდილობდნენ ვუბნათ ფრანგულად და რუსულად. ამ დიდ კაცებს შორის მე სრულებით არა ვჩანდი, ვწითლდებოდი და ფერი მეკარგოდა; სტუმართმოყვარე დიასახლისი თავის ყურადღებას არ მაკლებდა და მეპატიებოდა უხვ ხილზე და კომფეტზე.

როცა პროგრამა უკვე მზად იყო, სერგეი მესხმა ერთი ძლიერი და ბრწინვალე სიტყვა წარმოთქვა კავკასიელ ერთა სოლიდარობის შესახებ, რომელსაც ისეთივე მკურვალე სიტყვებით უპასუხეს გ. არწრუნემა და პ. იზმაილოვმა.

ასე და ამგვარად ამ სტუმართმოყვარე ინტელიგენტ ოჯახში შემემუშავდა საბოლოოდ „მშაკის“ პროგრამა და პირველად ჩაეყარა საფუძველი კავკასიაში მცხოვრებ ერთა სოლიდარობას.

### III

#### ნიკო იაკობის-ძე ნიკოლაძე

ტფილისში აბა ვინ არ იცნობს ნ. ნიკოლაძეს, რომლის ნაყოფიერი მოღვაწეობა მის სამშობლოში თითქმის ორმოცდა ათ წელს აღწევს?

მე ის ვნახე ამ რამოდენიმე დღის წინად. წვერი უკვე გასთეთრებია, მაგრამ იმგვარადვე შეუპარსავს, როგორც ამ 42 წლის წინად ჰქონდა, წელში ცოტაოდნად მოხილა, თვალებს კი, ამ შავ ბრიალა და მოგიზგიწე თვალებს, გეგონებათ, ირვკლივ ცეცხლის გაჩაღება სწადიანო.

ცნობილის ფრანგ რადიკალ მოღვაწის როშფორის ამხანაგი უკვე მოხუცებულია, როშფორი კი დიდი ხანია საფლავშია...

1875 წლის ზაფხულს ნ. ნიკოლაძე ახალ დაბრუნებული იყო პარიზიდან ტფილისის და როგორც დიპლომატი და კავკასიის ერთა ინტერესების ღრმად მკოდნე პირი მეტად შეწუხებული იყო, როცა დაინახა, რომ სომეხ-ქართველთა შორის ამტყდარიყო დიდი დავა და



სომხურ და ქართულ ტურნალგაზეთებში გაჩაღებული იყო ყოფილ-არა სასიამოვნო კამათი.

გრიგოლ არწრუნის მეტად კორექტად ეჭირა თავი. თავის გულში ის ძალიან ღრმად იყო ნაწყენი გაზეთ „დროების“ ასეთი მსვლელობით, მაგრამ არც ერთი წერილით არ დაუგმია „დროება“ გარდა შემდეგი ერთი პატარა რბილი შენიშვნისა, რომელიც მან მოათავსა „სხვა და სხვა ამბებში“ 1875 წელს, იანვრის 16-ს „მშაკის“ მეორე ნომერში:

„ქართული გაზეთი „დროება“ სეტის-მეტად მკაცრ წერილსა სწერს თავის მეშვიდე ნომერში მთელი სომხის ერის წინააღმდეგ. ფორმატის გამოცვლისა და სამჯერ გამოსვლის დაწყებისთანავე პატივცემული გაზეთი უცბად მიმართულებასაც იცვლის? სადღაა მეგობრობა, შეერთებული ძალებით წინსვლა? რადგანაც მუშებისა და მოსამსახურეებისაგან ასაკრეთი სამანეთო გადასაკადის სომეხი იჯარადარი უსამართლობას სჩადის (ამის წინააღმდეგ ჩვენ ათასჯერ ვიჩივლეთ, ზოლო თუ ბ. აკაკიმ სომხური არ იცის, უნდა ეკითხა მაინც),—მაშასადამეო, მთელი ერია დამნაშავე და მწერლობაო... სომხები ტფილისს ალა მაჰმად ხანსავით აქცევენო, სომხები ტფილისს იმასეე უშვრებიან, რასაც ურიები ბერდიჩევსაო... აფსუს, რომ კვირაში სამჯერ გამომავალი „დროება“ იძულებული იქნება თავისი გვერდები ბავშვური, სულელური, უმწიფარი წერილებით აავსოს“.

ეს ერთად-ერთი მაგარი შენიშვნა იყო, გრიგოლ არწრუნმა რომ თავის თავს ნება მისცა „მშაკში“ გაეშვა. და შემდეგში გულწრფელად მიესალმა „დროების“ ათი წლის თავს სერგეი მესხის ბანქეთის დროს ბაღში და სომხურად წარმოთქმულს ერთ მშვენიერ სიტყვაში, სხვათა შორის, მესხს უსურვა „დატანჯულიყო მისი ერისათვის. რათა ეს ტანჯვა სასყიდელი ყოფილიყო“ მისი მოღვაწეობისათვის. ამ თავის სურვილს თვითონ გრ. არწრუნიმ უცნაური უწოდა.

ნ. ნიკოლაძემ გადაწყვიტა უკმაყოფილებისათვის ბოლო მოეღო და უმსგავსო პროვოკაცია ამოეფხვრა. როგორც ნასწავლი კაცი, შოაზროვნე და დიპლომატი, ის წინ-წინ ჰხედავდა სომეხ-ქართველ-



თა ასეთი განწყობილების შედეგებს, ამიტომ მოინდომა ჰურ-მარ-  
ლის გარშემო დაეხლოვებინა ახლო წარსულში მოყვარე, ახლა კი  
გადამტერებული პირები და მან ისინი ერთ ნადიმზე მოიწვია.

ო. ტერ-გრიგორიანი. (ვანო).

(დასასრული შემდეგ ნომერში).



უშთავარანი შეცდომების გასწორება:



1. კ. მაყაშვილის ლექსში გვ. 24.

- პირველი ტაეპის პირველ სტრიქონში სწერია: „მააგრამა“  
უნდა იყოს: მაგრამა.
- ამავე ტაეპის მეორე სტრიქონში სწერია: შენ სარკმეთან  
უნდა იყოს: „შენს სარკმელთან“
- მეოთხე სტრიქონში სწერია „იაგრამა“ უნდა იყოს მაგრამა.
- მეხუთე „ „ „წენ“ „ „ წინ.
- მეორე ტაეპის მეორე სტრიქონში: სწერია „საფლაველედ“  
უნდა იყოს: „საფლავეზედ“
- ივავე ტაეპის მესამე სტრიქონში სწერია „ბროლე ნელი“  
უნდა იყოს „ბროლ-ნელი“
- „ „ მეოთხე სტრიქონში სწერია „სურინელა“  
უნდა იყოს „სურნელი“
- „ „ მეხუთე სტრიქონში სწერია „მკონველი“  
უნდა იყოს „მკონველი“
- „ „ ბოლო სტრიქონში სწერია: „საფლმეზე“  
უნდა იყოს: „საფლავეზე“

2 კოწია გამსახურდიას ლექსში. გვ. 39.

- 1 გვერდის მეცამეტე სტრიქონში სწერია „ხრაშა.ხურში“  
უნდა იყოს: „ხრაშა ხრუში“
- მეოცდასამე სტრიქონში სწერია: „სიყარული“  
უნდა იყოს „სიყვარული“
- 2 გვერდის მეექვსე სტრიქონში სწერია „ქარავენებს“  
უნდა იყოს „ქარავანებს“

3) ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფიაში

				უნდა იყოს
გვ. 39	სტრიქონი 11	ჭვევივითგან	.	„ „ 3498
„ 40	„ 6	ზევითგან	.	„ „ 2314
„ „	„ 9	„	.	„ „ 2314

4) ექვთ. თაყაიშვილის გამოკვლევაში

73, 75 და 77 გვერდებზე შებრუნებული ინები ნაკმარაა სამოცის აღმნიშვნელ ასოა ნაცკლად, რადგან ეს ასო შეჰოკვკლდა და ახლების ჩამოსხმასა და ჟურნალის დაგვიანებას. ასოების შებრუნება ვარჩიეთ, რის გამოც რედაქცია ბოდიშს იკლის პატივცემულ ავტორისა და მკითხველების წიხაშე.

# ს ა რ ჩ ე ვ ი



გვერდები  
საქართველო

1. რედაქციის მიერ.

## ახალი მწერლობა.

- |   |       |
|---|-------|
| 2. დავით კლდიაშვილი. მშობლის ნუგეზი.        | 5—7   |
| 3. აკაკი პაპავა. ნახშირის ხაზები.           | 8—23  |
| 4. კოტე მაყაშვილი. რომანსი                  | 24    |
| 5. არისტო ჭუმბაძე. 19 ლენინობისთვის საღამო. | 25—26 |
| 6. სიკო ფაშალიშვილი. ჩასული მზე.            | 27—28 |
| 7. კონია გამსახურდია. ბერლინი.              | 29—30 |
| 8. აკაკი შანიძე. ქართული ეროვნული ჰიმნი.    | 31—32 |

## ძველი მწერლობა.

- |  |       |
|--|-------|
| 9. ლოცვა წმიდისა იერემიასი (ბაქარაძეული გამოცემის თანაკმად). | 33—34 |
| 10. გამოსლვათაჲ (ათონის მეთე საუკუნის კელთნაწერის თანაკმად)  | 34    |

## სამეცნიერო ნაყოფილება.

- |  |       |
|--|-------|
| 11. ივანე ჯავახიშვილი. ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს. | 35—61 |
| 12. კორნელი კეკელიძე. ივანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან  | 64—70 |
| 13. ექვთიმე თაყაიშვილი ლაბეჯინის ეკლესიის სახარება.  | 71—78 |
| 14. აკაკი შანიძე. „მცა“ ნაწილაკი ძველს ქართულში.   | 79—80 |

## ბ რ ლ ი უ ი კ ა.

- |   |       |       |
|---|-------|-------|
| Anno 1917   | ა. ბ. | 81—89 |
| 16. ო. ტერ-გრიგორიანი. „მშაკი“ და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა, (თარგმ. ა. შ—ძისა). |       | 90—93 |

## ს უ რ ა თ ე ბ ი

- |  |  |
|--|--|
| 17. იაკობ ნიკოლაძე. „პრომეთე“-ს პირველი გვერდი და „ექსლიბრის“                                      |  |
| 18. ქ. ტფილისის სურათი შარდენის დროს. ამოღებულია შარდენის მოგზაურობის წიგნიდან,                    |  |
| 19. ქ. გორის ციხის აგება. მისსიონერ კასტელის წიგნიდან.   |  |
| 20. ქ. ქუთაისის საზოგადო გეგმა-სურათი მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს. ახლად აღმოჩენილ ქართულ რუკიდან. |  |

სარედაქციო კოლეგია

- |   |                   |
|---|-------------------|
| } | აკაკი შანიძე      |
|   | აკაკი პაპავა      |
|   | იოსებ ყიფშიძე     |
|   | კონია გამსახურდია |

გამომცემელი ისიდორე სტურუა.



ქართული  
ბიბლიოთეკა

შეცდომების გახსოვება:

(დამატებით)

აკაკი პაპავას „ნახშირის ხაზებში“ გვ. 21, სტრიქონი 12 (ქვე-  
ვიდან) დაბეჭდილია: „დ ს“. უნდა იყოს: „იის“.

ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფიაში: გვ. 39, სტრიქ. 16 (ქვე-  
ვითვან) გამოტოვებულია მთელი წინადადება და დაბეჭდილის მა-  
გიერ ასე უნდა იყოს: „მცხოვრებთა რიცხვი შედარებით მატულობ-  
და, მაგ.: 1721 წ. ქ. გორში მცხოვრებთა რიცხვი 300 კომლს არ  
აღემატებოდა“ და სხვა.

კორნ. კეკელიძის გამოკვლევაში, გვ. 65, სტრიქ. 23, დაბეჭ-  
დილია: „მარკოზის“. უნდა იყოს: „მათეს“.

### 1918 წლის პირველ იანვრიდან

მიიღება ხელის მოწერა ყოველთვიურ სალიტერატურო,  
სამეცნიერო და საბოლიტვიკო ჟურნალ

## „პრომეთე“-ზე

ხელის მოწერის პირობები ჯირ-ჯერობით შემდეგია: ჟურნალი  
სამი თვით ეღირება 9 მანეთი, ცალკე ნუმერი 3 მან.

შუკნალის უახლოესს თანამშრომლობად  
მოწვეული არიან:

აკაკი შანიძე, აკაკი პაპავა, იოსებ ყიფშიძე, კოწია გამსა-  
ხურდია. გამომცემელი: იხილორე ხტურუა.

ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში—„სახალხო საქმის“  
კონტორაში ნინო ნეიშანთან; „სახალხო საქმის“ სტამბაში დ.  
შვადლობლიშვილთან; ბათუმში—სერ. გერსამიასთან, ხონში—  
მოსიკო ჭელიძესთან, ახალსენაკში—გ. ჯალობიასთან, ქუთაისში  
„ხალხის მეგობრის“ რედაქციაში გიგლა მებუკესთან და თინა  
გველეხიანთან. კიათურაში ნინო დგებუაძესთან; გორში სიმონ  
მაჭავარიანთან; თელავში სიმონ წერეთელთან.

ჟურნალის დასაკვეთი ფული და აგრეთვე მასალა ჟურნა-  
ლისათვის უნდა გამოიგზავნოს შემდეგ მისამართით: ტფილისი,  
ფოსტის ყუთი 190, „პრომეთე“ რედაქცია.

1928

საქართველოს  
საბავშვო ბიბლიოთეკა



სტამბა „სახალხო საქმე“.

სტამბის გამგე  
გამმართველი  
ასოთ ამწყობი

დ. მგალობლიშვილი  
ვლ. ხელაძე  
ვალ. კალმახელიძე

ფასი 8 მანეთი.

ტფილისი